

# 7

# ქართული ენა და ლიტერატურა

## მასწავლებლის წიგნი

თეა ქიტოშვილი
ელისო ნიჟარაძე
მაია მენაბდე

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2019 წელს.

სულაკაურის გამომცემლობა

ქართული ენა და ლიტერატურა 7
**მასწავლებლის წიგნი**
თბილისი, 2019

ავტორები: **თეა ქიტოშვილი, ელისო ნიჟარაძე, მაია მენაბდე**

რედაქტორი **ნათია ნაფეტვარიძე**
დიზაინერი **ია მახათაძე**
კარტოგრაფი **დავით სვანაძე**
ტექნიკური დიზაინერი **ნინო კუბლაშვილი**

© სულაკაურის გამომცემლობა, 2019
ყველა უფლება დაცულია

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-414-9

GEORGIAN 6
Teacher’s Book

© Sulakauri Publishing, 2019
all rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

# შინაარსი


სახელმძღვანელოს კომპონენტები ....... 4

მოსწავლის წიგნის სტრუქტურა და შინაარსი ....... 5

მასწავლებლის წიგნი ....... 22

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები ესგ-ის მიხედვით ....... 23

სტანდარტის შედეგის მიღწევისა და სახელმძღვანელოს შინაარსის ურთიერთკავშირის მატრიცა ....... 24

ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს ნაწილების და თავების მიზნები ....... 29

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები ....... 39

შეფასების რუბრიკები ....... 49

პროექტი ქალ ავტორთა შესახებ ....... 63

პროექტი: ლიტერატურული გმირის სასამართლო ....... 65

რჩევები სარეკომენდაციო ნაწარმოებების, ფილმებისა და ანიმაციების ჩამონათვალთან დაკავშირებით ....... 67

საგაკვეთილო სცენარები ....... 69

ქართული ენის ზოგიერთი სავარჯიშოს სწორი პასუხები ....... 98

# ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲝᲜᲔᲜᲢᲔᲑᲘ



მოსწავლის წიგნი



მოსწავლის წიგნი



მასწავლებლის წიგნი

# მოსწავლის წიგნის სტრუქტურა და შინაარსი




## ქართული ლიტერატურა

### მოსწავლის წიგნი

წიგნი სამი ნაწილისაგან, სამი თემატური ბლოკისაგან შედგება:
**პირველი ნაწილი:** ადამიანი და სამყარო მის ირგვლივ
**მეორე ნაწილი:** ძველად და ახლა
**მესამე ნაწილი:** მარადიული ძიებები

ეს ბლოკები, როგორც ხედავთ, ემთხვევა სტანდარტით გათვალისწინებულ 3 თემატურ ბლოკს.

სახელმძღვანელოში თითოეული ნაწილი (თემატური ბლოკი) დაყოფილია თავებად, თემატურ ერთეულებად. მაგალითად:

| პირველ ნაწილში („ადამიანი და სამყარო მის ირგვლივ“) 3 თავია: | | მეორე ნაწილში („ძველად და ახლა“) – 4: | | მესამე ნაწილში („მარადიული ძიებები“) – 2: | |
|---|---|---|---|---|---|
| თავი 1 | ბავშვები სკოლაში | თავი 4 | ძველი და ახალი დროის გმირები | თავი 8 | მითები და თქმულებები |
| | | თავი 5 | ძველი თბილისი | | |
| თავი 2 | ოჯახური გარემო | თავი 6 | მგელი არ მოშლის მგლობასა, არწივი – არწივობასა | თავი 9 | კონფლიქტი და ზნეობრივი არჩევანი |
| თავი 3 | წიგნი | თავი 7 | ადამიანი ბუნების სურათებში (განსხვავებული პოეზია) | | |

ყოველ თავში მასალა (ტექსტები, თეორიული საკითხები) ამ თემატურ ერთეულთან შესაბამისადაა შერჩეული და დალაგებული. თანაც ტექსტები ისეა შეკრებილი, რომ სრულად შეესაბამება თეორიულ საკითხებში მოცემულ მასალას.

მაგალითად, პირველ თავში, რომელიც სკოლას (ანუ იმ გარემოს, სადაც ბავშვი მნიშვნელოვან დროს ატარებს და რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე) ეხება, შეტანილია აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, რევაზ ინანიშვილის, ჯემალ ქარჩხაძის, ანე ფრანკის ტექსტები; ამავე დროს, ეს ტექსტები ტიპებისა და ჟანრობრივი თავისებურებების მიხედვით სხვადასხვაა: მოთხრობა, ავტობიოგრაფია, დღიური, მემუარი, მოგონება, წერილი.

ზოგიერთი ტექსტი ნაწყვეტის სახითაა მოცემული. ასეთ დროს ნაწყვეტი ისეა შერჩეული, რომ გარდა თემასთან შესაბამისობისა, მოსწავლეებში ინტერესი აღძრას და გაუჩინოს მთელი ნაწარმოების წაკითხვის სურვილი.

ყოველი თავის დასაწყისში (გარდა პირველი თავისა) მოცემულია საკვანძო შეკითხვა, რომლის მიზანია წინარე ცოდნის გააქტიურება და მოტივაციის აღძვრა ახალ თემაზე გადასასვლელად.

აბსოლუტურად ყოველ ტექსტს და თითქმის ყველა თეორიულ საკითხს ახლავს კითხვების, სავარჯიშოებისა და დავალებების ბლოკი, რომელიც გამიზნულია ესგ-ით განსაზღვრული სტანდარტის (იხ. ქვემოთ) შედეგებზე გასასვლელად.

სულ სახელმძღვანელოში შეტანილია 40 (აქ არ მივათვლით თქმულებებისა და ლეგენდების უცნობ ავტორებს) ქართველი და უცხოელი ავტორის 50 სხვადასხვა ტექსტი.

# შინაარსი

## პირველი ნაწილი


ადამიანი და სამყარო მის ირგვლივ 7

### თავი 1 ბავშვები სკოლაში

**ტექსტები**

**გიმნაზიაში** . . . . . . . . . . . . . . . . .10
*აკაკი წერეთელი*

**ჩემი ბავშვობის სკოლა** . . . . . . . . . .16
*რევაზ ინანიშვილი*

**ახალი მოსწავლე** . . . . . . . . . . . . .20
*ჯემალ ქარჩხაძე*

**გამოუსწორებელი ლაქლაქა** . . . . . . . .23
*ანე ფრანკი*

**ავტობიოგრაფია** . . . . . . . . . . . . .27
*ილია ჭავჭავაძე*

**ორი წერილი მასწავლებლებს** . . . . . . .31

**თეორია**

ავტორი, მთხრობელი, პერსონაჟი 15
თხრობა, აღწერა, მსჯელობა 19
დღიური 25
ავტობიოგრაფია და ავტობიოგრაფიული ნაწარმოები 30
სივი CV 30
წერილი 33
იმეილი ანუ ელექტრონული წერილი 34

### თავი 2 ოჯახური გარემო

**ტექსტები**

**ვანო** . . . . . . . . . . . . . . . . . . .38
*რევაზ ინანიშვილი*

**ვინა თქვა ჩვენზე, ვიწროდ არიან...** . . . . .42
*შოთა ნიშნიანიძე*

**ერთ მშვენიერ დღეს** . . . . . . . . . . .44
*შადიმან შამანაძე*

**ვაჟა-ფშაველას ოჯახი** . . . . . . . . . .51
*აკა მორჩილაძე*

**მთის გადაღმა** . . . . . . . . . . . . . .54
*გურამ დოჩანაშვილი*

**თეორია**

ავტორის გამონაგონი ანუ მხატვრული ნაწარმოები 41
პროზა, პოეზია და დრამატურგია 43
პროზაული ტექსტები 43
პიესები ანუ დრამატული ნაწარმოებები 48

### თავი 3 წიგნი

**ტექსტები**

**სურათებიანი წიგნი** . . . . . . . . . . .66
*რეზო ჭეიშვილი*

**ლოჭინში** . . . . . . . . . . . . . . . . .70
*რევაზ ინანიშვილი*

**შემთხვევა ლოჭინში** . . . . . . . . . . .72
*ნაწყვეტი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის წიგნიდან*

**წიგნების გასაყიდად წასვლა** . . . . . . .75
*ზაალ სამადაშვილი*

**რისთვის სჭირდებათ ბავშვებს წიგნები?** . .80
*ასტრიდ ლინდგრენი*

**თეორია**

წიგნები ძველად 69
ელექტრონული წიგნები და რიდერები 74
პუბლიცისტური წერილი 82
საინფორმაციო ცნობა 83
რეკლამა და წიგნის ანოტაცია 84
ელექტრონული წიგნების მაღაზია 85
ვიკიპედია და ონლაინ-წიგნები 85

# მეორე ნაწილი

## ძველად და ახლა 87

### თავი 4 ძველი და ახალი დროის გმირები


**ტექსტები**

**დავითი და გოლიათი** . . . . . . . . . . .90
*ბიბლია, პირველი მეფეთა, თავი XVII*

**ოდისევსი და ციკლოპი** . . . . . . . . . .94
*ჰომეროსი, „ოდისეა“, თავი IX*

**ვახტანგ გორგასალი** . . . . . . . . . . .102
*ვახტანგ ჭელიძე*

**ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა**
**ვეფხისტყაოსნისა** . . . . . . . . . . . .110

**ბეტმენის და ჯოკერის ორთაბრძოლა** . . . .116
*ფრენკ მილერი*

**თეორია**

შედარება ............ 100
მეტაფორა ............ 100
ბიბლია ............ 101
„ილიადა“ და „ოდისეა“ ............ 101
ეპითეტი ............ 107
შოთა რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ ............ 108
კომიქსი ანუ გრაფიკული რომანი ............ 118


### თავი 5 ძველი თბილისი


**ტექსტები**

**მოხერხებული ჩარჩი** . . . . . . . . . . .122
*ლავრენტი არდაზიანი*

**მოგზაურის თვალით** . . . . . . . . . . .126
*ალექსანდრე დიუმა*

**ცხოვრება ძველ თბილისში** . . . . . . . .129
*აკა მორჩილაძე*

**ხანძარი ოპერაში** . . . . . . . . . . . .134
*დათო ტურაშვილი*

**გამოთხოვება ძველ თბილისთან** . . . . .138
*იოსებ გრიშაშვილი*

**დიუმა თბილისის ოპერაში მიდის** . . . . .141

**თეორია**

ტექსტის ელემენტები ............ 140
სათაური ............ 140
ეპიგრაფი ............ 140
სქოლიო ............ 140
თავებად დაყოფა ............ 140

## თავი 6 მგელი არ მოშლის მგლობასა, არწივი – არწივობასა...

**ტექსტები**


**იცნობდეთ, მგელი** . . . . . . . . . . . . . .146
*იასონ ბადრიძე*

**მთის არწივი** . . . . . . . . . . . . . . . . .148

**ბებერი მგელი** . . . . . . . . . . . . . . .150
*ნუგზარ შატაიძე*

**მგლის მოკვლა** . . . . . . . . . . . . . . .153
*რევაზ ინანიშვილი*

**ლობო** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .156
*ერნესტ სეტონ-თომპსონი*

**გიგია ბუზუნაურის ძმადნაფიცი** . . . . .161
*გოდერძი ჩოხელი*

**არწივი და გველი** . . . . . . . . . . . . . .167
*შუამდინარული მითოლოგიიდან*


**თეორია**


რამდენიმე შესაძლო მიდგომა ....159
სამეცნიერო ნაწარმოები ....159
მხატვრული ნაწარმოები ....159
მრავალგვარი თვალსაზრისი ....160
სხვადასხვა თვალსაზრისის შეჯერება ....160
სუბიექტურობა მხატვრულ ლიტერატურაში ....170
ენციკლოპედია და განმარტებითი ლექსიკონი ....170


## თავი 7 განსხვავებული პოეზია

**ტექსტები**


**გრაფიკული ლექსები** . . . . . . . . . . .174

**ხუთი ჰაიკუ** . . . . . . . . . . . . . . . . .176

**ყარყატი** . . . . . . . . . . . . . . . . . . .179
*ბესიკ ხარანაული*

**მცირე ელეგია მამისათვის** . . . . . . . .180
*ზვიად რატიანი*


**თეორია**


ლექსი ....178
სტროფი და სტრიქონი ....178
გრაფიკული ლექსები ანუ კალიგრამები ....178
ვერლიბრი ....178
რატომ წერს პოეტი ლექსს? ....181
შთაბეჭდილება ....181
გრძნობა ....181
პათოსი ....181
სალექსო საზომი და რიტმი ....182
რითმა ....182

# მესამე ნაწილი

## მარადიული ძიებები 185

### თავი 8 მითები და თქმულებები

**ტექსტები**


**ბერძნული მითი** . . . 188
**ინდური მითი** . . . 189
**თქმულება პრომეთეზე** . . . 191
*ბერძნული მითოლოგიის მიხედვით*
**ამირანი** . . . 194
*ნაწყვეტი აკაკი წერეთლის პოემიდან „თორნიკე ერისთავი“*
**კოპალა** . . . 196
*ქართული თქმულებებიდან*
**კოპალა და იახსარი** . . . 199
**მინდია** . . . 203
*ვაჟა-ფშაველა*
**მირიან მეფის ნადირობა** . . . 208
*ნაწყვეტი საისტორიო თხზულებიდან „მოქცევაი ქართლისაი“*


**თეორია**


მითები 195
ლეგენდა ანუ თქმულება 195
ჰიპერბოლა 202
ფაბულა 207
სიუჟეტი 207


### თავი 9 კონფლიქტი და ზნეობრივი არჩევანი

**ტექსტები**


**შეხვედრა მენგვში** . . . 214
*ალექსანდრე დიუმა*
**ღუქანში** . . . 218
*ჭაბუა ამირეჯიბი*
**გიჟია, თუ რა?** . . . 221
*ილია ჭავჭავაძე*
**ჩირიკი და ჩიკოტელა** . . . 226
*გიორგი ლეონიძე*
**ტომის ჩხუბი** . . . 233
*მარკ ტვენი*


**თეორია**


პერსონაჟის პორტრეტი 237
პერსონაჟის ხასიათი 238
კონფლიქტი 238

# სარჩევის სტრუქტურა

ვრცელი, დეტალური შინაარსი-სარჩევი წიგნის დასაწყისშივე

ნაწილის ნომერი

ნაწილის სათაური



შინაარსი

პირველი ნაწილი

ადამიანი და სამყარო მის ირგვლივ 7


თავი 1 ბავშვები სკოლაში

ტექსტები

გიმნაზიაში . . . . . 10
აკაკი წერეთელი
ჩემი ბავშვობის სკოლა . . . . . 16
რევაზ ინანიშვილი
ახალი მოსწავლე . . . . . 20
ჯემალ ქარჩხაძე
გამოუსწორებელი ლაქლაქა . . . . . 23
ანე ფრანკი
ავტობიოგრაფია . . . . . 27
ილია ჭავჭავაძე
ორი წერილი მასწავლებლებს . . . . . 31

თეორია

ავტორი, მთხრობელი, პერსონაჟი 15
თხრობა, აღწერა, მსჯელობა 19
დღიური 25
ავტობიოგრაფია და ავტობიოგრაფიული ნაწარმოები 30
სივი CV 30
წერილი 33
იმეილი ანუ ელექტრონული წერილი 34

თავი 2 ოჯახური გარემო

ტექსტები

ვანო . . . . . 38
რევაზ ინანიშვილი
ვინა თქვა ჩვენზე, ვიწროდ არიან... . . . . . 42
შოთა ნიშნიანიძე
ერთ მშვენიერ დღეს . . . . . 44
შადიმან შამანაძე
ვაჟა-ფშაველას ოჯახი . . . . . 51
აკა მორჩილაძე
მთის გადაღმა . . . . . 54
გურამ დოჩანაშვილი

თეორია

ავტორის გამონაგონი ანუ მხატვრული ნაწარმოები 41
პროზა, პოეზია და დრამატურგია 43
პროზაული ტექსტები 43
პიესები ანუ დრამატული ნაწარმოებები 48

თავი 3 წიგნი

ტექსტები

სურათებიანი წიგნი . . . . . 66
რეზო ჭეიშვილი
ლოჟინში . . . . . 70
რევაზ ინანიშვილი
შემთხვევა ლოჟინში . . . . . 72
ნაწყვეტი დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის წიგნიდან
წიგნების გასაყიდად წასვლა . . . . . 75
ზაალ სამადაშვილი
რისთვის სჭირდებათ ბავშვებს წიგნები? . . 80
ასტრიდ ლინდგრენი

თეორია

წიგნები ძველად 69
ელექტრონული წიგნები და რიდერები 74
პუბლიცისტური წერილი 82
საინფორმაციო ცნობა 83
რეკლამა და წიგნის ანოტაცია 84
ელექტრონული წიგნების მაღაზია 85
ვიკიპედია და ონლაინ-წიგნები 85


თავების დეტალური სარჩევი

მარჯვენა მხარეს თეორიული საკითხების სარჩევია

მარცხენა მხარეს ლიტერატურული ტექსტების სარჩევია

სანამ დაიწყება, ყოველ ნაწილს ახლავს მცირე სარჩევი, სადაც, მასში შემავალი თავების სათაურებთან ერთად, მოთავსებულია იმ ავტორების ფოტოები, რომელთა ტექსტებიც შეტანილია შესაბამის თავში. თითოეულ ფოტოს მითითებული აქვს შესაბამისი გვერდი.




ნაწილის ნომერი და სათაური

თავში შემავალი ავტორების ფოტოები იმ გვერდების მითითებით, სადაც მათი ტექსტებია მოთავსებული

# თავის საწყისი გვერდი

ყოველი თავის დასაწყისი მოთავსებულია ორ გაშლილ გვერდზე

თავის ნომერი

თავის სათაური

თავის სათაურის ქვეშ მოკლედ მიმოხილულია თემა

თეთრ ფონზე მოთავსებული სურათები და საინფორმაციო ტექსტები დამატებით საინტერესო ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს თემასთან დაკავშირებით.




ამ ნაწილში მოთავსებულია იმ თეორიული ცნებებისა და საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც შეისწავლება თავში.

აქ შესაბამისი თავის ტექსტები და ავტორებია მცირე სარჩევის სახით.



# ტიპური გვერდის ნიმუში

ტექსტს დასაწყისშივე ახლავს ავტორის ფოტო და ძალიან მცირე ბიოგრაფია. ეს ბიოგრაფია დასასწავლად არაა გამიზნული. ზოგიერთ ტექსტს არ ახლავს ავტორის ფოტო. ეს მაშინ ხდება, თუ ამავე ავტორის სხვა ტექსტი უკვე შეგვხვდა და შესაბამისად – ავტორის ბიოგრაფიაც.

იმ გვერდებზე, სადაც ტექსტი იწყება (გამონაკლისია სულ რამდენიმე ნაწარმოები), ტექსტის ზედა ნაწილში, ღია სალათისფერ ფონზე, მოთავსებულია გაკვეთილის „გამოწვევა“ – შეკითხვები, რომლებიც მასწავლებელმა უნდა დაუსვას მოსწავლეებს, სანამ ტექსტზე გადავლენ. ამ შეკითხვებზე პასუხების გაცემით და მსჯელობით იწყება ტექსტში ასახულ პრობლემაზე საუბარი.



ალბათ გინახავს, როგორია სკოლები სოფლად და ქალაქად. იმსჯელე, განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან სოფლისა და ქალაქის სკოლები? თუ განსხვავდება, რით?

რევაზ ინანიშვილი (1926-1991) ქართველი მწერალი. მრავალი მოთხრობის გარდა დაწერილი აქვს საბავშვო ნაწარმოებებიც.

## ჩემი ბავშვობის სკოლა

პატარობისას სოფელში ვსწავლობდი, ჩვენს სოფელში ორი სკოლა იყო – ზევითსკოლა და ქვევითსკოლა, ზევითსკოლა – დიდი, ქვევითსკოლა – პატარა. პატარა სკოლაში პატარები დავდიოდით.

დილაადრიან, რვა საათზე, პირველ ზარს დარეკავდნენ. ამ ზარით გვატყობინებდნენ, აბა, ბავშვებო, მოემზადეთ და წამოდით. ჩვენც, ბავშვები, ჩავაწყობდით ჩანთაში წიგნებს და რვეულებს, ჩავუჭყუნავდით გვერდით ვაშლებსა და მსხლებს, დავიჭერდით **სამელნეს** ხელში და დავეშვებოდით თავქვემიმავალ ორღობეებში.

სკოლა წისქვილის არხის პირას იდგა, შემაღლებულზე. აქეთ სკოლა იდგა, იქით, ხევს გაღმა – დანგრეული ეკლესია. არხის ქვემოთ ვენახები და ივრის ჭალა იყო, ივრის ჭალის მერე – გრძლადგაწოლილი უტყეო გორა. გორაზე ავტომობილები მიმოდიოდნენ.

სკოლას სულ ოთხი ოთახი ჰქონდა, ოთხი კლასი. ერთი პატარა ოთახიც იყო, სამასწავლებლო. იქ, ასე მახსოვს, ყოველთვის სასიამოვნოდ **ღუდღუდებდა** ღუმელი. ჩვენი იქ შესვლა არ შეიძლებოდა. დაიწყებოდა გაკვეთილი, ჩამოვარდებოდა სიჩუმე – დავშოშმინდებოდით, დავწყნარდებოდით ბავშვები, ვისხედით და ბარტყების თვალებით შევყურებდით მასწავლებელს, მაგრამ ბუზის გაფრენას გაიგონებდითო, ასეთი სიჩუმე არასოდეს არ იყო. გარედან ყოველთვის სხვადასხვანაირი ხმები შემოდიოდა, გაზაფხულზე, მაისში, არხის პირას გაყოლებულ კაკლებზე **მოლაღურები** გადასძახოდნენ ერთმანეთს, შემოდგომაზე – **ჯაფარები**, ზამთრის პირას და ზამთარში ყვავები, დააღებდნენ ყვავები პირს და იყო ერთი – ყვაა, ყვაა, ყვაა! ფანჯრებიდან ისიც მოჩანდა, როგორ ანაცვლებდნენ ის ყვავები კენწეროებზე ფეხებს.

გაზაფხულზევე, მაისში, მერე სექტემბერშიც, დაირეკებოდა თუ არა დიდი შესვენების ზარი, მაგარი ბიჭები საბანაოდ ჩარბოდნენ არხზე. მასწავლებლები წყრებოდნენ, ამიტომ ბიჭები ზემოთ ადიოდნენ და იქ ეშვებოდნენ თავდაყირა წყალში. ვისაც მასწავლებლები შეატყობდნენ, უბანავნიაო, გაკვეთილს ჰკითხავდნენ და ორიანებს უწერდნენ. მაგარი ბიჭები მაინც თავისას არ იშლიდნენ, ისინი დღესაც კარგად მახსოვს: ჯაბალა, ბაბაჯანა, პროკონა, ქშუვა... ერთიც იყო, ერთი ყველაზე მაგარი ბიჭი – ლაჭუნა. ვნახავდით და ამ ლაჭუნას გამოაგდებდნენ გაკვეთილიდან. ის კიდევ – წავიდოდა, გაჩერდებოდა შემაღლებულზე, ისე, რომ ფანჯრებიდან კარგად დაენახათ ბავშვებს, იდგა და ალაჭუნებდა ყბებს, რა ედო, არ ვიცი, აქლემივით კი ააქაფებდა ხოლმე პირს. გამოუდგებოდა სკოლის დარაჯი ტაკვია იოსება სახრით, მაგრამ ვერასოდეს ვერ ეწეოდა. თებერვალსა და მარტში ვენახებიდან გრძელი სიმღერების ხმაც მოდიოდა. წინათ, ჩემს პატარაობას, ხშირად მღეროდნენ ვენახებში. შეიკრიბებოდნენ სამნი ან ოთხნი, ან უფრო მეტნი, თან ბარავდნენ და თან მღეროდნენ, ახლაც მოწკრიალებს იქიდან ერთი სიმღერა: „აარალალოო, შენ ბიჭო ანაგურელოო...“ ეს ბარვისას, სხვა დროიდან მახსოვს – „არსენა რომ დაიჭირეს, დილა იყო მშვენიერიო“. ეს „არსენას სიმღერა“ აჩქარებით იმღერებოდა. ამბობენ, ერთი ჩვენებური, **ხეჭრელა**, თურმე ვენახს სწამლავდა და ისე გართულა ამ სიმღერით, ნახევარი სხვისი ვენახი შეუწამლავს.

მასწავლებლები გვასწავლიდნენ ძალიან კარგ რამეებს. ქართულის მასწვლებელი გვსწავლიდა: „შვლის ნუკრის ნაამბობს“, „ამოდის, ნათდებას“, „მაგდანას ლურჯას“, „ღვინია გადაიჩეხას“; არითმეტიკის მასწავლებელი – წილადებს, წილადების შეკრებას, გამოკლებას, გამრავლებას, გაყოფას. კიდევ – გამოყვანილი მაგალითების შემოწმებას. რა კარგი იყო, რომ შევამოწმებდით და სწორი აღმოჩნდებოდა ჩვენი პასუხი! ბუნებისმეტყველების მასწავლებელი გვასწავლიდა – მთებს, ტყეებს, მდინარეებს, ტბებს, დავყავდით ექსკურსიებზედაც. ვიყავით ჩვენს გორაზე, მის კალთებზე, **თხემზე**. მერე ჩავეშვით ტყეში, ვნახეთ, როგორი იყო მცენარის ბოლქვები. ბოლქვები ჰქონდა ყოჩივარდას, თეროს, ძაღლნიორას. იას – არა. იას ფუნჯივით ჩამოშვებული ფესვები აქვს, ბუნებისმეტყველების მასწავლებელმავე გვაჩვენა ადამიანის ჩონჩხი და მიკროსკოპი. დაუდებდი მიკროსკოპს თმის ღერს, ჩაიხედავდი შიგ და ის თმის ღერი ჯოხის სიმსხო ჩანდა.

ზამთარში, თოვლს რომ ჩამოჰყრიდა, ჭალაში გამოდიოდნენ მონადირეები. როგორი გასაძლებია მერხზე? დაბლა ყეფით მიქრიან მეძებრები, მისდევენ მონადირეები ძახილით – ნააჰ! ნააჰ! ნააჰ – ხან აქ გავარდება თოფი, ხან იქ. შენ კიდევ იჯექი და ერთხელაც არ გადაიხედო დაბლა.

დიდ თოვლს რომ დადებდა და მოყინავდა, იქვე, სკოლის გვერდზე, ხევში, **დავასიპებდით** არხისკენ ჩამავალ გზას და იყო ერთი სრიალი და კოტრიალ-კოტრიალი, გოგოები ბიჭებზე მონდომებით სრიალებდნენ, ოღონდ ისინი – წიოკობით, ხანდახან რომელიმე მასწავლებელიც კი დაცურდებოდა ხოლმე. ხანდახან მასწავლებელიც წაიქცეოდა, მაშინ აღარ ვიცოდით, რა გვექნა, გაგვცინებოდა თუ არა.

საკლასო ოთახში ხურდა თუნუქის ღუმელი. ვინც იმ ღუმელთან ახლოს იჯდა, ბედნიერი იყო. ბუნებისმეტყველების მასწავლებელი გვასწავლიდა სიმღერასაც. გვასწავლიდა ერთ სიმღერას – „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“... ვერ იქნა და ვერ კი გვასწავლა, როგორც თვითონ უნდოდა, მაგრამ არ გვიწყრებოდა. შლიდა და აქნევდა ხელებს, მერე მივიდოდა ღუმელთან, შემოაწყობდა იმ ხელებს მილზე და ნაღვლიანი თვალებით გვიყურებდა ყველას.

ნისლი რომ იყო და იმ ნისლში მაღლიდან გადახედავდი ჩვენს სკოლას, გეგონებოდა, მშვენიერ ოცნებაში ხდებოდა ყველაფერი.

ადიოდა სწორად და ნისლს უერთდებოდა კვამლები. იმ კვამლებს ასდევდა ბარტყებივით პირდაღებული ბავშვების სიმღერა „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“... გეგონებოდა, ერთი მონდომება, ერთი გარჯა, და მოსდებდა თოკს კაცი იმ სკოლას თავის ბავშვებიან-კვამლებიანად, აიკიდებდა და წაიღებდა თოვლში. ქვეყნიერება

**სამელნე**
(ძველად) პატარა ჭურჭელი, რომელშიც ესხა მელანი, სპეციალური სითხე, რომელშიც აწებდნენ კალამს და ისე წერდნენ

**ღუდღუდებდა**
წყნარად ენთო ცეცხლი

**მოლაღური, ჯაფარა**
ერთგვარი ფრინველები

**ხეჭრელა**
საზოგადოდ, ეს სიტყვა ერთგვარ ბუჩქს ნიშნავს, მაგრამ აქ გამოყენებულია პიროვნების მეტსახელად

**თხემი**
მთის ზედა ნაწილი, თავი

**დავასიპებდით**
ზედაპირს სრიალას გავუხდიდით

ადამიანი და სამყარო მის ირგვლივ

პირველი ნაწილი

16

ბავშვები სკოლაში

თავი 1

17

უცნობი სიტყვები ტექსტში გამუქებულია და განმარტებულია არეებზე

ტექსტებს გვერდით ახლავს სტრიქონების ნუმერაცია, ისე, როგორც ზოგიერთ აკადემიურ გამოცემაშია მიღებული – რათა მასწავლებელსაც და მოსწავლესაც გაუადვილდეთ ტექსტში ძიება. ამ ნუმერაციაში ყოველი მეხუთე სტრიქონია მონიშნულ-დანომრილი.

ამ ადგილას მითითებულია შესაბამისი თავის ნომერი, რათა წიგნში ორიენტირება და სათანადო თავის ძიება გაიოლდეს.

# სავარჯიშოების ტიპური ბლოკის ნიმუში

ყოველი ტექსტის შემდეგ კითხვებისა და დავალებების ბლოკია, რომელიც 4 ნაწილადაა დაყოფილი



მაშინ იყო დიდი, სკოლა – პატარა. ახლა, პირიქით, ქვეყნიერება დაპატარავდა, სკოლები გაიზარდა. ქალაქად თუ სოფლად ახლა სულ დიდი სკოლებია. იმ სკოლებს რომ უახლოვდები, არც ერთზე არ იფიქრებ, იმას თუ ვინმე ადგილიდან დაძრავს.

*რევაზ ინანიშვილი*

**ტექსტის შინაარსი**

1. როგორ აღწერს მწერალი ბავშვების განსაკუთრებულ ყურადღებას მასწავლებლისადმი?
2. რა ხმები შემოდიოდა გარედან?
3. რას აკეთებდნენ ხოლმე „მაგარი ბიჭები"?
4. როგორ ისჯებოდნენ ხოლმე „მაგარი ბიჭები" თავიანთი საქციელის გამო?
5. როგორ ტარდებოდა ბუნებისმეტყველების გაკვეთილი?
6. რატომ დანაღვლიანდებოდა ხოლმე ბუნებისმეტყველების მასწავლებელი?
7. რა განცდას უჩენს მწერალს ნისლში ჩაძირული სოფელი?
8. მე-9-მე-12 სტრიქონების მიხედვით შექმენი სოფლის რუკა ან ნახატი.
9. ვინ არის ამბის მთხრობელი?
10. მთხრობელის როგორი განწყობა იგრძნობა ტექსტში? მონიშნე შენი პასუხის დამადასტურებელი ეპიზოდები.
11. შენი აზრით, რა ასაკისაა მთხრობელი? საიდან ჩანს?

**ტექსტის ენა**

1. ახსენი კონტექსტის მიხედვით დიალექტიზმი „ჩავჭყუნავდით";
2. როგორ გესმის ფრაზა: „ბარტყების თვალებით შევყურებდით მასწავლებელს"?
3. რას ნიშნავს მოცემულ კონტექსტში სიტყვა „ჩვენებური"?
4. „შლიდა და აქნევდა ხელებს" – რას ცდილობს მასწავლებელი ამ ქმედებით?

**ტექსტის ანალიზი**

1. კიდევ ერთხელ გადაიკითხე ის ადგილები, სადაც მწერალი აღწერს, რას და როგორ სწავლობდნენ. შეადარე თანამედროვე სწავლების პროცესს და იმსჯელე მსგავსება-განსხვავებებზე.
2. „ხანდახან მასწავლებელიც წაიქცეოდა, მაშინ აღარ ვიცოდით, რა გვექნა, გაგვცინებოდა თუ არა" – როგორი დამოკიდებულება ჩანს ამ სიტყვებში მასწავლებლის მიმართ?
3. „ქვეყნიერება მაშინ იყო დიდი, სკოლა – პატარა. ახლა, პირიქით, ქვეყნიერება დაპატარავდა, სკოლები გაიზარდა..." – ახსენი, რას შეიძლება გულისხმობდეს ამ სიტყვებში მწერალი?
4. მწერალი ორგან ამახვილებს ყურადღებას სიმღერაზე. მოძებნე ეს ადგილები და დაფიქრდი, რა მნიშვნელობა აქვს სიმღერას ადამიანებისთვის ამ მონათხრობის მიხედვით?
5. ბუნება და ბავშვები – ტექსტის რომელ ეპიზოდებს გააერთიანებდი ამ ქვესათაურში? ახსენი თითოეული ეპიზოდის მნიშვნელობა.
6. შეადარე ერთმანეთს, რით განსხვავდება ერთმანეთისგან აკაკისა და რევაზ ინანიშვილის სკოლასთან დაკავშირებული მოგონებები.

**დავალებები**

1. წარმოიდგინე, რომ ხარ ბუნებისმეტყველების მასწავლებელი და მისი პირით აღწერე ბავშვები, როგორები არიან, როგორ იქცევიან, როგორ გადიხართ ბუნებაში ერთად და როგორ ცდილობ, ასწავლო მათ სიმღერა. არ დაგავიწყდეს, აღნიშნო, რატომ ხარ ხოლმე ნაღვლიანი.
2. აღწერე შენი სკოლა. ნაწერს დაურთე შენ მიერ შექმნილი რუკა ან ნახატი.

ადამიანი და სამყარო მის ირგვლივ

პირველი ნაწილი

18

პირველ ნაწილში ტექსტის შინაარსთან დაკავშირებული შეკითხვებია. ამ კითხვებზე პასუხს ტექსტიდან ექსპლიციტური ინფორმაციის ამოღება ესაჭიროება

აქ ტექსტის ენასთან – ლექსიკასთან, ფრაზეოლოგიზმებსა და მხატვრულ ხერხებთან – დაკავშირებული შეკითხვებია.

ამ ნაწილში შედარებით რთული შეკითხვებია. საკმარისი აღარაა მხოლოდ ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაცია. მოსწავლეს ესაჭიროება, დაფიქრდეს და დაინახოს კავშირები ტექსტის სხვადასხვა ნაწილს შორის, გაიაზროს, რა შეიძლება იგულისხმებოდეს ამა თუ იმ ფრაზაში, მოახდინოს ტექსტის ინტერპრეტირება საკუთარ თუ სხვათა გამოცდილებაზე დაყრდნობით და ა.შ.

ამ ბლოკის ბოლო ნაწილია დავალებები. იგულისხმება წერითი დავალებები.

# თეორიული მასალის ტიპური გვერდის ნიმუში

ეს ნიშანი გვიჩვენებს, რომ შემოდის თეორიული მასალა, რომელიც მომწვანო ჩარჩოშია ჩასმული.



# თეორია

### თხრობა, აღწერა, მსჯელობა

მხატვრულ ნაწარმოებში შეიძლება შეგვხვდეს ბუნების, პერსონაჟის, რაიმე ადგილის ან სიტუაციის აღწერა. მაგალითად, ქვემოთ მოცემულ ნაწყვეტში აკაკი წერეთელი აღწერს საკლასო ოთახს:

„მოზრდილები სკამზე იჯდენ სულგანაბული და ახალმოსწავლე პატარები კი ჯგუფ-ჯგუფად კედლებთან იყვენ ატუზული. აქ კედელზე ირგვლივ ქაღალდის ფიცრები იყო ჩამოკიდებული, ზედ ანბანი და ამოსაღები ეწერა და იმას აკითხებდენ ყმაწვილებს. ჯგუფს ერთი უფროსი ჰყავდა და ის ასწავლიდა: ხელში ეჭირა წკეპლა და, შეეშლებოდა თუ არა ბავშვს კითხვა, უცხუნებდა და უცხუნებდა. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდენ და, როცა შემოუვლიდენ კედლებს, მერე კი ნება ჰქონდათ სხვებთან დამჯდარიყვნენ ისინიც სკამზე.“

შემდეგ კი მოგვითხრობს იმის შესახებ, როგორ შემოირბინა პირველსავე დღეს ყველა კედელი, როგორი წესები იყო გიმნაზიაში და სხვ.

როდესაც ავტორი რაიმე ამბავს გვიყვება, ასეთ დროს ტექსტი თხრობითი ხასიათისაა (იხილე, მაგალითად, აკაკი წერეთლის „გიმნაზიაში“ 37-ე-მე-60 სტრიქონები).

როცა ავტორს უნდა, რომ თავისი მოსაზრება დაგვისაბუთოს, იგი მსჯელობას მიმართავს და ამ დროს არგუმენტებს იყენებს.

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო ალამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას.

*ვაჟა-ფშაველა*

როგორც ხედავ, აქ მოხმობილ თითოეულ მონაკვეთს განსხვავებული ფუნქცია აქვს. ფუნქციის მიხედვით ტექსტები შეიძლება დაიყოს სამ სახეობად. ესენია: **აღწერა, თხრობა და მსჯელობა**.

ერთსა და იმავე ნაწარმოებში ხშირად სამივე სახეობის ტექსტი გვხვდება.

### დავალებები

1. მოძებნე „ჩემი ბავშვობის სკოლაში“ აღწერითი ტექსტის ნიმუში. მიუთითე სტრიქონების ნომრები.
2. მოძებნე „ჩემი ბავშვობის სკოლაში“ თხრობითი ტექსტის ნიმუში.

თავი 1

19

თეორიულ ნაწილს თითქმის ყოველთვის ერთვის დავალებები. ტექსტებისაგან განსხვავებით, აქ მხოლოდ კითხვები და დავალებებია.

# თავის შემაჯამებელი დავალებების ნიმუში



## პირველი თავის შემაჯამებელი დავალებები

1. დაწერე თხზულება „ჩემთვის იდეალური სკოლა“. გაითვალისწინე შემდეგი ასპექტები:
   - როგორი უნდა იყოს შენთვის იდეალური სკოლის შენობა;
   - როგორი ადამიანი უნდა მართავდეს;
   - როგორი პედაგოგები უნდა ასწავლიდნენ;
   - რა უნდა მოეთხოვებოდეს მოსწავლეებს;
   - როგორი უნდა იყოს ურთიერთობა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის;
   - როგორი უნდა იყოს სწავლების ფორმა და შინაარსი.

   (დავალება შეგიძლიათ, შეასრულოთ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.)

**ჯგუფური დავალება**

2. კლასელებთან ერთად შეიმუშავე „მოსწავლე-მასწავლებლის ქცევის კოდექსი“, ანუ წესების ჩამონათვალი, რომლის დაცვა ორივე მხარისთვის აუცილებელია.

**რა წავიკითხოთ ამ თემაზე**

- აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“
- რევაზ ინანიშვილის მოთხრობები: „ეთერი“, „დამრიგებელი“
- ლადო მრელაშვილის „იყალთოელი ბიჭები“
- „ანე ფრანკის დღიური“
- ჯინ ვებსტერის „გრძელფეხება მამილო“
- რ. ჯ. პალაციოს „საოცრება“
- რენე რეჯანის „ხვალ, ზეგ“
- ანა გავალდას „35 კილო იმედი“
- ლინდა მალალი ჰანთის „თევზი ხეზე“

**რა ვნახოთ ამ თემაზე**

- „გუნდის მომღერლები“ (რეჟისორი: კრისტოფ ბარატიე)
- „სუფთა დაფა“ (რეჟისორი: ოთარ შამათავა)
- ანიმაცია „წისქვილის დარაჯი“ (რეჟ: რობერტ კონდო)
- „აკაკის აკვანი“ (რეჟისორი: კ.პიპინაშვილი)
- „საოცრება“ (რეჟისორი: სტივენ ჩობსკი)

ბავშვები სკოლაში

თავი 1

35

თუ დავალება ჯგუფურია, წითელ ფონზე დასმული შრიფტითაა მითითებული. ეს ერთგვარი ლოგო გამოიყენება არა მხოლოდ შემაჯამებელი ჯგუფური დავალებებისათვის, არამედ ნებისმიერი ჯგუფური დავალებისათვის, რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება.

ყოველ თავს ბოლოში ახლავს იმ სარეკომენდაციო წიგნებისა და ფილმების ჩამონათვალი, რომლებიც შესაბამის თემაზეა.




## ქართული ენა

### მოსწავლის წიგნი

ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის სტანდარტში გრამატიკის საკითხებიდან რეკომენდებულია შემდეგი საკითხები:

### მორფოლოგია

**ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები:**

- სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი): სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით; სახელთა ბრუნება; სახელთა წარმოქმნა; კომპოზიცია.
- ზმნა: ძირითადი ზმნური კატეგორიები; გარდამავლობა; ზმნისწინი; ზმნის უღლება; თავისებური ზმნები.
- სახელზმნები (საწყისი და მიმღეობა).

**ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები:**

- ზმნიზედა (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის);
- თანდებული (ცალკე მდგომი და შერწყმული);
- კავშირი და მისი ჯგუფები;
- ნაწილაკი და მისი ჯგუფები;
- შორისდებული და მისი ჯგუფები.

### სინტაქსი

- სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა ;
- წინადადების წევრები: მთავარი და არამთავარი წევრები;
- წინადადება: წინადადება მოდალობის მიხედვით; წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; რთული წინადადების სახეები; წინადადებათა შეერთების საშუალებები; დამოკიდებული წინადადების სახეები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.
- განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები;
- პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.

აღნიშნულ ენობრივ-გრამატიკულ საკითხებთან დაკავშირებული სალიტერატურო ენის ნორმები, მართლწერა, პუნქტუაცია.

http://ncp.ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/sabazo-safekhuri-vi-ix-klasebi-proeqti-sadjaro-gankhilvistvis

წარმოდგენილი სახელმძღვანელოს ავტორთა ჯგუფის გადაწყვეტილებით, სტანდარტით რეკომენდებული მასალა ასე გადანაწილდა:

- ▶ მე-7 კლასი ეთმობა ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილებიდან სახელებს, მათთან დაკავშირებულ სალიტერატურო ენის ნორმებს, მართლწერას, ასევე მე-7 კლასში შემოდის ისეთი საკითხები, როგორებიცაა ქართული ენა და მისი ადგილი, ქართული დამწერლობის საკითხები და სახეები.
- ▶ მე-8 კლასი დაეთმობა ზმნისა და ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების შესწავლას,
- ▶ ხოლო მე-9 კლასი – სინტაქსის შესწავლას.

## სახელმძღვანელოს შინაარსი

მე-7 კლასის სახელმძღვანელო შედგება 8 თავისა და 48 პარაგრაფისგან: თითოეულ თავს ახლავს ერთი ჯგუფური დავალება და ერთი შემაჯამებელი ტესტი.

# შინაარსი


**თავი 1 ენა და დამწერლობა** 5

1. მსოფლიო ენები და ქართული ენა 6
2. ქართული ენის დიალექტები 8
3. დამწერლობათა ტიპები 11
4. ქართული დამწერლობის სახეები 14

**თავი 2 საზოგადო არსებითი სახელები** 23

1. თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი არსებითი სახელები 24
2. თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება 27
3. ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება 32
4. ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება მრავლობით რიცხვში 36
5. კუმშვად-კვეცადი სახელები 39
6. სავრცობი 41
7. თანდებულიანი ბრუნვები 44
8. თანდებულიანი სახელების მართლწერა 48

**თავი 3 საკუთარი არსებითი სახელები** 55

1. ადამიანის საკუთარი სახელის ბრუნება 56
2. გვარების ბრუნება 59
3. სახელისა და გვარის ერთად ბრუნება 63
4. გეოგრაფიული სახელები 66
5. გეოგრაფიული სახელების წარმოება და ბრუნება 68

**თავი 4 ნაწარმოები სახელები** 75

1. სიტყვების წარმოება 76
2. სიტყვების აგებულება 79
3. ხმაბაძვითი სიტყვები 82
4. პროფესიის სახელები 84
5. აბსტრაქტული სახელები 86
6. ქონებისა და უქონლობის სახელები 88

**7.** წინა ვითარების სახელები 90
**8.** დანიშნულების სახელები 92
**9.** კნინობით-ალერსობითი სახელები 94
**10.** წარმომავლობის სახელები 96

## თავი 5 ზედსართავი სახელი 101

**1.** ზედსართავი სახელის ჯგუფები 102
**2.** ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები 105
**3.** ცალკე მდგომი ზედსართავი სახელის ბრუნება 109
**4.** ზედსართავი სახელი არსებით სახელთან ერთად 111

## თავი 6 რიცხვითი სახელი 119

**1.** რიცხვითი სახელის ჯგუფები 120
**2.** რაოდენობითი რიცხვითი სახელის ჯგუფები წარმოების მიხედვით 122
**3.** რაოდენობითი რიცხვითი სახელის მართლწერა 125
**4.** რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოება და მართლწერა 127
**5.** წილობითი რიცხვითი სახელების წარმოება და მართლწერა 130
**6.** რიცხვითი სახელების ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად 132

## თავი 7 ნაცვალსახელი 139

**1.** ნაცვალსახელის ჯგუფები 140
**2.** I და II პირის ნაცვალსახელები 143
**3.** III პირის ნაცვალსახელები 146
**4.** ჩვენებითი ნაცვალსახელები 149
**5.** კითხვითი ნაცვალსახელები 151
**6.** კუთვნილებითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები 154
**7.** ნაწილაკდართული ნაცვალსახელები 158

## თავი 8 კომპოზიტები 165

**1.** კომპოზიტები 166
**2.** ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტები 169
**3.** სხვადასხვა ფუძის შერწყმით მიღებული კომპოზიტები 171
**4.** აბრევიატურები 174

რასაკვირველია, ვითვალისწინებთ, რომ მე-6 კლასის ჩათვლით მოსწავლეებს გარკვეული საკითხები სახელის მორფოლოგიიდან შესწავლილი აქვთ. სახელმძღვანელო მისდევს კონსტრუქტივისტულ მიდგომას, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ამიტომ არსებითი სახელის შესწავლა არ იწყება ისეთი საკითხებით, როგორებიცაა, მაგალითად, არსებითი სახელის რაობა, შინაარსობრივი ჯგუფები, თუნდაც ბრუნება და ბრუნვის ნიშნები. არამედ ამ ცოდნაზე დაყრდნობით, ამ ცოდნის გააქტიურების შედეგად სახელმძღვანელო ყურადღებას ამახვილებს კლასიფიკაციის საკითხებზე, ცოდნის განზოგადებაზე. დიდი დრო და ყურადღება ეთმობა მართლწერის საკითხებს არა მხოლოდ სპეციალურად მომზადებულ წინადადებებში, არამედ ტექსტებში შეცდომების აღმოჩენისა და გასწორების ე.წ. რედაქტირების უნარების განვითარებისთვის.

# სტანდარტული პარაგრაფის სტრუქტურული ელემენტები

I ნაწილი
დავალება ყველგან სხვადასხვაა


1 თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი არსებითი სახელები

1. დააკვირდი ქვემოთ მოცემულ სიტყვებს და იმსჯელე:

ა. როგორ გაანაწილებდი ამ სიტყვებს ჯგუფებში ფუძის დაბოლოების მიხედვით?

ბ. რამდენ ჯგუფს გამოყოფდი?

მზე, სახლი, ხელსაცხებელი, ცა, მეტრო, სიყვარული, წერა, მაგიდა, ტომარა, აკვარიუმი, სასახლე, სავარძელი, სახლი, მატარებელი, ვარსკვლავი, უთო, მასწავლებელი

2. წაიკითხე ქვემოთ მოცემული ტექსტი და შეასრულე დავალებები:

არსებითი სახელები ფუძის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: ხმოვანფუძიანებად და თანხმოვანფუძიანებად. ბრუნების თავისებურებების მიხედვით თითოეულ ჯგუფში კიდევ გამოიყოფა ქვეჯგუფები:

თანხმოვანფუძიანი: უკუმშველი (სახლი), კუმშვადი (მასწავლებელი)
ხმოვანფუძიანი: უკვეცელი (უთო), კვეცადი (მზე), კუმშვად-კვეცადი (ტომარა)

სახელის ფუძე რომ ვიპოვოთ, სახელი უნდა ჩავსვათ **მხოლობითი რიცხვის მოთხრობით ან მიცემით ბრუნვაში**, ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი და რაც დარჩება, იქნება ფუძე:

**სახლ**-ი, **სახლ**-მა, **სახლ**-ს; **ხე**, **ხე**-მ, **ხე**-ს.

სახელის ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნას ეწოდება **კუმშვა**: წყალი – წყალ-ის

სახელის ფუძის ბოლო ხმოვნის ჩამოშორებას ეწოდება **კვეცა**: მზე – მზ-ის

თავი 2 საზოგადო არსებითი სახელები

24

დაწერე რვეულში დასაბუთებული პასუხი

2.1 რომელია სწორი:

ა. არსებითი სახელები ფუძის მიხედვით იყოფა 2 ჯგუფად: თანხმოვანფუძიანებად და ხმოვანფუძიანებად.

ბ. არსებითი სახელები ფუძის მიხედვით იყოფა 3 ჯგუფად: კუმშვადებად, კვეცადებად და კუმშვად-კვეცადებად.

გ. არსებითი სახელები ფუძის მიხედვით იყოფა 2 ჯგუფად: უკუმშველებად და კუმშვადებად.

2.2 რის მიხედვით გამოიყოფა 5 ქვეჯგუფი:

ა. ფუძის დაბოლოების მიხედვით.

ბ. ბრუნების თავისებურების მიხედვით.

2.3 სახელის ფუძე ყოველთვის ჩანს:

ა. მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში.

ბ. მხოლობითი რიცხვის მოთხრობით ბრუნვაში.

გ. წოდებით ბრუნვაში.

3. სავარჯიშოები და დავალებები

დაწერე რვეულში

3.1 დაწერე რვეულში შემდეგი სიტყვების ფუძეები:

ყანებად, სახელი, ცხვარო, ძაღლით, ხის, საქათმეს, მაცივრის, ვარდმა, კატები

იმსჯელე

3.2 დაასახელე თანხმოვანფუძიანი სახელები:

მაგიდა, სარკე, სიცილი, მანქანა, მატარებელი, ჩაი, სკოლა, მანდარინი, სკოლა, ტაქსი, რვეული, სარკე, კომპიუტერი

თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი არსებითი სახელები

25

II ნაწილი
დავალება ყოველთვის ერთნაირია

III ნაწილი
დავალება ყოველთვის ერთნაირია

**I ნაწილი** ამოწმებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ამავე დროს, მოსწავლეებს უქმნის გან-წყობას კონკრეტულ მასალაზე სამუშაოდ. სასურველია, დავალება მოსწავლეებმა ჯგუფურად ან წყვილებში შეასრულონ. ასევე კარგი იქნება, თუ წიგნში მოცემულ მასალას მასწავლებელი მოს-წავლეებს გაკვეთილზე გადასცემს ბარათების სახით, რომლებზეც მოსწავლეები იმუშავებენ.

ამ დავალების მიზანი და მასწავლებლის მოლოდინი არ არის, ყველა ჯგუფმა სწორად შეასრუ-ლოს დავალება. მაგალითად, მოსწავლეებს ევალებათ გარკვეული მასალის დაჯგუფება, ამა თუ იმ სიტყვის გარკვეულ ფორმაში ჩასმა, სწორი და არასწორი ვარიანტების შერჩევა და ა. შ. მოსალოდ-ნელია, რომ მოსწავლეები სხვადასხვაგვარად შეასრულებენ დავალებებს, არ ეცოდინებათ სწორი ფორმა, ან ზუსტად ვერ ახსნიან, რატომ მიიჩნიეს ესა თუ ის ფორმა სწორად. მაგრამ ამჯერად მასწავლებლის მიზანია, ყველამ გამოთქვას თავისი ვარაუდი, თუნდაც მცდარი, და ინტერესით შეუდგეს სწორი პასუხის გარკვევას.

კარგი იქნება, თუ მასწავლებელი სწორ ვარიანტს არ გააჟღერებს პირველ დავალებაზე მუშაო-ბის დასრულებისთანავე და მოსწავლეებს მოუწოდებს, განაგრძონ მუშაობა და გაკვეთილის ბო-ლოსთვის დაასახელონ სწორი პასუხი. პასუხთან ერთად კი მნიშვნელოვანია ახსნა, გაცნობიერება, თუ რატომ მიიჩნევა ეს თუ ის გადაწყვეტილება სწორად.

**II ნაწილი** მოიცავს თეორიულ მასალას და ყველა პარაგრაფში დავალების პირობა ასეთია: **წაიკითხე ქვემოთ მოცემული ტექსტი და შეასრულე დავალებები:** აქ თეორიულ მასალას ახლავს დახურული კითხვები, რომლებიდანაც მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ სწორი ვარიანტი. კითხვები იმგვარადაა დასმული, რომ მოსწავლეს კიდევ ერთხელ აბრუნებს პარაგრაფის საკვანძო საკითხ-ებთან. სავარაუდო პასუხები შინაარსობრივად, ძირითადად, ახლოს არის ერთმანეთთან და მოს-წავლისგან მოითხოვს დაკვირვებასა და ტექსტის დეტალურად გააზრების უნარს. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი თითოეული დახურული შეკითხვის შემთხვევაში მოსწავლისგან მოითხოვს პასუხის ახსნასა და დასაბუთებას მაგალითების მეშვეობით.

**III ნაწილი** მოიცავს სავარჯიშოებსა და დავალებებს პარაგრაფში მოცემული კონკრეტული მასა-ლის ირგვლივ. ამ ნაწილის სათაურია: 3. შეასრულეთ დავალებები. მოცემული სავარჯიშოებისა და პრაქტიკული დავალებების მეშვეობით მოსწავლეებმა უკეთ უნდა გაიაზრონ თეორიული საკითხი.

მართალია, სახელმძღვანელოში თეორიული მასალა წინ უძღვის პრაქტიკულ სავარჯიშოებს, მა-გრამ მასწავლებელს შეუძლია კლასს მუშაობა დააწყებინოს რომელიმე პრაქტიკული (მე-3 ნაწილ-იდან აღებული) სავარჯიშოთი. სთხოვოს მოსწავლეებს, დავალების შესრულების შემდეგ თვითონ ჩამოაყალიბონ კონკრეტული წესი და მხოლოდ ამის შემდეგ მეორე ნაწილში მოცემულ მასალაში გადაამოწმებინოს თავისი ვარაუდი. პარაგრაფში მოცემული დავალებები შესაძლებელია მოსწავ-ლეებმა შეასრულონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად ან წყვილებში.

## პროექტი

თავის ბოლოს მოცემული პროექტი განკუთვნილია ჯგუფური მუშაობისთვის და სასურველია, დაეთმოს 1 საგაკვეთილო საათი, რომელზეც ჯგუფები თავიანთ ნამუშევრებს წარმოადგენენ პრეზენტაციის სახით, იმსჯელებენ და შეაფასებენ. სახელმძღვანელოში მოცემული პროექტული დავალებები არა მხოლოდ საგნობრივი ცოდნის განმტკიცებაში დაეხმარება მოსწავლეებს, არამედ ხელს შეუწყობს გარკვეული უნარების გამომუშავებას, როგორებიცაა ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობის, ურთიერთდახმარების; ასევე მოსწავლეებისგან მოითხოვს შემოქმედებით მიდგომას საკითხისადმი. მასწავლებელმა პროექტულ დავალებებზე უკუკავშირის მიცემისას ყურადღება უნდა გაამახვილოს სწორედ შემოქმედებით მიდგომაზე. დავალების შესასრულებლად კი, სასურველია, მასწავლებელმა კლასი დაყოს ჯგუფებად, საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს ჯგუფებს კომპლექსური დავალების პირობის სრულყოფილად გაგებაში, ასევე ჯგუფში ფუნქციების გადანაწილებაში. მოსწავლეებს დავალების შესასრულებლად უნდა ჰქონდეთ რამდენიმე დღე მაინც. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი საბოლოო პრეზენტაციამდე გადახედავს მოსწავლეთა ნამუშევრებს და მისცემს მითითებებს.

# ყოველი თავის ბოლოს მოთავსებული პროექტის ნიმუში


პროექტი

გაიცნოთ ქართული ხელნაწერები

1. მოიძიეთ ინფორმაცია სხვადასხვა ქართული ხელნაწერის შესახებ.
2. სცადეთ, გაარკვიოთ თქვენ მიერ შერჩეული ხელნაწერის ისტორია, მოიპოვოთ ნებისმიერი ინფორმაცია მის შესახებ.
3. შეძლებისდაგვარად გააფორმეთ თქვენი ნამუშევრები ფოტომასალით. შეგიძლიათ, მოამზადოთ პოსტერი, ბარათები, კედლის გაზეთი ან სხვა თვალსაჩინოება.
4. წარმოადგინეთ კლასში პრეზენტაცია.

ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“, 1712 წ.

სულხან-საბა ორბელიანის ხელით დაწერილი „მოგზაურობა ევროპაში“

ქართული დამწერლობის სახეები

21

## შემაჯამებელი ტესტი

გამოდგება როგორც მოსწავლეთა თვითშეფასებისთვის, ასევე განმავითარებელი და, საჭიროების შემთხვევაში, განმსაზღვრელი შეფასებებისთვისაც. ტესტი მოიცავს ღია კითხვებს თეორიული მასალიდან და პრაქტიკულ სავარჯიშოებს. პრაქტიკული დავალება ითვალისწინებს ტექსტის რედაქტირებას – ტექსტში შეცდომების აღმოჩენასა და გასწორებას. ყოველი ტექსტი მოიცავს როგორც ამ თავში შესწავლილი მასალის საფუძველზე გასასწორებელ შეცდომებს, ასევე წინა თავებში ნასწავლი მასალის მიხედვით შესასწორებელ შეცდომებსაც. ასეთივე ტექსტები მოცემულია სახელმძღვანელოს ბოლოსაც.

# შემაჯამებელი ტესტის ნიმუში

კითხვები თეორიული ცოდნის შესამოწმებლად


შემაჯამებელი ტესტი 6

1 რიცხვითი სახელების რამდენი ჯგუფი გამოიყოფა შინაარსის მიხედვით?

2 რას აღნიშნავს წილობითი რიცხვითი სახელი?

3 რიცხვითი სახელის რამდენი ჯგუფი გამოიყოფა ფუძის აგებულების მიხედვით?

4 დაასახელე სამი წილობითი რიცხვითი სახელი

5 დაასახელე სამი რაოდენობითი რიცხვითი სახელი.

6 როგორ იბრუნვის ცალკე მდგომი რიცხვითი სახელი?

7 როგორ იბრუნვის რიცხვითი სახელი არსებით სახელთან ერთად?

ორი ათას ხუთასმეორე

ორმოცდამეათე

მეშვიდე

ასოცდამერვე

8 რვეულში აბრუნე:

ცხრამეტი წელი

ორი ათას

მესამე ადგილი

9 იპოვე და გაასწორე შეცდომები. სწორი ფორმები გადაიტანე რვეულში. ახსენი შენი შესწორებები. გაითვალისწინე, რომ ყველა წინადადებაში შესაძლოა არ იყოს შეცდომა:

1. ათასხუთასი მეომარი გამოიყვანა მეფემ ბრძოლის ველზე.
2. შვიდიათას სამასორმოცდახუთი ტონა კარტოფილი აიღეს მთელ ფართობზე.
3. ასმეხუთე სკოლის შენობა წელს გაარემონტეს.
4. ამ ქუჩაზე ორმოზდარვა ნომერი სახლი არაა.
5. მე-16-ე კორპუსში ჩემი მეგობარი გადმოვიდა საცხოვრებლად.
6. ხუთ ხუთი მოსწავლე შევიდა საგამოცდო აუდიტორიაში.
7. მეოცდაერთე საუკუნე ახალი სამედიცინო აღმოჩენების საუკუნე იქნება.

რიცხვითი სახელების ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად

137


6 შემაჯამებელი ტესტი

8. ლარინგოლოგი 25-ე ოთახშია.
9. მე-100-ე ნომერი ავტობუსი სადგურთან ახლოს ჩერდება.
10. XX-ე რიგში ნაცნობი მამაკაცი იჯდა თავის მეუღლესთან ერთად.
11. დედამ სამ-ნახევარი კილოგრამი შაქრის ყიდვა მთხოვა.
12. მეორადი ტანსაცმლის მაღაზიები ძალიან მომრავლდა ქალაქში.
13. ათ ლიტრ-ნახევარ ბენზინს წვავს ჩემი მანქანა ამ მანძილზე.
14. სამუშაოს ერთი-მეოთხედი უკვე დავასრულე.
15. 23-ე ნომერს 65-ემ აჯობა სწრაფ გარბენში.
16. 1-ლმა კონკურსანტმა მე-10-ე ადგილზე გადაინაცვლა.

10 იპოვე ტექსტში შეცდომები და გაასწორე. სწორი ფორმები გადაიტანე რვეულში. ახსენი შენი შესწორებები:

ილია ჭავჭავაძე ჭავჭავაძეების ყვარელის შტოს მიეკუთვნებოდა. ჩვენთვის ცნობილი მისი უძველესი წინაპარია როშნია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძეს პაპა, პაატა ბესპაზის ძე ჭავჭავაძე, აქტიურად მონაწილეობდა ბრძოლაში, რომელშიც სოლომონ მე-II-მ დაიბრუნა იმერეთის სამეფო ტახტი. პლატონი იოსელიანის ცნობით, პაატას სოლომონისთვის დახმარება ერეკლე II დაავალა. გიორგი XII-მ პაატა ჭავჭავაძეს უბოძა ბახტრიონიდან გავაზამდე გაღმამხარის ხუთასისთავობა. მე-XIX-ე საუკუნის 20-იან წლებში პაატა ჭავჭავაძე დაიღუპა ლეკებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობით. პაატას ცოლად ჰყავდა მარიამი (პელაგია) მელქისედეკის ასული ანდრონიკაშვილი, რომელთანაც შეეძინა შვილები: მაკრინე, მიხეილ, სვიმონ, ალექსანდრე, გრიგოლ, გარსევანი და იოსები.

ილია დაიბადა გადამდგარი ოფიცერის, თავადი გრიგოლ ჭავჭავაძეს ოჯახში. 10 წლისას გარდაეცვალა დედა — მარიამი ბებურიშვილი, 15 წლისას — მამა. დაობლებული ილიას და მისი და-ძმების მოვლა-პატრონობა მამიდამ, მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისამ იტვირთა.

თავი 6 რიცხვითი სახელი

138

პრაქტიკული სავარჯიშოები

ტექსტის რედაქტირება




# მასწავლებლის წიგნი

მოცემული წიგნი წარმოადგენს მასწავლებლისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოს. მისი მიზანია, მასწავლებლებს გაუადვილოს სასწავლო პროცესში მოსწავლის წიგნების გამოყენება. შესაბამისად, აქ არა მხოლოდ სახელმძღვანელოს სტრუქტურასა თუ აგების პრინციპებზეა საუბარი, არამედ მოცემულია სხვადასხვა მასალა, რომელთა დახმარებითაც, ვფიქრობთ, მასწავლებელს საქმიანობა გაუადვილდება.

მასწავლებლის წიგნის ბოლო ნაწილში გთავაზობთ რამდენიმე სანიმუშო (ტიპური და არატიპური) გაკვეთილის სცენარს.

# ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები ესგ-ის მიხედვით

| შედეგების ინდექსი | მიმართულება: ტექსტის გაგება-გაანალიზება | ცნებები |
|---|---|---|
| | მოსწავლემ უნდა შეძლოს: | |
| ქართ.საბ.1. | ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება; | ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები<br>კომპოზიციური ელემენტები<br>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები<br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>ტექსტის კონტექსტი<br>მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა)<br>ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)<br>სტრატეგიები:<br>ზეპირმეტყველების სტრატეგიები<br>კითხვის სტრატეგიები<br>წერის სტრატეგიები<br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები |
| ქართ.საბ.2. | ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა; | |
| ქართ.საბ.3. | ტექსტის კომპოზიციური ელემენტების გააზრება მთლიანი ტექსტის ფარგლებში; | |
| ქართ.საბ.4. | ტექსტის კრიტიკული გააზრება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით. | |
| | მიმართულება: ცოდნისა და იდეების გაზიარება | |
| | მოსწავლემ უნდა შეძლოს: | |
| ქართ.საბ.5. | ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით); | |
| ქართ.საბ.6. | ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ტექსტების შედარება და მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებებზე; | |
| ქართ.საბ.7. | საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება; | |
| ქართ.საბ.8. | სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს). | |
| | მიმართულება: ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება | |
| | მოსწავლემ უნდა შეძლოს: | |
| ქართ.საბ.9. | ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს); | |
| ქართ.საბ.10. | სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს). | გრამატიკა |
| | მიმართულება: სტრატეგიების გამოყენება | |
| | მოსწავლემ უნდა შეძლოს: | |
| ქართ.საბ.11. | ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება; | |
| ქართ.საბ.12. | სწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით. | |

# სტანდარტის შედეგის მიღწევისა და სახელმძღვანელოს შინაარსის ურთიერთკავშირის მატრიცა

| | გაკვეთილებისა და თემების დასახელება | თავი 1. ბავშვები სკოლაში | გიმნაზიაში | თეორია. ავტორი, მთხრობელი, პერსონაჟი | ჩემი ბავშვობის სკოლა | თეორია. თხრობა, აღწერა, მსჯელობა | ახალი მოსწავლე | გამოუსწორებელი ლაქლაქა | თეორია. დღიური |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სტრატეგიების გამოყენება | **ქართ. საბ. 12.** სწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით. | | | | | | | | |
| | **ქართ. საბ. 11.** ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება; | | ■ | | | | | | ■ |
| ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება | **ქართ. საბ. 10.** სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს). | | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ |
| | **ქართ. საბ. 9.** ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს); | | | ■ | | | ■ | ■ | |
| ცოდნისა და იდეების გაზიარება | **ქართ. საბ. 8.** სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს). | | | | | | | | |
| | **ქართ. საბ. 7.** საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება; | | ■ | | ■ | | ■ | ■ | |
| | **ქართ. საბ. 6.** ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ტექსტების შედარება და მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებებზე; | | | | | | | | |
| | **ქართ. საბ. 5.** ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით); | | | | | | ■ | ■ | |
| ტექსტის გაგება-გაანალიზება | **ქართ. საბ. 4.** ტექსტის კრიტიკული გააზრება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით. | | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | |
| | **ქართ. საბ. 3.** ტექსტის კომპოზიციური ელემენტების გააზრება მთლიანი ტექსტის ფარგლებში; | | ■ | | | | | | |
| | **ქართ. საბ. 2.** ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა; | | ■ | | ■ | | ■ | ■ | |
| | **ქართ. საბ. 1.** ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება; | | ■ | | ■ | | ■ | ■ | |
| **სასწავლო დროის ხანგრძლივობა (სთ)** | | 11 | | | | | | | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავტობიოგრაფია | | | | | | | | | | | ■ | ■ | |
| თეორია. ავტობიოგრაფია და ავტობიოგრაფიული ნაწარმოები | | | | | | | | | | | ■ | ■ | |
| თეორია. სივი CV | | | | | | | | | | | ■ | ■ | |
| ორი წერილი მასწავლებლებს | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | | | |
| თეორია. წერილი | | | | | | | | | ■ | | ■ | | |
| თეორია. იმეილი ანუ ელექტრონული წერილი | | | | | | | | | ■ | | ■ | | |
| თავი 2. ოჯახური გარემო | 12 | | | | | | | | | | | | |
| ვანო | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ | | ■ | ■ | ■ | ■ |
| თეორია. ავტორის გამონაგონი ანუ მხატვრული ნაწარმოები | | | | | | ■ | | | | | | | |
| ვინა თქვა ჩვენზე, ვიწროდ არიან... | | ■ | ■ | ■ | ■ | | | | | ■ | | | |
| თეორია. პროზა, პოეზია და დრამატურგია | | | | | | | | | ■ | ■ | ■ | | |
| თეორია. პროზაული ტექსტები | | | | | | | | | | ■ | ■ | | |
| ერთ მშვენიერ დღეს | | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | | | | ■ | |
| თეორია. პიესები ანუ დრამატული ნაწარმოებები | | | | | | | | | ■ | | ■ | | |
| ვაჟა-ფშაველას ოჯახი | | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | | | | | |
| მთის გადაღმა | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | ■ | ■ |
| თავი 3. წიგნი | 11 | | | | | | | | | | | | |
| სურათებიანი წიგნი | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ | | ■ | | ■ | |
| თეორია. წიგნები ძველად | | ■ | | | | | | | | | | | |
| ლოჭინში | | ■ | ■ | | ■ | | ■ | | | | | | |
| შემთხვევა ლოჭინში | | | | | | | ■ | | | | | ■ | |
| თეორია. ელექტრონული წიგნები და რიდერები | | ■ | | | | | | | | | | | |
| წიგნების გასაყიდად წასვლა | | ■ | ■ | | ■ | | | ■ | | ■ | | ■ | |
| რისთვის სჭირდებათ ბავშვებს წიგნები? | | ■ | ■ | | ■ | | | ■ | | | | | |
| თეორია. პუბლიცისტური წერილი | | | | | | | | | ■ | | ■ | | |
| თეორია. საინფორმაციო ცნობა | | | | | | | | | ■ | | ■ | | |
| თეორია. რეკლამა და წიგნის ანოტაცია | | | | | | | | | ■ | | ■ | | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. ელექტრონული წიგნების მაღაზია | | ■ | | | | | | | | | | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. ვიკიპედია და ონლაინ-წიგნები | | ■ | | | | | | | ■ | | ■ | | |
| თავი 4. ძველი და ახალი დროის გმირები | 13 | | | | | | | | | | | | |
| დავითი და გოლიათი | | ■ | ■ | | ■ | ■ | | | | | | ■ | |
| ოდისევსი და ციკლოპი | | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | | ■ | | ■ | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. შედარება | | | | | | | | | | ■ | | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. მეტაფორა | | | | | | | | | | ■ | | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. ბიბლია | | ■ | | | | | | | | | | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. „ილიადა“ და „ოდისეა“ | | ■ | | | | | | | | | | ■ | |
| ვახტანგ გორგასალი | | ■ | ■ | | ■ | | ■ | | | | | ■ | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. ეპითეტი | | | | | | | | | | ■ | | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. შოთა რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ | | ■ | | | | | | | | | | | |
| ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა | | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | | ■ | | ■ | ■ |
| ბეტმენის და ჯოკერის ორთაბრძოლა | | ■ | | | ■ | | | | | | ■ | | |
| თეორია. კომიქსი ანუ გრაფიკული რომანი | | ■ | | | | | | | | | ■ | | |
| თავი 5. ძველი თბილისი | 11 | | | | | | | | | | | | |
| მოხერხებული ჩარჩი | | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | | | | ■ | |
| მოგზაურის თვალით | | ■ | ■ | | ■ | | ■ | ■ | | | | | |
| ცხოვრება ძველ თბილისში | | ■ | ■ | | ■ | | ■ | ■ | | | | ■ | |
| ხანძარი ოპერაში | | ■ | ■ | | ■ | | ■ | | | | | ■ | ■ |
| გამოთხოვება ძველ თბილისთან | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. ტექსტის ელემენტები | | | | | | | | | | | ■ | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. სათაური | | | | | | | | | | | ■ | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. ეპიგრაფი | | | | | | | | | | | ■ | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. სქოლიო | | | | | | | | | | | ■ | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. თავებად დაყოფა | | | | | | | | | | | ■ | | |
| დიუმა თბილისის ოპერაში მიდის | | ■ | ■ | | ■ | ■ | | | | | | ■ | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თავი 6. მგელი არ მოშლის მგლობასა, არწივი არწივობასა... | 12 | | | | | | | | | | | | |
| იცნობდეთ, მგელი | | ■ | | | | | | | | | | | |
| მთის არწივი | | ■ | | | | | | | | | | | |
| ბებერი მგელი | | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ | | | ■ | | ■ | |
| მგლის მოკვლა | | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ | | | ■ | | ■ | |
| ლობო | | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | | | | ■ | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. რამდენიმე შესაძლო მიდგომა | | ■ | | | | | | | | | | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. სამეცნიერო ნაწარმოები | | | | | | | | | ■ | | ■ | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. მხატვრული ნაწარმოები | | | | | | | | | ■ | | | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. მრავალგვარი თვალსაზრისი | | ■ | | | | | | | | | | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. სხვადასხვა თვალსაზრისის შეჯერება | | ■ | | | ■ | | | | | | | | |
| გიგია ბუბუნაურის ძმადნაფიცი | | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | | ■ | | ■ | ■ |
| არწივი და გველი | | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ | | | | | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. სუბიექტურობა მხატვრულ ლიტერატურაში | | | | | | ■ | | ■ | | | | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. ენციკლოპედია და განმარტებითი ლექსიკონი | | | | | | | | | ■ | | ■ | | |
| თავი 7. ადამიანი ბუნების სურათებში (განსხვავებული პოეზია) | 7 | | | | | | | | | | | | |
| გრაფიკული ლექსები | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | ■ | ■ | | |
| ხუთი ჰაიკუ | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | ■ | ■ | ■ | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. ლექსი | | | | | | | | | ■ | ■ | ■ | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. სტროფი და სტრიქონი | | | | | | | | | | | ■ | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. გრაფიკული ლექსები ანუ კალიგრამები | | | | | | | | | ■ | ■ | ■ | ■ | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. ვერლიბრი | | ■ | | | | | | | | | | | |
| ყარყატი | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ | | ■ | | | |
| მცირე ელეგია მამისათვის | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ | | | | ■ | ■ |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. რატომ წერს პოეტი ლექსს? | | ■ | | | | | | | | | | | |
| ᲗᲔᲝᲠᲘᲐ. შთაბეჭდილება | | ■ | | | | | | | | | | | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თეორია. გრძნობა | | | | | | | | | | | | | |
| თეორია. პათოსი | | | | | | | | | | | | | |
| თეორია. სალექსო საზომი და რიტმი | | | | | | | | | | | | | |
| თეორია. რითმა | | | | | | | | | | | | | |
| თავი 8. მითები და თქმულებები | 13 | | | | | | | | | | | | |
| ბერძნული მითი | | | | | | | | | | | | | |
| ინდური მითი | | | | | | | | | | | | | |
| თქმულება პრომეთეზე | | | | | | | | | | | | | |
| ამირანი | | | | | | | | | | | | | |
| თეორია. მითები | | | | | | | | | | | | | |
| თეორია. ლეგენდა ანუ თქმულება | | | | | | | | | | | | | |
| კოპალა | | | | | | | | | | | | | |
| კოპალა და იახსარი | | | | | | | | | | | | | |
| თეორია. ჰიპერბოლა | | | | | | | | | | | | | |
| მინდია | | | | | | | | | | | | | |
| თეორია. ფაბულა | | | | | | | | | | | | | |
| თეორია. სიუჟეტი | | | | | | | | | | | | | |
| მირიან მეფის ნადირობა | | | | | | | | | | | | | |
| თავი 9. კონფლიქტი და ზნეობრივი არჩევანი | 11 | | | | | | | | | | | | |
| შეხვედრა მენგში | | | | | | | | | | | | | |
| დუქანში | | | | | | | | | | | | | |
| გიჟია, თუ რა? | | | | | | | | | | | | | |
| ჩირიკი და ჩიკოტელა | | | | | | | | | | | | | |
| ტომის ჩხუბი | | | | | | | | | | | | | |
| თეორია. პერსონაჟის პორტრეტი | | | | | | | | | | | | | |
| თეორია. პერსონაჟის ხასიათი | | | | | | | | | | | | | |
| თეორია. **კონფლიქტი** | | | | | | | | | | | | | |

# ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს ნაწილების და თავების მიზნები

ესგ-ს მიხედვით, რეკომენდებულია, მე-7 კლასში ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოში შემავალი მასალა სტრუქტურირებული იყოს 3 თემატურ ბლოკად, თითოეული ბლოკი კი – უფრო წვრილ ელემენტებად – თემებად (ანუ ჩვენ შემთხვევაში – თავებად).

წარმოდგენილი სახელმძღვანელო ითვალისწინებს ამ სტრუქტურას. შესაბამისად, ესგ-ს თემატური ბლოკებს შეესაბამება სახელძღვანელოს ნაწილები:

| ესგ-ს თემატური ბლოკები |
|---|
| 1. ადამიანი და მისი ცხოვრება |
| 2. სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება |
| 3. მარადიული ძიებები |

| სახელმძღვანელოს ნაწილები |
|---|
| 1. ადამიანი და სამყარო მის ირგვლივ |
| 2. ძველად და ახლა |
| 3. მარადიული ძიებები |

რაც შეეხება თითოეული ნაწილის შემადგენლობას, მომცრო თემატურ ბლოკებს (ჩვენი სახელმძღვანელოს შემთხვევაში – თავებს), ისინი სრულად შეესაბამება ნაწილის სათაურს და შესაბამისად – სულისკვეთებას.

**პირველი ნაწილის** („ადამიანი და სამყარო მის ირგვლივ“) თავებად ჩვენ ავირჩიეთ ის თემები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ასაკის ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რასთანაც ბავშვს ყოველდღიური შეხება აქვს. ესენია: 1.სკოლა; 2.ოჯახი; 3.წიგნი

**მეორე ნაწილის** („ძველად და ახლა“) თავებად შერჩეულ იქნა თემები, სადაც ძიება, ახლის შეცნობა (განსაკუთრებით, ძველთან შეპირისპირების ფონზე), განსხვავებული კუთხით რაღაცის დანახვა მნიშვნელოვანია. ამიტომ, ერთი მხრივ, შეირჩა სამშობლოსა (თავი 5 „ძველი თბილისი“) და ბუნებასთან ურთიერთობაზე (თავი 6 „მგელი არ მოშლის მგლობასა“) შექმნილი ტექსტები, მაგრამ ამავე დროს, იმის ხაზგასასმელად, როგორ და რით განსხვავდება ძველი და ახალი, კიდევ ორი თემა: თავი 4 „ძველი და ახლაი დროის გმირები“ და თავი 7 „ადამიანი ბუნების სურათებში (განსხვავებული პოეზია)“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწილში ერთი თავი (თავი 7 „ადამიანი ბუნების სურათებში (განსხვავებული პოეზია)“) თითქოს განსხვავდება დანარჩენებისგან იმით, რომ არა თემატურ, არამედ ჟანრობრივ პრინციპს ეფუძნება, თუ კარგად დავაკვირდებით, ეს თავიც იზიარებს მეორე ნაწილის ძირითად სულისკვეთებას – ვამოგზაუროთ მოსწავლეები მათთვის აქამდე სრულიად უცხო სამყაროში და დავანახოთ, რომ პოეზია არა მხოლოდ ის ტრადიციული ლექსებია, რომლებსაც აქამდე სწავლობდნენ, არამედ ლექსს უამრავი სხვადასხვა ფორმა შეიძლება ჰქონდეს.

**მესამე ნაწილი** („მარადიული ძიებები“) ორ თავს მოიცავს. აქ თემებად შევარჩიეთ, ერთი მხრივ, სამყაროს შექმნასთან, ადამიანის ბოროტ ძალებთან ბრძოლას, რწმენასა და ადამიანის დანიშნულებასთან დაკავშირებული ტექსტები, რომლებსაც საფუძვლად მითები და თქმულებები უდევს. სწორედ ამიტომ ეწოდა თავს „მითები და თქმულებები“, მიუხედავად იმისა, რომ აქ შეტანილია ნაწყვეტი „გველისმჭამელიდან“, ნაწყვეტი „მირიან მეფის ნადირობა“ ლეონტი მროველიდან და სხვადასხვა ქვეყნის მითები სამყაროს წარმოშობის შესახებ. ამ თავის გარდა არის კიდევ ერთი თავი, სადაც შეტანილია ტექსტები კონფლიქტების შესახებ. ეს საშუალებას მისცემს მასწავლებელს, მხატვრული ტექსტების მეშვეობით დაანახოს მოსწავლეებს, რომ კონფლიქტების წარმოშობის საფუძველი ადამიანების ზნეობრივ ღირებულებებს შორის ფუნდამეტური სხვაობებია. ფატობრივად, კონფლიქტი ერთგვარი ზნეობრივი არჩევანის შედეგია.

სახელმძღვანელოს პირველი თავი („ბავშვები სკოლაში“) სკოლის თემაზე შექმნილ სხვადასხვა ტიპის თუ ჟანრის ტექსტებს მოიცავს.

# თავი 1 – ბავშვები სკოლაში

| თავი 1 | |
|---|---|
| ცნებები, საკითხები | ტექსტები |
| ავტორი, მთხრობელი, პერსონაჟი<br>თხრობა, აღწერა, მსჯელობა<br>დღიური<br>ავტობიოგრაფია და ავტობიოგრაფიული ნაწარმოები<br>სივი CV<br>წერილი<br>იმეილი ანუ ელექტრონული წერილი | **გიმნაზიაში** აკაკი წერეთელი<br>**ჩემი ბავშვობის სკოლა** რევაზ ინანიშვილი<br>**ახალი მოსწავლე** ჯემალ ქარჩხაძე<br>**გამოუსწორებელი ლაქლაქა** ანე ფრანკი<br>**ავტობიოგრაფია** ილია ჭავჭავაძე<br>**ორი წერილი მასწავლებლებს** |

ყოველ ტექსტს (და თავსაც) ახლავს როგორც საკვანძო შეკითხვები, ასევე სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებები (მათ შორის, საპროექტო დავალებები)

თავს ბოლოში ერთვის არა მხოლოდ შემჯამებელი დავალებები, არამედ სარეკომენდაციო წიგნებისა და ფილმების ჩამონათვალი.

პირველი თავის შესწავლის ერთ-ერთი მიზანია გარკვეული მკვიდრი წარმოდგენების ფორმირება.

| მკვიდრი წარმოდგენები |
|---|
| • ერთსა და იმავე თემაზე მრავალი სხვადასხვა ტიპის ტექსტი არსებობს;<br>• სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში შექმნილი ტექსტების ერთმანეთთან შედარებით შეგვიძლია, მივხვდეთ, როგორი გარემოა უფრო ხელსაყრელი პიროვნების განვითარებისათვის;<br>• რაც შენთვის არ გინდა, სხვას ნუ გაუკეთებ;<br>• ძალადობა სწავლის პროცესში ხელს უშლის პიროვნების ფორმირებას;<br>• გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის აღზრდაში;<br>• მასწავლებლის მოვალეობაა პიროვნების აღზრდა და ღირებულებების ჩამოყალიბება;<br>• იმისათვის, რომ წარმოვადგინოთ / გავაზიაროთ საკუთარი მოსაზრებები სკოლის და სწავლა-აღზრდის შესახებ, შეგვიძლია გამოვიყენოთ ნასწავლი ტექსტები, ცნებები და საკითხები. |

# თავი 2 – ოჯახური გარემო

| თავი 2 | |
|---|---|
| **ცნებები, საკითხები** | **ტექსტები** |
| ავტორის გამონაგონი ანუ მხატვრული ნაწარმოები<br>პროზა, პოეზია და დრამატურგია<br>პროზაული ტექსტები<br>პიესები ანუ დრამატული ნაწარმოებები | **ვანო** რევაზ ინანიშვილი<br>**ვინა თქვა ჩვენზე, ვიწროდ არიან...** შოთა ნიშნიანიძე<br>**ერთ მშვენიერ დღეს** შადიმან შამანაძე<br>**ვაჟა-ფშაველას ოჯახი** აკა მორჩილაძე<br>**მთის გადალმა** გურამ დოჩანაშვილი |

ყოველ ტექსტს (და თავსაც) ახლავს როგორც საკვანძო შეკითხვები, ასევე სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებები (მათ შორის, საპროექტო დავალებები)

თავს ბოლოში ერთვის არა მხოლოდ შემაჯამებელი დავალებები, არამედ სარეკომენდაციო წიგნებისა და ფილმების ჩამონათვალი.

მეორე თავის შესწავლის ერთ-ერთი მიზანია გარკვეული მკვიდრი წარმოდგენების ფორმირება.

| მკვიდრი წარმოდგენები |
|---|
| • ოჯახის თემაზე შექმნილია სხვადასხვა ტიპის და ჟანრის ტექსტები;<br>• ოჯახური ძალადობა ხელს უშლის ბავშვის პიროვნების ნორმალურ განვითარებას;<br>• ოჯახებში საქმიანობის დანაწილება სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში განსხვავდება;<br>• მშვიდი, სიყვარულით გაჯერებული ატმოსფერო ოჯახში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის განვითარებაში;<br>• მწერლები სხვადასხვა ენობრივი საშუალების გამოყენებით წარმოაჩენენ ხოლმე თავიანთ დამოკიდებულებას ამა თუ იმ პრობლემის მიმართ;<br>• იმისათვის, რომ წარმოვადგინოთ / გავაზიაროთ საკუთარი მოსაზრებები ოჯახის, ოჯახში გამეფებული ატმოსფეროს შესახებ, შეგვიძლია გამოვიყენოთ ნასწავლი ტექსტები, დავიხმაროთ შესწავლილი ცნებები და საკითხები. |

# თავი 3 – წიგნი

| თავი 3 | |
|---|---|
| ცნებები, საკითხები | ტექსტები |
| წიგნები ძველად<br>ელექტრონული წიგნები და რიდერები<br>პუბლიცისტური წერილი<br>საინფორმაციო ცნობა<br>რეკლამა და წიგნის ანოტაცია<br>ელექტრონული წიგნების მაღაზია<br>ვიკიპედია და ონლაინ-წიგნები | **სურათებიანი წიგნი** რეზო ჭეიშვილი<br>**ლოჟინში** რევაზ ინანიშვილი<br>**შემთხვევა ლოჟინში** ნაწყვეტი დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის წიგნიდან<br>**წიგნების გასაყიდად წასვლა** ზაალ სამადაშვილი<br>**რისთვის სჭირდებათ ბავშვებს წიგნები?** ასტრიდ ლინდგრენი |

ყოველ ტექსტს (და თავსაც) ახლავს როგორც საკვანძო შეკითხვები, ასევე სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებები (მათ შორის, საპროექტო დავალებები)

თავს ბოლოში ერთვის არა მხოლოდ შემაჯამებელი დავალებები, არამედ სარეკომენდაციო წიგნებისა და ფილმების ჩამონათვალი.

მესამე თავის შესწავლის ერთ-ერთი მიზანია გარკვეული მკვიდრი წარმოდგენების ფორმირება.

| მკვიდრი წარმოდგენები |
|---|
| • წიგნის, და ზოგადად, კითხვის მნიშვნელობის თაობაზე მრავალი სხვადასხვა ტიპის ტექსტი არსებობს უძველესი დროიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე;<br>• წიგნი საუკუნეების განმავლობაში იცვლიდა გარეგნულ ფორმას, მაგრამ უცვლელია ის, რომ წიგნში აუცილებლად არის ტექსტი (მხატვრული ან არამხატვრული);<br>• წიგნის კითხვა იმდენად სასიამოვნო პროცესი შეიძლება იყოს, რომ ადამიანს სხვა ყველაფერი დაავიწყოს;<br>• მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ და გამომსახველობით საშუალებებს იმისათვის, რომ გვიჩვენონ ადამიანების დამოკიდებულება კითხვისადმი;<br>• იმისათვის, რომ წარმოვადგინოთ / გავაზიაროთ საკუთარი მოსაზრებები წიგნის და კითხვის მნიშვნელობის შესახებ, შეგვიძლია გამოვიყენოთ ნასწავლი ტექსტები, ცნებები და საკითხები. |

# თავი 4 – ძველად და ახლა

| თავი 4 | |
|---|---|
| ცნებები, საკითხები | ტექსტები |
| შედარება<br>მეტაფორა<br>ბიბლია<br>„ილიადა“ და „ოდისეა“<br>ეპითეტი<br>შოთა რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“<br>კომიქსი ანუ გრაფიკული რომანი | **დავითი და გოლიათი** ბიბლია, პირველი მეფეთა, თავი XVII<br><br>**ოდისევსი და ციკლოპი** ჰომეროსი, „ოდისეა“, თავი IX<br><br>**ვახტანგ გორგასალი** ვახტანგ ჭელიძე<br><br>**ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა**<br><br>**ბეტმენის და ჯოკერის ორთაბრძოლა** ფრენკ მილერი |

ყოველ ტექსტს (და თავსაც) ახლავს როგორც საკვანძო შეკითხვები, ასევე სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებები (მათ შორის, საპროექტო დავალებები)

თავს ბოლოში ერთვის არა მხოლოდ შემაჯამებელი დავალებები, არამედ სარეკომენდაციო წიგნებისა და ფილმების ჩამონათვალი.

მეოთხე თავის შესწავლის ერთ-ერთი მიზანია გარკვეული მკვიდრი წარმოდგენების ფორმირება.

| მკვიდრი წარმოდგენები |
|---|
| • უძველესი ტექსტებიდან მოყოლებული, თანამედროვე ნაწარმოებების ჩათვლით ხშირად ვხვდებით ტექსტებს განსაკუთრებული ფიზიკური და გონებრივი მონაცემებით დაჯილდოებული გმირების შესახებ;<br>• ნამდვილი გმირი იბრძვის სიკეთის დასამკვიდრებლად;<br>• მწერლები სხვადასხვა ენობრივ და გამომსახველობით საშუალებას იყენებენ გმირების ზებუნებრივი თვისებების ხაზგასასმელად;<br>• სიკეთე ყოველთვის ამარცხებს ბოროტებას;<br>• გმირები დადებით გავლენას ახდენენ საზოგადოების ცხოვრებაზე, ცვლიან მას უკეთესობისაკენ;<br>• იმისათვის, რომ ჩამოვაყალიბოთ საკუთარი მოსაზრებები ძველი და ახალი დროის გმირების შესახებ, შეგვიძლია გამოვიყენოთ ნასწავლი ტექსტები, აგრეთვე ფილმები, კომიქსები და ა.შ. |

# თავი 5 – ძველი თბილისი

| თავი 5 | |
|---|---|
| ცნებები, საკითხები | ტექსტები |
| ტექსტის ელემენტები<br>სათაური<br>ეპიგრაფი<br>სქოლიო<br>თავებად დაყოფა | **მოხერხებული ჩარჩი** ლავრენტი არდაზიანი<br>**მოგზაურის თვალით** ალექსანდრე დიუმა<br>**ცხოვრება ძველ თბილისში** აკა მორჩილაძე<br>**ხანძარი ოპერაში** დათო ტურაშვილი<br>**გამოთხოვება ძველ თბილისთან** იოსებ გრიშაშვილი<br>**დიუმა თბილისის ოპერაში მიდის** |

ყოველ ტექსტს (და თავსაც) ახლავს როგორც საკვანძო შეკითხვები, ასევე სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებები (მათ შორის, საპროექტო დავალებები)

თავს ბოლოში ერთვის არა მხოლოდ შემაჯამებელი დავალებები, არამედ სარეკომენდაციო წიგნებისა და ფილმების ჩამონათვალი.

მეხუთე თავის შესწავლის ერთ-ერთი მიზანია გარკვეული მკვიდრი წარმოდგენების ფორმირება.

| მკვიდრი წარმოდგენები |
|---|
| • თბილისის, საქართველოს დედაქალაქის თემაზე უამრავი სხვადასხვა ტიპის და ჟანრის ტექსტია შექმნილი;<br>• თბილისის ცხოვრება განსხვავებული იყო იმისაგან, რაც დღესაა;<br>• თბილისი ოდითგანვე იყო უცხოელ მოგზაურთა ინტერესის საგანი;<br>• ავტორები იყენებენ სხვადასხვა მხატვრულ საშუალებას იმისათვის, რომ დაგვიხატონ პერსონაჟის ცხოვრება და „დაგვანახონ“, როგორია მისი საარსებო გარემო.<br>• იმისათვის, რომ ერთმანეთს შევადაროთ ძველი და თანამედროვე მდგომარეობა, შეგვიძლია დავეყრდნოთ როგორც შესწავლილ ტექსტებს, ასევე პირად დაკვირვებას. |

# თავი 6 – მგელი არ მოშლის მგლობასა, არწივი – არწივობასა...

| თავი 6 | |
|---|---|
| ცნებები, საკითხები | ტექსტები |
| რამდენიმე შესაძლო მიდგომა<br>სამეცნიერო ნაწარმოები<br>მხატვრული ნაწარმოები<br>მრავალგვარი თვალსაზრისი<br>სხვადასხვა თვალსაზრისის შეჯერება<br>სუბიექტურობა მხატვრულ ლიტერატურაში<br>ენციკლოპედია და განმარტებითი ლექსიკონი | **მგელი და არწივი სამეცნიერო ტექსტებში**<br>**იცნობდეთ, მგელი** იასონ ბადრიძე<br>**მგელი და არწივი სამეცნიერო ტექსტებში**<br>**მთის არწივი**<br>**მგლები მხატვრულ ტექსტებში**<br>**ბებერი მგელი** ნუგზარ შატაიძე<br>**მგლის მოკვლა** რევაზ ინანიშვილი<br>**ლობო** ერნესტ სეტონ-თომპსონი<br>**არწივი მხატვრულ ტექსტებში**<br>**გიგია ბუბუნაურის ძმადნაფიცი** გოდერძი ჩოხელი<br>**არწივი და გველი** შუამდინარული მითოლოგიიდან |

ყოველ ტექსტს (და თავსაც) ახლავს როგორც საკვანძო შეკითხვები, ასევე სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებები (მათ შორის, საპროექტო დავალებები)

თავს ბოლოში ერთვის არა მხოლოდ შემაჯამებელი დავალებები, არამედ სარეკომენდაციო წიგნებისა და ფილმების ჩამონათვალი.

მეექვსე თავის შესწავლის ერთ-ერთი მიზანია გარკვეული მკვიდრი წარმოდგენების ფორმირება.

| მკვიდრი წარმოდგენები |
|---|
| • ცხოველების თემაზე მრავალი სხვადასხვა ტიპის და ჟანრის ტექსტი არსებობს;<br>• ამა თუ იმ ცხოველის ცხოვრების წირის შესასწავლად საინფორმაციო და სამეცნიერო ტექსტები გვესაჭიროება;<br>• მწერლები სხვადასხვა მხატვრული და ენობრივი ხერხების გამოყენებით მოგვითხრობენ ცხოველთა შესახებ;<br>• მიუხედავად სტერეოტიპული წარმოდგენებისა ზოგიერთი ცხოველის ბოროტი ბუნების შესახებ, მწერლები ცდილობენ, აღძრან მკითხველში თანაგრძნობა;<br>• ავტორები ცდილობენ ცხოველები სხვადასხვა კუთხით დაგვანახონ, გამოიყენონ სხვადასხვა საშუალებები;<br>• ცხოველების შესახებ წერისას ავტორები ტექსტის ენობრივ-გამოსახველობით საშუალებებს იყენებენ, რათა გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება არა მხოლოდ ცხოველების (თუ ბუნების) მიმართ, არამედ უპირველეს ყოვლისა, ადამიანებისადმი;<br>• ცხოველებისადმი ჩვენი დამოკიდებულების გადმოსაცემად გვეხმარება შესწავლილი ტექსტები და საკითხები. |

# თავი 7 – ადამიანი ბუნების სურათებში (განსხვავებული პოეზია)

| თავი 7 | |
|---|---|
| ცნებები, საკითხები | ტექსტები |
| ლექსი<br>სტროფი და სტრიქონი<br>გრაფიკული ლექსები ანუ კალიგრამები<br>ვერლიბრი<br>რატომ წერს პოეტი ლექსს?<br>შთაბეჭდილება<br>გრძნობა<br>პათოსი<br>სალექსო საზომი და რიტმი<br>რითმა | **გრაფიკული ლექსები**<br>**ხუთი ჰაიკუ**<br>**ყარყატი** ბესიკ ხარანაული<br>**მცირე ელეგია მამისათვის** ზვიად რატიანი |

ყოველ ტექსტს (და თავსაც) ახლავს როგორც საკვანძო შეკითხვები, ასევე სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებები (მათ შორის, საპროექტო დავალებები)

თავს ბოლოში ერთვის არა მხოლოდ შემაჯამებელი დავალებები, არამედ სარეკომენდაციო წიგნებისა და ფილმების ჩამონათვალი.

მეშვიდე თავის შესწავლის ერთ-ერთი მიზანია გარკვეული მკვიდრი წარმოდგენების ფორმირება.

| მკვიდრი წარმოდგენები |
|---|
| • არსებობს პოეტური ნაწარმოებების სხვადასხვა, ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავებული ფორმები;<br>• გარდა ტრადიციული, რითმიანი ლექსებისა, არსებობს ურითმო ლექსები და ესეც პოეზიაა;<br>• ლექსს შეიძლება რითმების გარდა არ ჰქონდეს რიტმიც;<br>• პოეტური ნაწარმოები უმთავრესად იმისათვის იქმნება, რომ გადმოსცეს შთაბეჭდილება, გრძნობა ან პათოსი;<br>• იმისათვის, რომ ლექსი შევქმნათ, შეგვიძლია გამოვიყენოთ შესწავლილი მასალა. |

# თავი 8 – მითები და თქმულებები

| თავი 8 | |
|---|---|
| ცნებები, საკითხები | ტექსტები |
| მითები<br>ლეგენდა ანუ თქმულება<br>ჰიპერბოლა<br>ფაბულა<br>სიუჟეტი | **ბერძნული მითი**<br>**ორი მითი სამყაროს წარმოშობის შესახებ**<br>**ინდური მითი**<br>**თქმულება პრომეთეზე** ბერძნული მითოლოგიის მიხედვით<br>**ამირანი** ნაწყვეტი აკაკი წერეთლის პოემიდან „თორნიკე ერისთავი“<br>**კოპალა** ქართული თქმულებებიდან<br>**კოპალა და იახსარი**<br>**მინდია** ვაჟა-ფშაველა<br>**მირიან მეფის ნადირობა** ნაწყვეტი საისტორიო თხზულებიდან „მოქცევაი ქართლისაი“ |

ყოველ ტექსტს (და თავსაც) ახლავს როგორც საკვანძო შეკითხვები, ასევე სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებები (მათ შორის, საპროექტო დავალებები)

თავს ბოლოში ერთვის არა მხოლოდ შემაჯამებელი დავალებები, არამედ სარეკომენდაციო წიგნებისა და ფილმების ჩამონათვალი.

მერვე თავის შესწავლის ერთ-ერთი მიზანია გარკვეული მკვიდრი წარმოდგენების ფორმირება.

| მკვიდრი წარმოდგენები |
|---|
| • მითებისა და თქმულებების საფუძველზე სხვადასხვა ქვეყანასა და ეპოქაში მრავალი სხვადასხვა ტიპის და ჟანრის ტექსტი შექმნილა;<br>• ტექსტებში, რომლებიც მითოსურ საფუძველს ემყარება, შეიძლება ასახული იყოს წარმოდგენები სამყაროს თუ ამა თუ იმ ბუნებრივი მოვლენის წარმოშობის შესახებ, რასაც, რა თქმა უნდა, მეცნიერული საფუძველი არა აქვს;<br>• თქმულებებისა და მითოსზე დაფუძნებული ტექსტების შესწავლით ვიგებთ, როგორ ესმოდათ ჩვენს წინაპრებს ადამიანის დანიშნულება, ცხოვრების საზრისი; |

# თავი 9 – ზნეობრივი არჩევანი

| თავი 9 | |
|---|---|
| ცნებები, საკითხები | ტექსტები |
| პერსონაჟის პორტრეტი<br>პერსონაჟის ხასიათი<br>კონფლიქტი | **შეხვედრა მენგში** ალექსანდრე დიუმა<br>**დუქანში** ჭაბუა ამირეჯიბი<br>**გიჟია, თუ რა?** ილია ჭავჭავაძე<br>**ჩირიკი და ჩიკოტელა** გიორგი ლეონიძე<br>**ტომის ჩხუბი** მარკ ტვენი |

ყოველ ტექსტს (და თავსაც) ახლავს როგორც საკვანძო შეკითხვები, ასევე სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებები (მათ შორის, საპროექტო დავალებები)

თავს ბოლოში ერთვის არა მხოლოდ შემჯამებელი დავალებები, არამედ სარეკომენდაციო წიგნებისა და ფილმების ჩამონათვალი.

მეცხრე თავის შესწავლის ერთ-ერთი მიზანია გარკვეული მკვიდრი წარმოდგენების ფორმირება.

| მკვიდრი წარმოდგენები |
|---|
| • ადამიანების განსხვავებული ღირებულებები და მორალური წარმოდგენები ხშირად კონფლიქტის მიზეზი ხდება;<br>• ავტორები იყენებენ ენობრივ საშუალებებს, მხატვრულ და გამომსახველობით ხერხებს, რათა მკაფიოდ გამოკვეთონ პერსონაჟის ხასიათი და დაგვანახონ, რა ღირებულებების საფუძველზე მოქმედებს გმირი;<br>• იმისათვის, რომ სიმართლეს და პატიოსნებას ემსახურებოდე, შესაძლოა კონფლიქტის მხარე აღმოჩნდე;<br>• ადამიანის ღირსების შელახვა დაუშვებელია; |

# შემაჯამებელ დავალებათა ტიპები

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებულია: „სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებლად რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალი ფორმის გამოყენება“. ამიტომაც გთავაზობთ სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი დავალებების შაბლონს შეფასების კრიტერიუმებთან ერთად:

## 1. ესეს წერა ანდაზების მიხედვით:

მოცემული სამი ანდაზიდან აირჩიე მხოლოდ ერთი და დაწერე ესე. სასურველია, ნაშრომი დაახლოებით ერთი გვერდი მაინც გამოვიდეს, რათა მასში სრულად აისახოს შენი დამოკიდებულება დასმული საკითხის მიმართ. მსჯელობისას, შეგიძლია, დაუკავშირო პირად გამოცდილებას, გამოიყენო წაკითხული ნაწარმოები, ნანახი ფილმი, სპექტაკლი თუ ანიმაცია, შენთვის ცნობილი ისტორიული მოვლენები თუ საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიები...

ა) მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება;
ბ) სხვას ნუ უთხრი ორმოს, თორემ შენ თვითონ ჩავარდებიო;
გ) ბევრის ნდომა კაცს წაახდენსო.

ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა **10**

არგუმენტირებული ესეს შეფასების კრიტერიუმები
ნაშრომის მაქსიმალური ქულაა **10**

- **დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება; – 1**
- **ნაშრომის აგება – 2**

| | |
|---|---|
| ნაშრომი კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. | **2** |
| ნაშრომში ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა და/ან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი. | **1** |
| ნაშრომში დარღვეულია ტექსტის ლოგიკა და/ან იგი ორგანიზებული არ არის. | **0** |

- **მსჯელობის დასაბუთება 2**

| | |
|---|---|
| მსჯელობა დამაჯერებლადაა დასაბუთებული და არგუმენტები გამყარებულია შესაფერისი მაგალითებით | **2** |
| მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან მოხმობილი მაგალითები არაადეკვატურია | **1** |
| მსჯელობა ზერელედაა დასაბუთებული, ხშირ შემთხვევაში არგუმენტები არადამაჯერებელია | **0** |

- **დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება – 1**

- **ლექსიკა და სტილი – 1**

| | |
|---|---|
| ნაშრომში აზრი გასაგებია, არ გვხვდება ტავტოლოგია, ბარბარიზმები და დიალექტიზმები | **1** |
| ნაშრომში აზრი გასაგებია, თუმცა ლექსიკა მწირია, მრავლად გვხვდება ბარ-ბარიზმები და დიალექტიზმები | **0** |

- **გრამატიკული შეცდომები (სინტაქსი, მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) –** 3

| | |
|---|---|
| არ არის დაშვებული 5-ზე მეტი შეცდომა | **3** |
| არ არის დაშვებული 7-ზე მეტი შეცდომა | **2** |
| არ არის დაშვებული 9-ზე მეტი შეცდომა | **1** |
| დაშვებულია 9 – ზე მეტი შეცდომა | **0** |

**შენიშვნა:** შეფასების კრიტერიუმები შეგიძლიათ, გაამარტივოთ – შეცვალოთ კლასის მზაობის მიხედვით.

## 2. შემაჯამებელი დავალება კოგნიტური სქემებით

ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა **10**






**შენიშვნა:** წერის დაწყებამდე შექმენით პერსონაჟებისა და სიტყვების სკივრი (პირობითად) ცალ-ცალკე, რომლიდანაც ბავშვები სათითაოდ ამოიღებენ თავიანთ პერსონაჟსა თუ სიტყვას. გაითვალისწინეთ: სიტყვები აირჩიეთ აუცილებლად უკვე შესწავლილი ტექსტიდან. უმჯობესია, იყოს ზედსართავი და ზმნა, რადგან მათი სინონიმებისა თუ ანტონიმების მოფიქრება უფრო ადვილია.

## შეფასების რუბრიკა

- **პერსონაჟის რუკა –** ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა **6**

| | |
|---|---|
| პერსონაჟის როლი ნაწარმოებში ახსნილია, სამივე თვისება დასაბუთებულია, მოყვანილია ადეკვატური არგუმენტები ტექსტიდან | **6** |
| პერსონაჟის როლი ნაწარმოებში ახსნილია, პერსონაჟის სამივე თვისება დასაბუთებულია,მოყვანილია ადეკვატური არგუმენტები და დამოკიდებულება ახსნილია, მაგრამ წინადადებები ზოგჯერ გაუმართავია / ან ერთი არგუმენტი შეუსაბამოა | **5** |
| პერსონაჟის როლი ნაწარმოებში ახსნილია, პერსონაჟის მხოლოდ 2 თვისებაა დასაბუთებული, მოყვანილია ადეკვატური არგუმენტები, წინადადებები გამართული / ან ნაწარმოებში პერსონაჟის მნიშვნელობა არ არის სწორად ახსნილი, თუმცა სამივე თვისებაა განხილული არგუმენტირებულად | **4** |
| პერსონაჟის როლი ნაწარმოებში ახსნილია, მაგრამ მხოლოდ 1 თვისებაა დასაბუთებული / ან ნაწარმოებში პერსონაჟის მნიშვნელობა არ არის სწორად ახსნილი, თუმცა ორი თვისება განხილულია არგუმენტირებულად | **3** |
| პერსონაჟის როლი ნაწარმოებში ახსნილია, თუმცა თვისებები მხოლოდ დასახელებულია, არაა დასაბუთებული | **2** |
| მხოლოდ თვისებებია ჩამოთვლილი, მაგრამ არაა დასაბუთებული | **1** |
| არ პასუხობს არც ერთ მოთხოვნას | **0** |

- **სიტყვის პირამიდა –** ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა **4**

| | |
|---|---|
| სრულყოფილადაა შევსებული, არ არის გრამატიკული შეცდომები | **4** |
| შევსებულია, მაგრამ დაშვებულია გრამატიკული შეცდომები | **3** |
| შევსებულია მხოლოდ 2 დონე, მაგრამ გრამატიკული შეცდომები არ გვხვდება | **2** |
| მხოლოდ 2 დონეა შევსებული და გვხვდება გრამატიკული შეცდომები | **1** |
| 2 დონეზე ნაკლებია შევსებული | **0** |

## 3. იგავებზე წერა

წაიკითხე იგავი ყურადღებით:

„ – მითხარი, ძაღლო, სად შოულობ საკვებს?
– ადამიანები გვაძლევენ.
– ეტყობა რთულ სამუშაოს ასრულებთ მათთვის?
– არც ისე. ჩვენი საქმეა ღამით ჭიშკრის დარაჯობა.
– მხოლოდ ამისთვის გაჭმევენ? მეც შემოგიერთდებოდით, ჩვენ, მგლებს, ძალიან გვიჭირს საკვების მოპოვება.
– წამოდი, პატრონი შენც დაგაპურებს. – თქვა ძაღლმა.
მგელი ბედნიერი იყო და ძაღლს უკან გაყვა. ჭიშკარს რომ მიუახლოვდნენ, მგელმა შეამჩნია რომ ძაღლს კისერზე ბალანი ჰქონდა გაცვენილი.
– ძაღლო, ეს რა გჭირს კისერზე?
– ეს ისე... – უპასუხა ძაღლმა.
– ისე როგორ?
– ეს ისე, ჯაჭვის გამო. დღისით პატრონს დაბმული ვყავარ, ჯაჭვმა გამიცვინა ბალანი კისერზე.
– მაშინ, მშვიდობით, ძაღლო, – თქვა მგელმა. – მაძღარ მონობას მშიერი თავისუფლება მირჩევნია.“

ლევ ტოლსტოი

ახლა კი გააანალიზე იგავი მითითებების მიხედვით:

- **დაახასიათე თითოეული პერსონაჟი, რამდენადაც ტექსტი ამის საშუალებას იძლევა;**
- **შეაფასე, სწორად მოიქცა თუ არა მგელი; შენ როგორ მოიქცეოდი და რატომ? (პასუხი დაასაბუთე)**
- **მოძებნე იგავში ფრაზა, რომელიც მთავარ სათქმელს გამოხატავს და არგუმენტირებულად იმსჯელე მის მართებულობაზე.**

### ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა **10**

- **მითითებებს გამოყოფს აბზაცებით – 1**
- **საუბრობს სამივე საკითხზე ამომწურავად, სათანადო ლექსიკით და გამართული წინადადებებით – 6**

| | |
|---|---|
| საუბრობს სამივე საკითხზე ამომწურავად, ლექსიკა არაა მწირი, წინადადებები გამართულია | **6** |
| საუბრობს სამივე საკითხზე, მაგრამ ლექსიკა მწირია და აზრი ზოგჯერ ბუნდოვანია / ან საუბრობს მხოლოდ 2 საკითხზე, თუმცა ლექსიკა არაა მწირი და წინადადებებიც გამართულია | **4** |
| საუბრობს მხოლოდ 2 საკითხზე, თუმცა წინადდებები გაუმართავია / ან საუბრობს მხოლოდ 1 საკითხზე, მაგრამ წინადადებები გამართულია და ლექსიკა მრავალფეროვანი | **2** |
| საუბრობს მხოლოდ 1 საკითხზე, თუმცა ლექსიკა მწირია და აზრი გაუმართავი | **0** |

- **გრამატიკული შეცდომები (სინტაქსი,მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) – 3**

| | |
|---|---|
| არ არის დაშვებული 5-ზე მეტი შეცდომა | **3** |
| არ არის დაშვებული 7-ზე მეტი შეცდომა | **2** |
| არ არის დაშვებული 9-ზე მეტი შეცდომა | **1** |
| დაშვებულია 9-ზე მეტი შეცდომა | **0** |

**შენიშვნა:**

ა) წერისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი იგავი, რომელიც მოსწავლეების ასაკსა და მზაობას შეეფერება;

ბ) შეფასების კრიტერიუმები შეგიძლიათ, გაამარტივოთ – შეცვალოთ კლასის მზაობის მიხედვით.

## 4. შემაჯამებელი სამუშაო საყრდენი ფრაზების გამოყენებით

საყრდენი ფრაზების გამოყენებით მოთხრობის დაწერა

უკვე შესწავლილი ტექსტებიდან ჩამოთვლილი ფრაზების გამოყენებით შეადგინე მოთხრობა.
**შენიშვნა:** არ არის სავალდებულო, ფრაზები გამოიყენო თანმიმდევრობით. ასევე შეგიძლია, შეცვალო ბრუნვისა და დროის მიხედვით. მთავარია, მოიგონო საინტერესო ამბავი, რომელშიც ამ ფრაზებს ჩაურთავ კონტექსტის შესაბამისად.

- **ჯან-ღონით სავსე**
- **დიდი და ხანგრძლივი ზამთარი**
- **გულმა ბაგაბუგი დაუწყო**
- **სასტიკად მოექცა**

## წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა **10**

- **გამოყოფს აბზაცებს – 1**
- **ოთხივე ფრაზას იყენებს მიზნობრივად – 4**

| | |
|---|---|
| მხოლოდ 3 ფრაზას იყენებს მიზნობრივად | **3** |
| მხოლოდ 2 ფრაზას იყენებს მიზნობრივად | **2** |
| მხოლოდ 1 ფრაზას იყენებს მიზნობრივად | **1** |
| ფრაზებს იყენებს, მაგრამ არასწორი კონტექსტით | **0** |

- **დამოუკიდებელი აზროვნება (სიუჟეტი ორიგინალურია, არაა სხვა ნაწარმოების მიბაძვა) – 1**
- **ლექსიკა და სტილი – 2**

| | |
|---|---|
| ლექსიკა მრავალფეროვანია და წინადადებები გამართული | **2** |
| ლექსიკა მრავალფეროვანია,მაგრამ დაშვებულია 3 სტილისტური შეცდომა | **1** |
| ლექსიკა მწირია და წინადადებები გაუმართავი | **0** |

- **გრამატიკული შეცდომები (სინტაქსი, მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) – 3**

| | |
|---|---|
| არ არის დაშვებული 5-ზე მეტი შეცდომა | **3** |
| არ არის დაშვებული 7-ზე მეტი შეცდომა | **2** |
| არ არის დაშვებული 9-ზე მეტი შეცდომა | **1** |
| დაშვებულია 9-ზე მეტი შეცდომა | **0** |

## 5. შემაჯამებელი დავალება ანიმაციის მიხედვით

მოსწავლეები გაკვეთილზევე უყურებენ 3-5 წუთიან ანიმაციას (მაგალითად: https://www.youtube.com/watch?v=CZAz4NCUPck), რომელიც მნიშვნელოვან თემას ეხება. გეზის მიცემის მიზნით მასწავლებელი სვამს რამდენიმე კითხვას, რომელსაც იქვე პასუხობენ. ამის შემდეგ ავალებს, დაწერონ ანიმაციის ანალიზი შემდეგი მითითებების მიხედვით:

1. **როგორია შენი შთაბეჭდილება ანიმაციაზე? (მოგეწონა / არ მოგეწონა – რატომ?)**
2. **რა თემას ეხება ანიმაცია? (მხოლოდ რამდენიმე წინადადებით)**
3. **შენი აზრით, რას გვასწავლის ანიმაცია? (დაასაბუთე)**
4. **რომელ ეპიზოდს ან დეტალს გამოარჩევდი და რატომ?**

### შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა **10**

- **გამოყოფს აბზაცებს – 1**
- **საუბრობს სამივე საკითხზე ამომწურავად, სათანადო ლექსიკით და გამართული წინადადებებით – 6**

| | |
|---|---|
| საუბრობს ოთხივე საკითხზე ამომწურავად, ლექსიკა არაა მწირი, წინადადებები გამართულია | **6** |
| საუბრობს ოთხივე საკითხზე, წინადადებები გამართულია, მაგრამ ლექსიკა მწირია და აზრი ზოგჯერ ბუნდოვანია / ან საუბრობს მხოლოდ 3 საკითხზე, თუმცა ლექსიკა არაა მწირი და წინადადებებიც გამართულია | **5** |
| საუბრობს ოთხივე საკითხზე, თუმცა მსჯელობა არათანმიმდევრულია | **4** |
| საუბრობს 3 საკითხზე, წინადადებები გამართულია, მაგრამ ლექსიკა მწირია / ან საუბრობს მხოლოდ 2 საკითხზე, თუმცა ლექსიკა არაა მწირი და წინადადებებიც გამართულია | **3** |
| საუბრობს 2 საკითხზე, წინადადებები გამართულია, მაგრამ ლექსიკა მწირია / ან საუბრობს მხოლოდ 1 საკითხზე, თუმცა ლექსიკა არაა მწირი და წინადადებებიც გამართულია | **2** |
| საუბრობს მხოლოდ 1 საკითხზე, თუმცა ლექსიკა მწირია | **1** |
| არც ერთი მითითებაარ უწერია | **0** |

- **გრამატიკული შეცდომები (სინტაქსი,მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) – 3**

| | |
|---|---|
| არ არის დაშვებული 5-ზე მეტი შეცდომა | **3** |
| არ არის დაშვებული 7-ზე მეტი შეცდომა | **2** |
| არ არის დაშვებული 9-ზე მეტი შეცდომა | **1** |
| დაშვებულია 9-ზე მეტი შეცდომა | **0** |

## 6. ზეპირი შემაჯამებელი – მონოლოგი

მასწავლებელი ბავშვებს უნაწილებს იმ ნაწარმოებებს სახელმძღვანელოდან, რომლებიც უკვე შეისწავლეს. მათ უნდა მოამზადონ სამწუთიანი ზეპირი პრეზენტაცია შემდეგი მითითებების / კრიტერიუმების მიხედვით:

ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა 10

**არგუმენტირებული მსჯელობის უნარი**

| | |
|---|---|
| **საუბრობს თავის დამოკიდებულებაზე ამ ნაწარმოების მიმართ (მოეწონა / არ მოეწონა) დამაჯერებლად, შესაბამისი არგუმენტების მოხმობით** | **2** |
| **საუბრობს თავის დამოკიდებულებაზე ამ ნაწარმოების მიმართ (მოეწონა / არ მოეწონა) ნაკლებად დამაჯერებლად** | **1** |
| **ვერ საუბრობს თავის დამოკიდებულებაზე** | **0** |

**სათქმელის წარმოჩენის უნარი – 2**

| | |
|---|---|
| **წარმოაჩენს ნაწარმოების მთავარ სათქმელს სრულად** | **2** |
| **წარმოაჩენს ნაწარმოების მთავარ სათქმელს ნაწილობრივ** | **1** |
| **ვერ წარმოაჩენს ნაწარმოების მთავარ სათქმელს** | **0** |

- **ავლებს პარალელს სხვა ნაწარმოებთან, ფილმთან, ანიმაციასთან – 2**

| | |
|---|---|
| პარალელი შესაბამისია, ღრმადაა გააზრებული და არგუმენტირებულია | **2** |
| პარალელი შესაბამისია, მაგრამ ზედაპირულადაა განხილული | **1** |
| პარალელი შეუსაბამოა | **0** |

- **იცავს დროის ლიმიტს – 1**
- **იყენებს თვალსაჩინოებას – 2**

| | |
|---|---|
| თვალსაჩინოება (გეგმა, ციტატები, ნაწარმოების იდეასთან დაკავშირებული ანდაზები, აფორიზმები...) მიზნობრივია | **2** |
| ნაწილობრივ შეესაბამება მიზანს | **1** |
| არ შეესაბამება მიზანს | **0** |

- **მეტყველების დროს არ უშვებს უხეშ შეცდომებს – 1**

**შენიშვნა:** ეს შემაჯამებელი უმჯობესია ჩატარდეს სემესტრის ბოლოს, მაშინ, როცა უკვე ნაწარმოებების გარკვეული რაოდენობა აქვთ შესწავლილი და ეს ერთგვარი გახსენება იქნება იმ თემებისა, რომლებზეც მანამდე ისაუბრეთ.

# 7. ჯგუფური შემაჯამებელი

მასწავლებელი წინასწარ ყოფს კლას 4-4 კაციან ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს უნაწილებს ბოლოს შესწავლილი ნაწარმოებებიდან ერთ-ერთს. მათ ეს ნაწარმოები კიდევ ერთხელ უნდა წაიკითხონ სახლში, გადახედონ სიტყვებსაც და დავალებებსაც.

მეორე დღეს სკოლაში დაბრუნებულებს ეძლევათ ჯგუფური სამუშაო:

- ჯგუფიდან 1 საუბრობს ნაწარმოების მთავარ სათქმელზე;
- მეორე – წერს 10 კითხვას ნაწარმოების უკეთ გაგებისთვის;
- მესამე – წერს ნაწარმოების გაგრძელებას;
- მეოთხე – მუშაობს ლექსიკაზე: განმარტავს მასწავლებელის მიერ წინასწარ ამოწერილ ფრაზებსა თუ სიტყვებს.

საქმეს ინაწილებენ თვითონ ჯგუფის წევრები, თავიანთი სურვილის მიხედვით. სამუშაოდ ეძლევათ 20 წუთი. ჯგუფი მუშაობის დროს არ იყენებს სახელმძღვანელოს.

სამუშაოს შეფასების მაქსიმალური ქულაა **10**

ჯგუფური სამუშაოს შეფასების კრიტერიუმები:

- გადაინაწილეს ფუნქციები – **1**
- მუშაობდნენ შეთანხმებულად და ითვალისწინებდნენ ერთმანეთის იდეებს – **1**
- ოთხივე დავალება შეასრულეს სრულყოფილად – **8** (თითოეულ დავალებაზე 2-2 ქულაა, რომელიც ნაწილდება ასე: სრულყოფილად შეასრულა – 2, ნაწილობრივ – 1)

# შეფასების რუბრიკები

## მხატვრული თხზულების შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა **10**
(მაგალითად: გვ. 22, დავ. 2; გვ. 206, დავ. 3...)

| № | კრიტერიუმები | ქულა |
|---|---|---|
| I | **ნაშრომი პასუხობს პირობას** | 2 |
| | ნაშრომი ნაწილობრივ პასუხობს პირობას | 1 |
| | ნაშრომი არ პასუხობს პირობას | 0 |
| II | **იდეა ორიგინალურია.** | 1 |
| | იდეა შაბლონურია, მოკლებულია ორიგინალობას. | 0 |
| III | **ამბავი საინტერესოდაა გადმოცემული.** | 1 |
| | ამბავი უინტერესო ან ბუნდოვანია. | 0 |
| IV | **აბზაცები სწორადაა გამოყოფილი** | 1 |
| | არ არის გამოყოფილი აბზაცები. | 0 |
| V | **ლექსიკა მდიდარია, წინადადებები გამართულია** | 2 |
| | ლექსიკა მდიდარია, მაგრამ დაშვებულია რამდენიმე სტილისტური ხარვეზი; | 1 |
| | ლექსიკა მწირია,წინადადებები გაუმართავია. | 0 |
| VI | **დაცულია სალიტერატურო ენის ნორმები: მორფოლოგია-ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია** | |
| | არ არის დაშვებული ამ ტიპის 5-ზე მეტი შეცდომა; | 3 |
| | არ არის დაშვებული ამ ტიპის 7-ზე მეტი შეცდომა; | 2 |
| | არ არის დაშვებული ამ ტიპის 9-ზე მეტი შეცდომა; | 1 |
| | დაშვებულია ამ ტიპის 9-ზე მეტი შეცდომა. | 0 |

## ანალიტიკური ესეს შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა **10**
(მაგალითად:გვ. 22, დავ. 1; გვ. 73, დავ. 7...)

| № | კრიტერიუმები | ქულა |
|---|---|---|
| I | **პრობლემა სწორად აქვს გაანალიზებული** | 2 |
| | პრობლემა ნაწილობრივ სწორად აქვს გაანალიზებული | 1 |
| | პრობლემა სწორად არა აქვს გაანალიზებული | 0 |
| II | **აბზაცები გამოყოფილი** | |
| | აბზაცები არაა გამოყოფილი. | 0 |
| III | **მსჯელობა დამაჯერებლადაა დასაბუთებული და მოხმობილია შესაფერისი მაგალითები.** | 2 |
| | მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან მოხმობილი მაგალითები შეუფერებელია | 1 |
| | მსჯელობა ზერელეა, არც მაგალითებია მოხმობილი | 0 |
| IV | **ლექსიკა მდიდარია, წინადადებები გამართულია** | 2 |
| | ლექსიკა მდიდარია, მაგრამ დაშვებულია რამდენიმე სტილისტური ხარვეზი; | 1 |
| | ლექსიკა მწირია,წინადადებები გაუმართავია. | 0 |
| V | **დაცულია სალიტერატურო ენის ნორმები: მორფოლოგია-ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია** | |
| | არ არის დაშვებული ამ ტიპის 5-ზე მეტი შეცდომა; | 3 |
| | არ არის დაშვებული ამ ტიპის 7-ზე მეტი შეცდომა; | 2 |
| | არ არის დაშვებული ამ ტიპის 9-ზე მეტი შეცდომა; | 1 |
| | დაშვებულია ამ ტიპის 9-ზე მეტი შეცდომა. | 0 |

## არგუმენტირებული ესეს შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა **10**
(მაგალითად: გვ. 43, დავ. 10; გვ. 63, დავ. 2, გვ. 86, დავ. 2; გვ. 220...)

| № | კრიტერიუმები | ქულა |
|---|---|---|
| I | **დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება;** | 1 |
| | დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული | 1 |
| | დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული | 0 |
| II | **ნაშრომის აგება** | 2 |
| | ნაშრომი ლოგიკურადაა აგებული, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. | 2 |
| | ნაშრომი ლოგიკურადაა აგებული, მაგრამ აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი. | 1 |
| | ნაშრომში დარღვეულია ლოგიკა და არც აბზაცებია გამოყოფილი. | 0 |
| III | **მსჯელობის დასაბუთება** | 2 |
| | მსჯელობა დამაჯერებლადაა დასაბუთებული და მოხმობილია შესაფერისი მაგალითები. | 2 |
| | მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან მოხმობილი მაგალითები შეუფერებელია. | 1 |
| | მსჯელობა ზერელეა, არც მაგალითებია მოხმობილი | 0 |
| IV | **ლექსიკა და სტილი;** | 2 |
| | ლექსიკა მდიდარია, არ არის დაშვებულია 2 სტილისტურ ხარვეზზე მეტი; | 2 |
| | ლექსიკა მდიდარია, არ არის დაშვებულია 3 სტილისტურ ხარვეზზე მეტი; | 1 |
| | ლექსიკა მწირია,წინადადებები გაუმართავია. | 0 |
| V | **სინტაქსი,მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია;** | 3 |
| | არ არის დაშვებული 5-ზე მეტი შეცდომა | 3 |
| | არ არის დაშვებული 7-ზე მეტი შეცდომა | 2 |
| | არ არის დაშვებული 9-ზე მეტი შეცდომა | 1 |
| | დაშვებულია 9-ზე მეტი შეცდომა | 0 |

## შედარებითი ანალიზის შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა **10**

| № | კრიტერიუმები | ქულა |
|---|---|---|
| I | ორივე ნაწარმოების არსზე საუბრობს ამომწურავად | 4 |
| | მხოლოდ ერთ ნაწარმოებზე საუბრობს სრულყოფილად და მეორეზე ნაწილობრივ | 3 |
| | ორივე ნაწარმოებზე საუბრობს ნაწილობრივ | 2 |
| | საუბრობს მხოლოდ ერთ ნაწარმოებზე | 1 |
| II | დამოუკიდებელი აზროვნება / ზოგადი განათლება | 1 |
| III | ლექსიკა და სტილი | |
| | ლექსიკა მრავალფეროვანია და წინადადებები გამართული | 2 |
| | ლექსიკა მრავალფეროვანია,მაგრამ დაშვებულია 3 სტილისტური შეცდომა | 1 |
| | ლექსიკა მწირია და წინადადებები გაუმართავი | 0 |
| IV | გრამატიკა | 3 |
| | არ არის 5-ზე მეტი გრამატიკული შეცდომა | 3 |
| | არ არის 7-ზე მეტი გრამატიკული შეცდომა | 2 |
| | არ არის 9-ზე მეტი გრამატიკული შეცდომა | 1 |
| | დაშვებულია 9-ზე მეტი შეცდომა | 0 |

## ჯგუფური დავალება

ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა **10**
(მაგალითად: გვ. 41, გვ. 225, დავ. 2; გვ. 232, დავ. 2...)

| № | კრიტერიუმები | ქულა |
|---|---|---|
| I | **თანამშრომლობითი უნარები** | 1 |
| | მუშაობენ შეთანხმებულად | 1 |
| | ვერ მუშაობენ შეთანხმებულად | 0 |
| II | **სამუშაოს განაწილება** | 2 |
| | მუშაობაში ჩართულია ჯგუფის ყველა წევრი, ინაწილებენ საქმეს | 2 |
| | ჯგუფის ზოგიერთი წევრი პასიურობს და უჭირთ საქმის გადანაწილება | 1 |
| | სამუშაოს ძირითადად 1-2 წევრი იღებს საკუთარ თავზე | 0 |
| III | **არ ხმაურობენ ზედმეტად** | 1 |
| IV | **ინსტრუქციების ზუსტად შესრულება** | 3 |
| | დავალება შეასრულეს სრულყოფილად – ყველა მითითება სწორად გააკეთეს; | 3 |
| | დავალება შეასრულეს ნაწილობრივ, ზოგიერთი მითითება გაიგეს არასწორად; | 2 |
| | დავალება შეასრულეს ზერელედ, ზოგიერთი მითითება არ გაითვალისწინეს; | 1 |
| V | **პრეზენტაცია** | 2 |
| | ჯგუფური ნაშრომის პრეზენტაცია საინტერესო და ეფექტურია, | 2 |
| | არც ისე საინტერესო და ნაკლებ ეფექტურია, შესამჩნევია ერთი-ორი ხარვეზიც | 1 |
| | პრეზენტაცია მოსაბეზრებელია და ხარვეზები თვალშისაცემია | 0 |
| VI | **დროის ლიმიტის დაცვა** | 1 |
| | იცავენ დროის ლიმიტს | 1 |
| | არ იცავენ დროის ლიმიტს | 0 |

## მონოლოგის შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა **10**
(დავალება: გვ. 62.)

| № | კრიტერიუმები | ქულა |
|---|---|---|
| I | **დაწვრილებით საუბრობს პირობაში მოცემულ სამივე მითითებაზე** | 4 |
| | საუბრობს მხოლოდ მხოლოდ 2 მითითებაზე ამომწურავად და საინტერესოდ, ერთი მითითებაზე მხოლოდ რამდენიმე წინადადებით შემოიფარგლა | 3 |
| | საუბრობს მხოლოდ 2 მითითებაზე ამომწურავად და საინტერესოდ | 2 |
| | საუბრობს მხოლოდ 1 მითითებაზე სრულყოფილად | 1 |
| | საუბრობს ძალიან ზედაპირულად, არ ჩანს პირობაში მოცემულ მითითებებზე პასუხი | 0 |
| II | **ამბავი საინტერესოა** | 1 |
| III | **მონოლოგის ავტორის დამოკიდებულება შერჩეული პიროვნებისადმი** | 2 |
| | ნაწილობრივ ჩანს მონოლოგის ავტორის დამოკიდებულება | 1 |
| | არ ჩანს | 0 |
| IV | **საუბრობს გამართულად, დაუშვა მხოლოდ 1-2 უმნიშვნელო შეცდომა, ჩანს, რომ ივარჯიშა სახლში** | 2 |
| | უჭირს გამართულად საუბარი, უშვებს რამდენიმე შეცდომას; | 1 |
| | ემჩნევა, რომ მონოლოგისთვის არ მომზადებულა | 0 |
| V | **დროის ლიმიტის დაცვა** | 1 |
| | იცავენ დროის ლიმიტს | 1 |
| | არ იცავენ დროის ლიმიტს | 0 |

# მითითებებით წერის შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა **10**
(მაგალითად: გვ. 40, დავ. ; გვ. 193, დავ. 1; გვ. 225, დავ. 1..)

| № | კრიტერიუმები | ქულა |
|---|---|---|
| I | **დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება;** | 1 |
| | დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული | 1 |
| | დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული | 0 |
| II | **თანამიმდევრული მსჯელობის უნარი** | 1 |
| | მსჯელობს თანამიმდევრულად | 1 |
| | ვერ მსჯელობს თანამიმდევრულად | 0 |
| III | **სტრუქტურული თანმიმდევრობის დაცვა** | 1 |
| | გამოყოფს აბზაცებს | 1 |
| | ვერ გამოყოფს აბზაცებს | 0 |
| IV | **მსჯელობის დასაბუთება** | 4 |
| | სამივე მითითებაზე საუბრობს ამომწურავად, მსჯელობა დამაჯერებელია და მოხმობილია შესაფერისი ციტატები. | 4 |
| | მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ციტატები შეუსაბამოა | 3 |
| | მსჯელობს მხოლოდ 2 მითითების მიხედვით, ზოგიერთი ციტატა შეუსაბამოა | 2 |
| | მსჯელობს მხოლოდ 1 მითითების მიხედვით | 1 |
| | მსჯელობა ზერელეა, არც მაგალითებია მოხმობილი | 0 |
| V | **სინტაქსი,მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია;** | 3 |
| | არ არის დაშვებული 5-ზე მეტი შეცდომა | 3 |
| | არ არის დაშვებული 7-ზე მეტი შეცდომა | 2 |
| | არ არის დაშვებული 9-ზე მეტი შეცდომა | 1 |
| | დაშვებულია 9-ზე მეტი შეცდომა | 0 |

# პუბლიცისტური წერილის შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა **10**
(გვ. 83. დავ. 2)

| № | კრიტერიუმები | ქულა |
|---|---|---|
| I | **თემის აქტუალობა** | 2 |
| | თემა საინტერესო და აქტუალურია | 2 |
| | თემა ნაწილობრივ საინტერესო და აქტუალურია | 1 |
| | თემა არ არის საინტერესო და აქტუალური | 0 |
| II | **ჩანს ინფორმირებულობა (ბევრი რამ წაუკითხავს ამ საკითხთან დაკავშირებით)** | 2 |
| | ნაწილობრივ ჩანს | 1 |
| | არ ჩანს | 0 |
| III | **ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირება** | 1 |
| | უკავშირებს საკუთარ ცხოვრებასა და პირად გამოცდილებას | 1 |
| | უკავშირებს საკუთარ ცხოვრებასა და პირად გამოცდილებას | 0 |
| IV | **სათაური** | 1 |
| | აქვს საინტერესო სათაური | 1 |
| | ვერ ახერხებს საინტერესო სათაურის შერჩევას | 0 |
| V | **ტექსტის ელემენტები** | 1 |
| | აქვს ეფექტური დასაწყისი ან დასასრული | 1 |
| | არ აქვს ეფექტური დასაწყისი ან დასასრული | 0 |
| VI | **სინტაქსი, მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია;** | 3 |
| | არ არის დაშვებული 5-ზე მეტი შეცდომა | 3 |
| | არ არის დაშვებული 7-ზე მეტი შეცდომა | 2 |
| | არ არის დაშვებული 9-ზე მეტი შეცდომა | 1 |
| | დაშვებულია 9-ზე მეტი შეცდომა | 0 |

## ᲙᲝᲛᲘᲥᲡᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲔᲑᲘ

ნაშრომის შეფასების მაქსიმალური ქულაა **10**
(გვ. 119, დავ. 2.)

| № | კრიტერიუმები | ქულა |
|---|---|---|
| I | **კომიქსის ძირითადი ელემენტები** | 1 |
| | ნამუშევარში არის როგორც ნახატები, ისე მცირე ტექსტები | 1 |
| | ნამუშევარში არ არის თანაბრად მნიშვნელოვანი ნახატები და ტექსტები | 0 |
| II | **კომიქსის დეტალები** | 1 |
| | გათვალისწინებულია კომიქსის დეტალები (ფიქრისა და ლაპარაკის ღრუბლები, შორისდებულები და ხმიანობის გამომხატველი ნაწილაკები) | 1 |
| | არაა გათვალისწინებული კომიქსის დეტალები (ფიქრისა და ლაპარაკის ღრუბლები, შორისდებულები და ხმიანობის გამომხატველი ნაწილაკები) | 0 |
| III | **კომიქსის ორგანიზება და სტრუქტურა** | 2 |
| | ნახატები ლოგიკურად ებმის ერთმანეთს და გადმოსცემს სრულ ამბავს | 2 |
| | ზოგან დარღვეულია ამბის ლოგიკა | 1 |
| | ნახატები არეულია და ძნელია ამბის აწყობა მათგან | 0 |
| IV | **ტექსტის ორგანიზება** | 2 |
| | ტექსტი ყველგან გარკვევით წერია და ადვილად იკითხება | 2 |
| | ტექსტი ზოგან არ წერია გარკვევით | 1 |
| | ტექსტის ამოკითხვა ფაქტობრივად შეუძლებელია | 0 |
| V | **შინაარობრივი მხარე** | 2 |
| | კომიქსი ძალიან საინტერესოა | 2 |
| | ნაკლებად საინტერესოა | 1 |
| | მოსაწყენია | 0 |
| VI | **ვიზუალური მხარე** | 2 |
| | ვიზუალური მხარე მოწესრიგებულია, გაფორმებულია შთამბეჭდავად | 2 |
| | ვიზუალური მხარე მოწესრიგებულია, მაგრამ არ არის შთამბეჭდავი | 1 |
| | ვიზუალურად ნაშრომი არ არის მოწესრიგებული | 0 |

## ნაწერის შეფასების რუბრიკა 6+1

დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ ნაწერის შეფასება საკმაოდ სუბიექტურია და შეუძლებელია შეფასების მეტ-ნაკლებად ობიექტურ ჩარჩოში მოქცევა. თუმცა, 1980-იან წლებში ამერიკელ პედაგოგთა და მკვლევართა ჯგუფმა შეძლო, შეემუშავებინა ნაწერის შეფასების რუბრიკა, რომელიც რევოლუციურ ნაბიჯად იქცა ამ სფეროში და დღესაც ამ რუბრიკას იყენებენ მრავალი ქვეყნის მრავალ სკოლაში.

იმისათვის, რომ ნაწერის შეფასების რუბრიკა შეექმნათ, მკვლევრებმა ჯერ გამოყვეს ნაწერის 6 მახასიათებელი, ასპექტი:

- იდეები
- კომპოზიცია (ნაწერის სტრუქტურა)
- ხმა (ავტორის ინდივიდუალობა)
- სიტყვების შერჩევა (ლექსიკა)
- წინადადებათა წყობა, ლოგიკური თანმიმდევრობა
- მართლწერა

- (ნაშრომის ვიზუალური მხარე)

პლუს ერთი კრიტერიუმი – ნაშრომის ვიზუალური მხარე მაშინ გამოიყენება, როდესაც მოსწავლეებს მოეთხოვებათ, ისწავლონ, როგორ გადაწერონ / გადაბეჭდონ და შექმნან სუფთა, მოწესრიგებული, წერილობითი პროდუქტი.

მიღწევის დონეები დაყოფილია ექვსად (ყველაზე დაბალიდან ყველაზე მაღალ დონემდე):

1. დამწყები
2. ახალბედა
3. განვითარებადი
4. უნარიანი
5. გამოცდილი
6. გამორჩეული

თავის მხრივ, ეს დონეები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს:

| არაკომპეტენტური | | | კომპეტენტური | | |
|---|---|---|---|---|---|
| დამწყები | ახალბედა | განვითარებადი | უნარიანი | გამოცდილი | გამორჩეული |

ნაწერის თითოეული მახასიათებლის, ასპექტისთვის შეიქმნა რუბრიკები მოცემული დონეების გათვალისწინებით.

მაგალითად:

**იდეები**

| არაკომპეტენტური | | | კომპეტენტური | | |
|---|---|---|---|---|---|
| **დამწყები** | **ახალბედა** | **განვითარებადი** | **უნარიანი** | **გამოცდილი** | **გამორჩეული** |
| ნაწერს არა აქვს ძირითადი იდეა, ცენტრალური თემა, მიზანი. მკითხველი ამას როგორღაც უნდა მიხვდეს ფრაგმენტული დეტალებიდან. | ძირითადი იდეა არ ჩანს, მაგრამ არის რამდენიმე თემა, რომელთაგან ნებისმიერი შეიძლებოდა ქცეულიყო ცენტრალურ თემად. | ნაწერს აქვს მთავარი იდეა, თუმცა ეს იდეა მეტისმეტად ფართოა ან მეტისმეტად გამარტივებული | გამოკვეთილია ძირითადი იდეა და თემა. მათი გაშლა-განვითარება ჩანასახოვანი და ზოგადია. | ძირითადი იდეა მკაფიოდაა ჩაოყალიბებულ-გაშლილი, თუმცა კარგი იქნებოდა დამატებითი ინფორმაცია | ძირითადი იდეა მკაფიოდაა დასაბუთებული, უხვადაა გამდიდრებული დეტალებით და ამბებით |
| **საკვანძო შეკითხვა:** არის თუ არა ავტორი ფოკუსირებული თემაზე და გვიზიარებს თუ არა ორიგინალურ და ახალ ინფორმაციას ან ხედვის კუთხეს? | | | | | |

**კომპოზიცია, ნაწერის სტრუქტურა**

| არაკომპეტენტური | | | კომპეტენტური | | |
|---|---|---|---|---|---|
| **დამწყები** | **ახალბედა** | **განვითარებადი** | **უნარიანი** | **გამოცდილი** | **გამორჩეული** |
| ნაწერს არა აქვს არანაირი კომპოზიცია ანუ სტრუქტურა; ერთმანეთთან დაუკავშირებელი, შემთხვევითი ნაწილებისაგან შედგება. | სტრუქტურა, კომპოზიცია ძირითადად არაცხადია; მხოლოდ აქა-იქ ვხვდებით ცალკეულ ელემენტებს, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან. | სტრუქტურა კვლავ პრობლემაა, თუმცა ნელ-ნელა იკვეთება კომპოზიცია. | სტრუქტურა საშუალებას აძლევს მკითხველს, მიჰყვეს ტექსტს განსაკუთრებული დაბრკოლების გარეშე. | კომპოზიცია შეკრულია; მხოლოდ ალაგ-ალაგ გვხვდება მცირე ხარვეზები | ნაწერის სტრუქტურა, კომპოზიცია გამოკვეთს ძირითად იდეას. ტექსტის ცალკეული მონაკვეთები ისეა დალაგებული, რომ მკითხველი ბუნებრივად მიჰყვება ტექსტს. |
| **საკვანძო შეკითხვა:** ეხმარება თუ არა ტექსტის კომპოზიცია და სტრუქტურა ძირითადი იდეის გამოკვეთას და ხდის თუ არა ნაწერს უფრო იოლად გასაგებს? | | | | | |

| ხმა (ავტორის ინდივიდუალობა) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **არაკომპეტენტური** | | | **კომპეტენტური** | | |
| **დამწყები** | **ახალბედა** | **განვითარებადი** | **უნარიანი** | **გამოცდილი** | **გამორჩეული** |
| ავტორი თითქოს ინდიფერენტულია, დისტანცირებულია თემისა და სამიზნე აუდიტორიისგან; არ ურთიერთობს მკითხველთან | არ ჩანს ავტორის მცდელობა, „გააგონოს“ მკითხველს საკუთარი ხმა ისეთი ფრაზების მეშვეობით, როგორიცაა, მაგალითად, „მომწონს“ ან „სასაცილო იყო“; იყენებს მხოლოდ კლიშეებს. | ავტორის ხმა ძნელად მოსახელთებელია, მაშინაც კი, თუ მკითხველი ძალიან ცდილობს ამას. ავტორი გრძნობს მკითხველის არსებობას, მაგრამ არ იძლევა საკუთარ, პიროვნულ ხედვას და ზოგადი მიდგომით კმაყოფილდება. | ავტორი გულწრფელია, თუმცა არაა ბოლომდე ჩართული; შედეგი სასიამოვნოა, მიუხედავად იმისა, რომ თემა და მიზანი ჯერ კიდევ არაა გამოკვეთილი. | ავტორი ურთიერთობს მკითხველთან გულწრფელი, სასიამოვნო და ავთენტური მანერით; თხრობა იტაცებს მკითხველს. | ავტორი უშუალოდ მიმართავს მკითხველს და ინდივიდუალური, გამორჩეული, ენთუზიაზმით სავსე მანერით თხრობს ან მსჯელობს იმგვარად, რომ მკითხველს აინტერესებს, როგორ გაგრძელდება ტექსტი. |
| **საკვანძო შეკითხვა:** მოისურვებდით თუ არა კითხვის გაგრძელებას, ნაწერი რომ უფრო გრძელი ყოფილიყო? | | | | | |

| სიტყვების შერჩევა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **არაკომპეტენტური** | | | **კომპეტენტური** | | |
| **დამწყები** | **ახალბედა** | **განვითარებადი** | **უნარიანი** | **გამოცდილი** | **გამორჩეული** |
| ლექსიკა ძალიან შეზღუდულია; ავტორი არასწორად იყენებს მეტყველების ზოგიერთ ნაწილს | ავტორის ლექსიკა ხარვეზებიანია; გამოყენებულია არასწორი სიტყვები და ამის გამო ავტორის სათქმელი ბუნდოვანია | ლექსიკა მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია, სიტყვები ადეკვატურადაა შერჩეული და ავტორის სათქმელი ასე თუ ისე გასაგებია. | ლექსიკა ფუნქციონალურია; ავტორის სათქმელი ზოგადად ადვილი გასაგებია. | ლექსიკა ზუსტია და სათქმელის შესაბამისი. რთული სიტყვები და ფრაზები, როგორც წესი, სწორადაა შერჩეული. | ლექსიკა ისე ოსტატურადაა შერჩეული, რომ ავტორის სათქმელს ზუსტი, საინტერესო და ბუნებრივი გზით გადმოსცემს. |
| **საკვანძო შეკითხვა:** ქმნიან თუ არა სიტყვები და ფრაზები ცოცხალ სურათებს და რჩებიან თუ არა გონებაში? | | | | | |

## წინადადებათა წყობა, ლოგიკური თანმიმდევრობა

| არაკომპეტენტური | | | კომპეტენტური | | |
|---|---|---|---|---|---|
| **დამწყები** | **ახალბედა** | **განვითარებადი** | **უნარიანი** | **გამოცდილი** | **გამორჩეული** |
| წინადადებები არასწორადაა აგებული; ხმამაღლა რომ ვცადოთ, შეუძლებელი იქნება წაკითხვა. | წინადადებები ერთნაირი ტიპისაა; მარტივი და მონოტონურია; რთულია ნაწერის ხმამაღლა წაკითხვა. | წინადადებები გრამატიკულად სწორია, მაგრამ არამრავალფეროვანი; ხმამაღლა კითხვისას მექანიკურ შთაბეჭდილებას დატოვებს; წინადადებები ერთმანეთს ბუნებრივად არ ებმის. | წინადადებები სხვადასხვა ტიპისაა, სწორადაა აგებული; გვხვდება რთული წინადადებებიც; ხმამაღლა წაკითხვა შესაძლებელია, | გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის წინადადებები, რომლებიც სწორადაა აგებული და ერთმანეთს ბუნებრივად ერწყმის, როდესაც ხმამაღლა ვკითხულობთ. | წინადადებებს აქვს მკაფიო რიტმი და მდინარება; წინადადებების მრავალფეროვანი სტრუქტურა და კარგად აგებული ფრაზები ხმამაღლა კითხვას ექსპრესიულს და სასიამოვნოს ხდის. |
| **საკვანძო შეკითხვა:** გრძნობთ თუ არა, რომ სიტყვები და ფრაზები ბუნებრივად მიედინება, როდესაც ნაწერს ხმამაღლა კითხულობთ? | | | | | |

## მართლწერა

| არაკომპეტენტური | | | კომპეტენტური | | |
|---|---|---|---|---|---|
| **დამწყები** | **ახალბედა** | **განვითარებადი** | **უნარიანი** | **გამოცდილი** | **გამორჩეული** |
| იმდენი შეცდომაა, რომ ტექსტის კითხვას შეუძლებელს ხდის. | ტექსტში მრავალი სხვადასხვა ტიპის შეცდომა გვხვდება; წინადადებების ბოლოს სასვენი ნიშნები (. ? !) სწორადაა დასმული, მაგრამ შიდა სასვენი ნიშნები (, ; : –), როგორც წესი, არასწორადაა გამოყენებული. საჭიროებს მნიშვნელოვან რედაქტირებას. | პუნქტუაცია არათანმიმდევრულია; საკმაოდ ბევრი რედაქტირება სჭირდება, თუმცა სათქმელი ასე თუ ისე გასაგებია. | პუნქტუაცია სწორია; ავტორს ესმის მართლწერის წესები, მაგრამ ალაგ-ალაგ ხშირად უშვებს შეცდომებს. ნაწერს საკმაო რედაქტირება სჭირდება, თუმცა სათქმელი გასაგებია. | მართლწერა სწორია; დროდადრო გვხვდება გრამატიკული შეცდომები, მაგრამ აზრი გასაგებია; ზოგიერთ ადგილს ესაჭიროება რედაქტირება; აზრი იოლად გასაგებია. | ავტორი ითვალისწინებს მართლწერის ყველა წესს; შეცდომები თითქმის არ გვხვდება და ნაწერს უმნიშვნელო რედაქტირება ესაჭიროება. |
| საკვანძო შეკითხვა: რა მოცულობის რედაქტირება სჭირდება, რომ ნაწერი გამოსაქვეყნებლად იყოს მზად? | | | | | |

| ნაშრომის ვიზუალური მხარე | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **არაკომპეტენტური** | | | **კომპეტენტური** | | |
| **დამწყები** | **ახალბედა** | **განვითარებადი** | **უნარიანი** | **გამოცდილი** | **გამორჩეული** |
| ხელნაწერი ასოები არათანაბარი ზომისაა; სიტყვებს შორის მანძილი დაუბალანსებელია ან საერთოდ არაა; ზოგიერთი ასოს გარჩევა ჭირს; აბზაცები არაა გამოყენებული და არეები არაა დაცული. ნაწერი არაა კითხვადი. | ხელწერა გასაგებია; ასოები და სიტყვები მეტ-ნაკლებად იკითხება; სიტყვებს შორის მანძილი პრობლემაა; აბზაცები და არეები არაა დაცული. | ასოები, სიტყვები და მათ შორის მანძილები მეტ-ნაკლებად თანაბარია; ალაგ-ალაგ გვხვდება აბზაცები; მინდორი არაა დაცული. | ასოები, სიტყვები და მათ შორის მანძლები მეტ-ნაკლებად თანაბარია; აბზაცები და მინდვრები მეტ-ნაკლებად დაცულია. | ნაწერი მოწესრიგებულია. ასოები თანაბარი ზომისაა; სიტყვებს შორის მანძილებიც თანაბარია. მინდორი და აბზაცები დაცულია. | ხელწერა კალიგრაფიულია და ნაწერი სასიამოვნო სანახავია; თანაბარი ზომის, ერთნაირი ასოები და სიტყვები თანაბარი მანძილებითაა დაშორებული; აბზაცები და მინდვრები უნაკლოდაა დაცული. |
| **საკვანძო შეკითხვა:** არის თუ არა ნაწერი კითხვადი და თვალისთვის სასიამოვნო? | | | | | |

# პროექტი ქალ ავტორთა შესახებ

ეს პროექტი ემსახურება მიზანს, რომ მოსწავლეები გაეცნონ უფრო მეტ ქალ ავტორს, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ლიტერატურაში. დაინახონ და შეფასონ მათი ღვაწლი. პროექტისთვის შესაძლებელია, შევარჩიოთ ერთი უკვე გარდაცვილი ავტორი და ერთიც თანამედროვე.

ქართველი მწერლები: ეკატერინე გაბაშვილი და ნაირა გელაშვილი

უცხოელი მწერლები: ასტრიდ ლინდგრენი და რ.ჯ.პალაციო;

პროექტზე მუშაობა მოსწავლეებს განუვითარებს ჯგუფური მუშაობის, ინფორმაციის მოძიება–დახარისხები, კრიტიკული ანალიზისა და პრეზენტაციიის უნარებს. ამაღლდება მათი ციფრული და მედიაწიგნიერების დონეც.

პროექტში ჩართულია ჯგუფებად დაყოფილი მთელი კლასი;

პროექტი მოიცავს სტანდარტის შემდეგ ქვეპუნქტებს:

ქართ.საბ.5. ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით);

ქართ.საბ.6. ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ტექსტების შედარება და მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებებზე;

ქართ.საბ.7. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება;

ქართ.საბ.8. სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს).

ქართ.საბ.8. სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს).

ქართ.საბ.11.ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება;

ქართ.საბ.12. სწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით.

**პროექტის მსვლელობა**

ავტორები გაუნაწილდებათ ჯგუფების მიხედვით, თითო ჯგუფს თითო ავტორი და უნდა დაამუშავონ სხვადასხვა კუთხით:

- ბიოგრაფია – მოიძიონ საინტერესო, დასამახსოვრებელი ცნობები არჩეულ ავტორზე, მის ოჯახზე, განათლებაზე;
- რას ამბობენ მასზე – უნდა მოიძიონ რამდენიმე ამონარიდი, რას წერენ მისი ნაწარმოებების შესახებ (მკითხველები, კრიტიკოსები);
- მისი ნაწარმოებები – უნდა შექმნან ერთგვარი ბიბლიოგრაფია ამ ავტორისა, რომელი ნაწარმოები დაიბეჭდა პირველად, რომელმა მოუტანა ყველაზე მეტი პოპულარობა... რა წვლილი შეიტანა თავისი ნაწარმოებებით ამა თუ იმ ავტორმა ლიტერატურის განვითარებაში.
- კონკრეტული მწერლის ერთი განსაკუთრებული ნაწარმოები – მოსწავლე აირჩევს მხოლოდ ერთ ნაწარმოებს და წერს ერთგვარ ანალიზს, რომელში წარმოაჩენს, რატომ მოეწონა, რამ დააინტერესა.
- ინტერვიუ მწერალთან – მოსწავლემ უნდა მოიფიქროს ისეთი კითხვები, რომლებსაც ამა თუ იმ ავტორს დაუსვამდა.

პროექტი იყოფა სამ ეტაპად: მომზადება, პრეზენტაცია კლასის წინაშე და ბლოგის შექმნა.

I ეტაპი – პროექტი საინტერესოა იმიტომ, რომ ჯგუფში ყველა ბავშვი დაკავებული იქნება, თითოეულს მიეცემა დავალება მათი ინტერესეს გათვალისწინებით. ისინი დაეხმარებიან ერთმანეთს უკვე არჩეული დავალების შესრულებაში. ასევე განისაზღვრება დრო, როცა ბავშვმა უნდა შეასრულოს ეს სამუშაო.

II ეტაპი – წინასწარ შეთანხმებულ დროს მოეწყობა პროექტის პრეზენტაცია. ჯგუფის თითოეული წევრი წარადგენს თავის ნამუშევარს თვალსაჩინოებებით.

III ეტაპი – ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, დასკვნითი ეტაპი, რომლის განხორციელებაში მეშვიდეკლასელებს აუცილებლად დასჭრიდებათ ისტ–ის პედაგოგი. შესაბამისად, პროექტის ეს ნაწილი ინტეგრირებული გამოვა საინფორმაციო ტექნოლოგიებთან.მოსწავლეები შექმნიან ბლოგს თემაზე: ქალი ავტორები და მათი ღვაწლი. განათავსებენ უკვე შეკრებილ, დამუშავებულ ინფორმაციასა და თვალსაჩინოებებს.

# პროექტი: ლიტერატურული გმირის სასამართლო

სასამართლო შეიძლება მოეწყოს ნებისმიერი ლიტერატურული გმირისთვის, რომელსაც მოსწავლეები რაიმეში დაადანაშაულებენ. სასამართლო მოსწავლეებისთვის ძალიან სახალისო, საინტერესო და ბევრის მომცემი პროექტია.

ეს პროექტი პირდაპირ ემსახურება უმნიშვნელოვანეს მიზნებს:

ა) მოსწავლის, როგორც ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ფორმირებას.

ბ) ზოგადი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას.

პროექტი მოიცავს სტანდარტის შემდეგ ქვეპუნქტებს:

ქართ.საბ.5. ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით);

ქართ.საბ.6. ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ტექსტების შედარება და მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებებზე;

ქართ.საბ.7. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება;

ქართ.საბ.11.ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება;

ქართ.საბ.12. სწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით.

პროექტი იყოფა სამ ეტაპად.

**I ეტაპი** – ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია.

- მოსწავლეები დაწვრილებით განიხილავენ ტექსტს, რომლის პერსონაჟი უნდა გაასამართლონ.
- წაიკითხავენ დამატებით ნაწარმოებებს, რომლებიც მსგავს პრობლემას ეხება.
- იაზრებენ და ირგებენ ყველა იმ პერსონაჟის როლს, რომლებიც გასასამართლებელ პერსონაჟს რაიმეთი უკავშირდებიან და შეიძლება გამოდგნენ ან ბრალმდებლებად, ან დამცველებად, ან მოწმეებად.
- თუ შესაძლებელია, გაივლიან კონსულტაციას იურისტთან ან სამოქალაქო განათლებს პედაგოგთან მაინც.
- გაინაწილებენ როლებს: მოსამართლე, ბრალმდებლები, დამცველები,მოწმეები, ნაპიზი მსაჯულები, სასამართლოს მდივანი;

**II ეტაპი** – უშუალოდ სასამართლოს წარმართვა, რომელსაც თავისი წესები აქვს.
სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და სასამართლოს წევრთა უფლება-მოვალეობები

- პროცესს ხსნის სასამართლოს მდივანი, რომელიც დამსწრეებს გააცნობს, ვის და რატომ ასამართლებენ, რაში სდებენ ბრალს ბრალდებულს.
- პროცესს იწყებენ ბრალმდებლები, აგრძელებენ დამცველები. შესაბამისად, საჭიროების მიხედვით იძახებენ თავიანთ მოწმეებს.
- მთლიან პროცესს, რეგლამენტს არეგულირებენ მოსამართლეები; საჭიროების შემთხვევაში

სვამენ კითხვებს დასაზუსტებლად და არც ერთ მხარეს არ აძლევენ სხვისი, თუნდაც სიტყვიერად, შეურაცხყოფის უფლებას.

- მოსამართლეები მუშაობენ შეთანხმებულად და გამოაქვთ განაჩენი.
- ნაფიცი მსაჯულები არ ერევიან პროცესში, უსმენენ ყურადღებით და როცა მოსამართლეები გადიან განაჩენის გამოსატანად, თვითონაც თათბირობენ, თანხმდებიან და თავიანთ გადაწყვეტილებას აწვდიან მოსამართლეს. მოსამართლეები ვალდებულნი არიან, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, გაითვალისწინონ ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება.

შენიშვნა: ხმაურის, არეულობის, სხვისი შეურაცხყოფის, უნებართვო ლაპარაკის, არმოსმენის შემთხვევაში პროცესის ნებისმიერი მონაწილე ტოვებს სასამართლო დარბაზს!!!

პროცესის სწორად წარმართვისთვის აუცილებელია რეგლამენტის დაცვა, რომელსაც მასწავლებელი წინასწარ დააწესებს.რეგლამენტს აკონტროლებს მოსამართლე.

**III ეტაპი** – უკვე შემდგარი სასამართლო შეფასება მოსწავლეებისა და მასწავლებლის მიერ. ეს უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომელიც ეხმარება ბავშვს, კიდევ ერთხელ დაინახოს, რას ემსახურებოდა ეს პროექტი, რა გამოუვიდათ კარგად, რა უნდა გააუმჯობესონ, რამდენად სწორი ღირებულებებით იხელმძღვანელეს. ამ საკითხებზე დაწვრილებით საუბრობს მასწავლებელიც.

# რჩევები სარეკომენდაციო ნაწარმოებების, ფილმებისა და ანიმაციების ჩამონათვალთან დაკავშირებით

სახელმძღვანელოში თითოეული თავის ბოლოს შეტანილია სარეკომენდაციო ნაწარმოებების, ფილმებისა და ანიმაციები ჩამონათვალი. ვეცადეთ, მაქსიმალურად მრავალფეროვანი ყოფილიყო ეს სია, რათა მასწავლებელისა თუ მოსწავლისთვის არჩევანის საშუალება მიგვეცა. ამ სარეკომენდაციო სიის შექმნა რამდენიმე მიზეზმა თუ დასახულმა მიზანმა განაპირობა:

- **ძალიან ხშირად, ყველაზე სახალისო სახელმძღვანელოც კი მოსაწყენი და რუტინული ხდება მოსწავლისთვის. ფაქტია, რომ ე.წ. არასაპროგრამო ნაწარმოებებს ისინი უფრო დიდი ინტერესით კითხულობენ. ბავშვების უმეტესობისთვის ეს ინტერესი უფრო ძლიერდება, თუ საქმე ფილმებსა და ანიმაციებს შეეხება.**
- **განათლების ერთ-ერთი მიზანი ბავშვებში წიგნიერების დონის ამაღლება. ადამიანის წიგნიერებას განსაზღვრავს ის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რომლებიც ახალი თემის, პრობლემის სწორად აღქმისა და გაანალიზებისთვისაა საჭირო. ვფიქრობთ, ამაში მოსწავლეს არა მხოლოდ ტექსტების კითხვა, არამედ ფილმების/ ანიმაციების ყურებაც, მათზე მსჯელობა-ანალიზიც ძალიან დაეხმარება.**
- **თითოეული ახალი ტექსტისა და ფილმის გაცნობა ხელს შეუწყობს თითოეულ მათგანში ახალი ინტერესების, ახალი დამოკიდებულებების გაჩენას და მათი ზოგადი განათლების არეალის გაფართოებას ემსახურება.**
- **ხშირად მასწავლებლისთვის რთულია, გაიხსენოს, ამა თუ იმ თემასა თუ პრობლემასთან დაკავშირებული დამატებითი მასალა. უკვე გამზადებული ჩამონათვალი მის დროსა და ენერგიას დაზოგავს და მიზნების მიღწევას გაუადვილებს.**

თითოეული ნაწარმოები, ფილმი თუ ანიმაცია რელევანტურია მათი ასაკისთვის. მიუხედავა ამისა, უმჯობესია, მასწავლებელი თვითონ გაეცნოს თითოეულ მათგანს (ბევრი ისედაც ცნობილი იქნება მისთვის) და კლასის ინტერესების, უკვე განხილული თემებისა და მზაობის გათვალისწინებით თავად შეარჩიოს, რას წაიკითხავენ პირველად ან რას უყურებენ.

საერთოდ, სასურველია და ძალიან თვალსაჩინოა შედეგი, როცა კვირაში ერთი დღე კლასგარეშე მასალას ეთმობა. მოკლე ნაწარმოებებს, მოკლემეტრაჟიან ფილმებსა თუ ანიმაციებს, შესაძლებელებელია, იქვე, გაკვეთილზე, გაეცნონ ბავშვები და გააანალიზონ კიდეც. თავდაპირველად, ალბათ, აჯობებს მცირე ზომის ნაწარმოებებით დაიწყოს მასწავლებელმა, რომ ბავშვები თანდათან შეეჩვიონ განსხვავებულ ფორმატში მუშაობას და თავიდანვე დიდტანიანი წიგნი თუ 2 საათიანი ფილმი ინტერესისა და ხალისის გამომწვევად კი არა, დამთრგუნველად არ იქცეს.

როცა ჯერი ზემოთხსენებულ წიგნებსა თუ ფილმებზე მიდგება, ინტერესის გაღვივებისთვის შესაძლებელია, მასწავლებელმა წაუკითხოს საინტერესო ამონარიდი წიგნიდან ან აჩვენოს ფრაგმენტი ფილმიდან, რათა ბავშვს გაუჩნდეს სურვილი, დამოუკიდებლად, სახლში განაგრძოს კითხვა თუ ყურება.

- **ამა თუ იმ ნაწარმოებთან საკუთარი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში მათ ძალიან დაეხმარება, თუკი მასწავლებლის მითითებებით ერთგვარ „ლიტერატურულ დღიურებს“ აწარმოებენ. ეს შეიძლება იყოს მათთვის სასურველი ზომის, ფორმის, ვიზუალის მქონე ჩასაწერი წიგნაკები ან რვეულები, რომლებშიც შეიტანენ თავიანთ შთაბეჭდილებებს ამა თუ იმ ნაწარმოებზე, ფილმსა და ანიამაციაზე. თავდაპირველად მასწავლებელმა აუცილებლად უნდა მიაწოდოს სარეკომენდაციო კითხვები, რომლებითაც მოსწავლეები იხელმძღვანელებენ. მაგალითად, აუცილებლად უნდა შეიტანონ ამა თუ იმ ნაწარმოების ავტორი (სასურველია, ფილმის რეჟისორიც) და მოქმედი პირები და უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს:**

1. რა ემოციები გამოიწვია შენში წაკითხულმა/ ნანახმა? (მოეწონა – არ მოეწონა)
2. რა იყო, შენი აზრით, ნაწარმოების/ფილმის/ანიმაციის მთავარი სათქმელი?
3. რომელი იყო ყველაზე საინტერესო/ სახალისო/სევდიანი/ დასაფიქრებელი ეპიზოდი?
4. რომელ პერსონაჟს გამოარჩევდი განსაკუთრებით? რატომ?
5. ციტატა, რომელიც ყველაზე მეტად მოგეწონა.
6. რომელი უკვე ნასწავლი/ წაკითხული ნაწარმოები ან ფილმი გაგახსენა?

ბავშვებს უნდა ურჩიოთ, გააფორმონ თავიანთი ლიტერატურული დღიურები სურვილისამებრ, შექმნან ილუსტრაციები ან დახატონ წიგნების ახალი ყდები თუ ფილმების აფიშები.

წახალისების მიზნით, შეგიძლიათ, წლის ბოლოს გამოავლინოთ ყველაზე საინტერესო დღიურის პატრონიც. რა თქმა უნდა, წინასწარ შემუშავებული და ბავშვებისთვის ცნობილი კრიტერიუმებით.

- შედარებით დიდი მოცულობის წიგნების გაცნობისას საინტერესოა პირობითი ნიშნებით კითხვა. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად წინასწარ შეიმუშავებს პირობით ნიშნებს, რომლებიც დაეხმარებათ მოსწავლეებს თავიანთი ემოციებისა თუ დამოკიდებულების დაფიქსირება-დამახსოვრებაში. მაგალითად: თუ მნიშვნელოვანი სათქმელი აღმოაჩინეს, ძახილის ნიშანს დასვამენ, თუ რაიმე ვერ გაიგეს – კითხვით ნიშანს, თუ რომელიმე ეპიზოდზე ბევრი იცინეს – ღიმილაკს დახატავენ, თუ დასევდიანდნენ – ცრემლს და ა.შ.
- შეიძლება, შესთავაზოთ ბავშვებსა და მათ მშობლებს, რომ ერთად წაიკითხონ წიგნი ან უყურონ ფილმს, ხოლო შემდეგ მოაწყოთ ერთგვარი „ღია გაკვეთილი“, რათა განხილვაშიც ჩაერთნონ დაინტერესებული მშობლებიც. ეს ფორმატი გაზრდის მშობელთა ჩართულობასა და მოსწავლეთა მოტივაციას.
- ასევე საინტერესო მეთოდია წიგნებისა თუ ფილმების რეკლამების გაკეთება საკუთარი ან სხვა კლასისთვის. კარგი იქნება, თავიდან თუ თვითონ მასწავლებელი აჩვენებს მაგალითს. აირჩევს ერთ რომელიმე წიგნს ან ფილმს და რეკლამის პრინციპების დაცვით (იხ. მოსწავლის წიგნში გვ.84) წარუდგენს მოსწავლეებს, რათა დააინტერესოს ისინი. შემდეგ უკვე მოსწავლეები თავად ეცდებიან, გაიმეორეონ მასწავლებლის შეთავაზებული ხერხი და სხვა მოსწავლეები დააინტერესონ იმ წიგნითა თუ ფილმით, რომლითაც თავად მოიხიბლნენ.

მოსწავლეებმა კიდევ რა ფორმით შეიძლება, წარადგინონ ესა თუ ის წაკითხული ნაწარმოები, დაწვრილებით მოცემულია მოსწავლის წიგნში – იხილეთ გვ. 86. წიგნების წარდგენის დღე.

# საგაკვეთილო სცენარები

# ქართული ლიტერატურა

## ნიმუში 1

### მცირე მოცულობის ტექსტის გაცნობა-გააზრება

**გაკვეთილის თემა – „ახალი მოსწავლე“**
**გაკვეთილის მიზანი**

- ტექსტის გაცნობა (ტექსტზე მუშაობის უნარები)
- ნაწარმოებში ასახული პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების ძიება (კრიტიკული აზროვნება)

**კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან**

**ქართ. საბ. 1.**
ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;
**ქართ. საბ. 2.**
ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა;
**ქართ. საბ. 4.**
ტექსტის კრიტიკული გააზრება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.
**ქართ. საბ. 5.**
ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით).

**შეფასების ფორმა**
განმავითარებელი
**რესურსები**
სახელმძღვანელო, რვეულები, კალმები
**აქტივობები**
ვარაუდებით კითხვა, კითხვებზე პასუხი, თხზულების წერა.
**გაკვეთილის მსვლელობა**

**აქტივობა №1 (5 წთ)**
მასწავლებელი სვამს კითხვას: გაიხსენე, შექმნილა თუ არა კლასში უხერხული სიტუაცია, როცა თავი გიგრძნია დამნაშავედ?
ის ცდილობს, კონკრეტული სიტუაციები (კლასელებთან, მასწავლებელთან, ოჯახის წევრებთან, უცნობ ადამიანებთან ურთიერთობა) დაასახელოს, რომ ბავშვებმა ადვილად გაიხსენონ. 2-3 ისტორია საკმარისია.
დამატებითი კითხვები: რატომ იგრძენი თავი დამნაშავედ? როგორ ფიქრობ, რისი შეცვლა შეგეძლო იმ მომენტში? როგორ მოიქცეოდი ახლა იმავე სიტუაციაში?

**აქტივობა №2 (10 წთ)**
ამის შემდეგ მასწავლებელი კითხულობს სათაურს და ეკითხება მოსწავლეებს, როგორ ფიქრობენ, რა შეიძლება მოხდეს. რამდენიმე ვერსიის მოსმენის შემდეგ მასწავლებელი იწყებს ტექსტის კითხვას. მოსწავლეები თავიანთ წიგნებში ადევნებენ თვალს.

მასწავლებელი ჩერდება 32-ე სტრიქონთან და სთხოვს მოსწავლეებს, დახურონ ცოტა ხნით წიგნები და გამოთქვან ვარაუდი, როგორ გაგრძელდება თხზულება. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ფრაზაზე „ისტორიული შეცდომა“. მოსწავლეები ცდილობენ, განმარტონ, როგორ ესმით ეს ფრაზა და ლოგიკურად განაგრძონ ტექსტი.

ამის შემდეგ მასწავლებელი ისევ განაგრძობს კითხვას.

**აქტივობა №3 (10 წთ)**

კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი გადადის შეკითხვებზე, სვამს როგორც ფაქტობრივი ინფორმაციის ამოსაცნობ, ისე სააზროვნო შეკითხვებს (მოცემულია სახელმძღვანელოში)

**აქტივობა №4 (15 წთ)**

მოსწავლეები წყვილებში წერენ მოკლე თხზულებას: „მე რომ გერონტი ვიყო...“ ან „მე რომ მირიანი ვიყო...“, რომლებსაც მერე კლასს გააცნობენ და მსჯელობენ (თხზულებაში უნდა ახსნან, როგორ ეცდებოდნენ სიტუაციის გამოსწორებას).

დარჩენილ 5 წუთში მასწავლებელი აკეთებს გაკვეთილის რეფლექსიას და შემოიფარგება მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით ბავშვების ჩართულობასა და ჯგუფურ მუშაობასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ ბავშვები წყვილებში ავსებენ ურთიერთშეფასების კითხვარს:

## შეფასების კრიტერიუმები

| შეფასების კრიტერიუმები | 🙂 | 😐 | 🙁 |
|---|---|---|---|
| მოისმინა ყურადღებით | | | |
| პასუხობდა მასწავლებლის დასმულ შეკითხვებს | | | |
| კარგად გაიაზრა დავალების პირობა | | | |
| წყვილში მუშაობისას ითვალისწინებდა ჩემს მოსაზრებებსაც | | | |
| გასაგებად და თამამად გამოთქვამდა ვარაუდებს | | | |

## საშინაო დავალება

კიდევ ერთხელ წაიკითხე ნაწარმოები სახლში და დაწერე ესე იმაზე, თუ რა სირთულეები ხვდება ახალგადმოსულ მოსწავლეს:

- გაითვალისწინე ურთიერთობა ახალ კლასელებთან, ახალ მასწავლებლებთან;
- ადვილი იქნება თუ არა ახალ წესებთან შეგუება;
- მოუფიქრე ესეს საინტერესო და ეფექტური სათაური.

## ნიმუში 2

# სახელმძღვანელოში მოცემულ თეორიაზე აგებული გაკვეთილი

### გაკვეთილის თემა – როგორ დავწეროთ წერილი
### გაკვეთილის მიზანი

- წერილის ძირითადი ელემენტების გაცნობა;
- მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით წერის უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ისტ-ის საშუალებების გამოყენება ინფორმაციის მიღების, მოპოვებისა და გაცვლა / გაზიარების მიზნით;
- ახალი პროდუქტის შექმნა:

ა) წერს მისალოც ან მოსაწვევ ბარათს სხვადასხვა ადრესატისათვის (მეგობრის, შორეული ნაცნობის, ასაკით უფროსი ადამიანისათვის), თავს არიდებს კლიშეებსა და შტამპებს;

ბ) სწერს წერილს მეგობარს, წიგნის ავტორს, პერსონაჟს, გამოჩენილ ადამიანს, შესაბამისად ცვლის წერის სტილს.

### კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

**ქართ. საბ. 8.**

სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს).

**ქართ. საბ. 10.**

სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს).

### შეფასების ფორმა

განმავითარებელი, განმსაზღვრელი (ჯგუფური მუშაობა)

### რესურსები

სახელმძღვანელო, რვეულები, კალმები

### აქტივობები

გამოწვევა; წერილების წერა; წერილების ტიპების დადგენა და მათი მახასიათებლების გამოკვეთა;

### გაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1 (3წთ)**

გაკვეთილი იწყება მოთელვით, რომლის მიზანია, მოახდინოს პროვოცირება და შექმნას სათანადო განწყობა:

მასწავლებელი ჰყვება გოგონას ისტორიას, რომელმაც ღმერთს მისწერა წერილი.

(6 წლის ფინელმა გოგონამ, ხელგამ, საშობაოდ წერილი მისწერა ღმერთს: სთხოვდა, 100 მარკა ეჩუქებინა მისთვის.

ფინეთში, „არასწორი მისამართის“ მქონე წერილების გახსნის უფლება აქვს მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტს. ასე რომ, წერილი მისამართით „ბატონო ღმერთო“ წაიკითხა ურჰო კალევა კეკონენმა (ფინეთის პრეზიდენტი 1958-1982 წლებში).

პრეზიდენტმა გადაწყვიტა, შეესრულებინა ბავშვის თხოვნა, მაგრამ ჩათვალა, რომ ასეთი პატარა ბავშვისთვის 100 მარკა მეტისმეტად ბევრი იყო, ამიტომ ბრძანა, ხელგასთვის მისი ავტომობილით გაეგზავნათ 50 მარკა და თან „წერილი ღმერთისგან“. მალე კანცელარიაში ისევ მიიღეს წერილი პატარა ხელგასგან: ბავშვი სწერდა ღმერთს, რომ მას ფული მიუტანეს პრეზიდენტის ავტომობილით, რამაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მის ქუჩაზე. გოგონა სთხოვდა ღმერთს, აღარა-

სოდეს გაეგზავნა ვინმესთვის ფული პრეზიდენტის ხელით იმიტომ, რომ პრეზიდენტმა ფულის ნახევარი მოიპარა.)

**აქტივობა №2 (6 წთ)**

მოსწავლეებში დამოუკიდებლად დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, მასწავლებელმა უნდა დააკვირვოს და აღმოაჩენინოს წერილის ძირითადი ელემენტები და სახეობები:

მიმოწერა რომ შედგეს, აუცილებლად უნდა არსებობდეს:

ადრესანტი – ვინც წერს წერილს;

ადრესატი – ვისაც სწერენ;

ინფორმაცია – რის შესახებაცაა საუბარი (საქმიანი, პირადი, რაიმე გრძნობის ან განწყობის გამომხატველი);

წერილის მიზანი – რისთვისაც იწერება წერილი (მილოცვა, მობოდიშება, შთაბეჭდილების გაზიარება, გრძნობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, შეტყობინება, ინფორმაციის გაცვლა, თხოვნა, რჩევა, გაფრთხილება...);

მოსწავლეები უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ პირადი წერილის ძირითადი ელემენტებია:

1. მიმართვა;
2. მოკითხვა;
3. პირადი ინფორმაცია;
4. ძირითადი ინფორმაცია;
5. დასკვნა;
6. დამშვიდობება;
7. ადრესანტის ხელმოწერა და თარიღი.

ეს ყველაფერი, შესაძლებელია, მასწავლებელმა მსჯელობის პარალელურად გადაიტანოს ფლიფჩარტზე ან დაფაზე. ან კიდევ, ჩამოთვლის შემდეგ, შეჯამების მიზნით, აჩვენოს წინასწარ გამზადებული სლაიდი.

მასწავლებელი ასევე გააცნობს ელექტრონული ფოსტის მახასიათებლებსაც, რომლებიც სახელმძღვანელოშია მოცემული.

**აქტივობა №3 (15 + 5 წთ.)**

ჯგუფური სამუშაო (15 წთ) (რომლის მიზანია არსებული ცოდნისა და ახალი ინფორმაციის შეჯერება. გაკვეთილის დასაწყისში გაღვიძებული ინტერესის შენარჩუნება და განმტკიცება.):

მასწავლებელი კლასს ყოფს 4-5 კაციან ჯგუფებად.

ცოწერცოინტ-ის საშუალებით მასწავლებელი აჩვენებს ცნობილი ჰოლანდიელი მხატვრის, ვერმეერის ფერწერულ ტილოს „ქალიშვილი წერილით“.



დავალება ჯგუფური მუშაობისთვის:

ძირითადი ელემენტების დაცვით (1.მიმართვა; 2.მოკითხვა; 3.პირადი ინფორმაცია; 4.ძირითადი ინფორმაცია; 5.დასკვნა; 6.დამშვიდობება; 7.ადრესანტის ხელმოწერა და თარიღი) შექმნან წერილი, რომელსაც, სავარაუდოდ, კითხულობს გოგონა.

პარალელურად მასწავლებელი შეახსენებს მათ ჯგუფური მუშაობის შეფასების კრიტერიუმებს (იხ. დანართში), რომლებსაც დაფაზე ან ფლიფჩარტზე ჩამოწერს.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს პრეზენტაციის სახით.(5წთ)

**აქტივობა №4 (5 წთ + 7 წთ)**

მასწავლებელი ჯგუფებს ურიგებს წინასწარ მოძიებულ სხვადასხვა ტიპის წერილებს:

- ოფიციალური მოწვევა ღონისძიებაზე;
- ოფიციალური მადლობის ბარათი;
- ოფიციალური მობოდიშების ბარათი მნიშვნელოვან შეხვედრაზე ვერგამოცხადების გამო;
- სამადლობელო ბარათი ოჯახის რომელიმე წევრისთვის;
- მოკითხვის ბარათი მეგობრისთვის.

ჯგუფებს ეძლევათ 5 წუთი, რათა გადაიკითხონ მათთვის მიცემული ბარათი, დაადგინონ, რა ტიპისაა და გამოკვეთონ მისი მახასიათებლები.

ჯგუფიდან ერთი ისაუბრებს ამ დაკვირვებებზე (7წთ).

დარჩენილ 4 წუთში მასწავლებელი აკეთებს გაკვეთილის რეფლექსიას, აფასებს ჯგუფებს შესაბამისი კრიტერიუმებით და აძლევს მითითებებს საშინაო დავალებისთვის.

## საშინაო დავალება

წარმოიდგინე, რომ შენ ხარ აბრაამ ლინკოლნის შვილის მასწავლებელი. აღწერე დაწვრილებით (პირველ პირში), რა გრძნობები დაგეუფლებოდა წერილის მიღებისას და შექმენი მასწავლებლის პასუხი.

**ნიმუში 3**

## ნაწარმოების პერსონაჟებზე მუშაობა

### ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ – „ᲩᲘᲠᲘᲙᲘ ᲓᲐ ᲩᲘᲙᲝᲢᲔᲚᲐ“
### ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ

- პერსონაჟის სახის შექმნის ხერხებზე დაკვირვება / იდენტიფიცირება;
- პერსონაჟის დახასიათების სტრატეგიები;

### ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲐᲡᲗᲐᲜ

**ქართ. საბ. 1.**

ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;

**ქართ. საბ. 2.**

ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა;

**ქართ. საბ. 5.**

ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით);

### ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐ

განმსაზღვრელი, განმავითარებელი

### ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ

სახელმძღვანელო, რვეულები, სქემები, კალმები

### ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲔᲑᲘ

კითხვებზე პასუხი, სააზროვნო სქემის შევსება (ჯგუფებში), პერსონაჟის ანკეტის შევსება (წყვილებში)

### ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ

**აქტივობა №1 (4 წთ)**

მასწავლებელი სვამს კითხვას: – როგორ გვექმნება წარმოდგენა სრულიად უცხო ადამიანზე?

მოსწავლეების მსჯელობის მიხედვით მასწავლებელი ასკვნის, რომ თითქმის იმავე მახასიათ-ებლებს იყენებენ მწერლები და ჩამოწერს დაფაზე ან ფლიფჩარტზე: პერსონაჟის პორტრეტი, მეტყველება, დამოკიდებულებები და ავტორის მიერ დახასიათება...

**აქტივობა №2 (20 წთ)**

მსჯელობის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად და ურიგებს „პერსონაჟის ამოსაცნობი ხერხების“ სქემას, რომელზეც უნდა იმუშაონ 15 წუთის განმავლობაში:



სქემების შევსების შემდეგ იწყება მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაცია.(5წთ)

**აქტივობა №3 (10 + 5 წთ.)**

პრეზენტაციების დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ურიგდებათ „პერსონაჟთა კითხვარი“, რომელზეც ამჯერად წყვილებში უნდა იმუშაონ.

10 წუთის განმავლობაში ზოგიერთი წყვილი ავსებს ჩიკოტელას კითხვარს, ზოგიერთი – ჩირიკის.

## პერსონაჟის კითხვარი

სახელი, გვარი ______________________

დაბადების თარიღი, ადგილი ______________________

წარმომავლობა, ასაკი ______________________

ოჯახური მდგომარეობა ______________________

საყვარელი საქმიანობა ______________________

თვისება, რომელიც სხვებისგან გამოგარჩევთ.. ______________________

რა გიყვართ ყველაზე მეტად ? ______________________

რას ნანობთ? ______________________

______________________

რაზე ოცნებობთ? ______________________

______________________

წარსულის შეცვლა რომ შეგეძლოთ... ______________________

______________________

მოსმენა რომ შეეძლოთ, რას უსაყვედურებდით ადამიანებს? ______________________

______________________

რისთვის გადაუხდით მადლობას ადამიანებს? ______________________

______________________

ადამიანი, რომლის გარეშეც სიცოცხლე არაფრად გიღირთ... ______________________

______________________

ცხოვრებამ გასწავლათ, რომ... ______________________

______________________

კითხვარების შევსების შემდეგ კლასში განიხილავენ რამდენიმე ნაშრომს, დანარჩენები მხოლოდ მსჯელობაში ერთვებიან, რომელიც დაახლოებით 5 წუთს გრძელდება.

დარჩენილ 6 წუთში მასწავლებელი აკეთებს გაკვეთილის რეფლექსიას, აფასებს ჯგუფებს შესაბამისი კრიტერიუმებით, მეწყვილეები აფასებენ ერთმანეთს ზემოთ მოცემული „ურთიერთშეფასების კითხვარის“ მიხედვით და აძლევს მითითებებს საშინაო დავალებისთვის.

## საშინაო დავალება

ნაწარმოებში მეორეხარისხოვანი პერსონაჟია ჩიკოტელას ცოლი თაშნეურა.

უკვე შესწავლილი პერსონაჟის ამოსაცნობი ხერხების დახმარებით დაახასიათეთ თაშნეურა წერილობით.

**ნიმუში 4**

## ნაწარმოების მხატვრულ მხარეზე მუშაობა

**გაკვეთილის თემა: ნაწარმოების მხატვრული მხარე – „ოდისევსი და ციკლოპი“**
**გაკვეთილის მიზანი: მხატვრული სახეების ამოცნობა და იდენტიფიკაცია ტექსტში.**
**კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან**

**ქართ. საბ. 9.**

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს);

### აქტივობები

1. ვიდეოს ჩვენება – ანალიზი
2. კითხვა-პასუხი
3. სლაიდშოუს საშუალებით რამდენიმე მხატვრული ხერხის გახსენება და სავარჯიშოების შესრულება
4. ტექსტიდან მხ. სახეების ამოკრება

**აქტივობა №1 (5 წთ + 15 წთ)**

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს 2 წუთიან ვიდეოს ფილმიდან „წიგნის ქურდი“ (https://www.youtube.com/watch?v=VCpopyBkov4), რომელშიც კარგად ჩანს, რამდენად ეხმარება მხატვრული ხერხები ადამიანს, უკეთ წარმოისახოს აღწერილი სიტუაცია/გარემო. (მთელი კლასი) 5 წთ.

ვიდეოს ჩვენების შემდეგ მასწავლებელი სლაიდების დახმარებით უხსნის ორ მხატვრულ ხერხს: შედარებასა და მეტაფორას. ასევე ახსენებს წინა კლასში შესწავლილ გაპიროვნებასაც. ამის შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ სლაიდზე გამოტანილ რამდენიმე სავარჯიშოს.

მაგალითად:

1. მაგალითები და ტროპის სახეები შეუსაბამეთ ერთმანეთს და დააწყვილეთ (გაითვალისწინეთ, ერთი მათგანი ზედმეტია)

| | |
|---|---|
| • „ნაცივარი მიწა...“ | |
| | მეტაფორა |
| • „მთა თეთრი, როგორც მაღალი რაში...“ | |
| | გაპიროვნება |
| • „ჩიტებმა მორთეს ერთხმად სიმღერა...“ | |
| | შედარება |
| • „კავკასიონის მთებს ეძინათ“ | |

(15 წთ)

**აქტივობა №2 (15 წთ + 5 წთ)**

ამის შემდეგ მასწავლებელი ყოფს კლასს ჯგუფებად და თითოეულს ურიგებს ქვემოთ მოცემულ სქემას (15 წთ):

| მხატვრული ხერხები | მაგალითი | განმარტება |
|---|---|---|
| შედარება | | |
| | | |
| | | |
| მეტაფორა | | |
| | | |
| | | |
| გაპიროვნება | | |
| | | |
| | | |

ჯგუფური სამუშაოს დასრულების შემდეგ განიხილავენ შევსებულ სქემებს (5 წთ.)

დარჩენილ 5 წუთს მასწავლებელი იყენებს გაკვეთილის რეფლექსიასა და მოსწავლეთა შეფასებაში. აფასებს ჯგუფურ მუშაობას (რუბრიკა იხილეთ დანართში)

## საშინაო დავალება

დაწერე თხზულება „ჩემი საუკეთესო მეგობარი“, რომელშიც გამოიყენებ შენთვის უკვე ნაცნობ მხატვრულ სახეებს.

თხზულება რომ საინტერესო გამოგივიდეს, აღწერე:

- შენი მეგობრის გარეგნობა;
- თვისებები;
- დამოკიდებულებები;
- შეხედულებები.

## ნიმუში 5

# შემაჯამებელი გაკვეთილი – პრობლემის იდენტიფიცირება

### გაკვეთილის თემა – „ახალი მოსწავლე“
### გაკვეთილის მიზანი

- ტექსტის შეჯამება
- ნაწარმოებში ასახული პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების ძიება (კრიტიკული აზროვნება)

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

**ქართ. საბ. 1.**

ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;

**ქართ. საბ. 2.**

ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა;

**ქართ. საბ. 4.**

ტექსტის კრიტიკული გააზრება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.

**ქართ. საბ. 5.**

ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით)

**ქართ. საბ. 7.**

საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება;

### შეფასების ფორმა

განმავითარებელი, განმსაზღვრელი

### რესურსები

სახელმძღვანელო, რვეულები, კალმები

### აქტივობები

კითხვებზე პასუხი, ანალიტიკური წერა (თხზულების წერა – „შეცვალე პერსონაჟი“)

### გაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1 (3 წთ)**

მასწავლებელი დაფაზე წერს სამ სიტყვას: ოცნება, ფრთები, ოჯახი და სთხოვს მოსწავლეებს, რაც შეიძლება, მოკლედ და გასაგებად ჩამოაყალიბონ, როგორ შეიძლება, უკავშირდებოდნენ ეს სიტყვები ერთმანეთს იდეურ-აზრობრივად.

მოსწავლეები ამბობენ თავიანთ იდეებს და მათგან რამდენიმეს მასწავლებელი წერს დაფაზე.

ამის შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვას: უკავშირდება თუ არა რომელიმე შეხედულება მათ მიერ ახლახან შესწავლილ ნაწარმოებს?

მოსწავლეები მსჯელობენ 2-3 წუთის განმავლობაში.

**აქტივობა №2 (3 წთ)**

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებს ტექსტის გასაანალიზებლად (იხ. მოსწავლის წიგნში გვ.62).

**აქტივობა №3 (15 წთ.)**

მასწავლებელი ჯგუფებად ყოფს კლასს და სთხოვს, ჩამოწერონ ის პრობლემები, რომლებიც, მათი შეხედულებით, გადმოცემულია ტექსტში და თითოეულ პრობლემას მიუწერონ არგუმენტაცია თავიანთი სიტყვებით, ციტატების მოშველიებით.(10 წთ)

სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფიდან ერთ-ერთი მოსწავლე კლასს წარუდგენს ნამუშევარს. საბოლოოდ, მასწავლებლის დახმარებით შეაჯერებენ იმ პრობლემებს, რომლებიც ყველა ჯგუფს საერთო ჰქონდა და გადაიტანენ დაფაზე. (პრობლემების სავარაუდო ვერსიები: მამისა და ზურას ურთიერთობა, მამისა და მთელი ოჯახის ურთიერთობა, ზურას აუსრულებელი ოცნებები და მისი ასრულების გზები, ადამიანის ბუნებისადმი არასწორი დამოკიდებულება, დედის პასიური როლი...)

**აქტივობა №4 (15 + 5წთ)**

ჯგუფებს ეძლევათ წერითი დავალება „შეცვალე პერსონაჟი". დავალების პირობა ასეთია: მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ სამი პერსონაჟიდან (ზურა, კაპიტო, დედა) ერთ-ერთი ისე, რომ მათ მიერ იდენტიფიცირებული რომელიმე პრობლემა გადაიჭრას. 15წუთი ეძლევათ სამუშაოდ, ხოლო შემდეგ აცნობენ თავიანთ თხზულებებს კლასს.

დარჩენილი 4 წუთის განმავლობაში მასწავლებელი აკეთებს გაკვეთილის რეფლექსიას და აფასებს მოსწავლეებს ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკით (იხ.დანართში)

## საშინაო დავალება

მოსწავლის წიგნში, გვ. 62, მე-3 დავალება

დაწერეთ ერთი მოგონება, რომელიც თქვენს ახდენილ თუ ჯერ აუხდენელ ოცნებას უკავშირდება. ეცადეთ, იყოს საინტერესოდ დაწერილი, რომ წაკითხვის დროს კლასელებზე შთაბეჭდილება მოახდინოთ.

## ნიმუში 6

## ინტეგრირებული გაკვეთილი (კავშირი სახვით და გამოყენებით ხელოვნებასთან)

### გაკვეთილის თემა – „ბეტმენისა და ჯოკერის ორთაბრძოლა“
### გაკვეთილის მიზანი

- განსხვავებული ფორმატის ტექსტის აღქმა და სწორად გააზრება;
- დაინახოს მოსწავლემ ფუნქციური და აზრობრივი კავშირი ხელოვნების ორ დარგს შორის.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

**ქართ. საბ. 1.**

ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;

**ქართ. საბ. 2.**

ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა.

**ს.გ. საბ. 1.**

ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება.

### შეფასების ფორმა

განმავითარებელი

### რესურსები

სახელმძღვანელო, რვეულები, კალმები

### აქტივობები

კომიქსის მახასიათებლების გაცნობა; კომიქსის მიხედვით თხზულების დაწერა; თხზულების მიხედვით კომიქსის შექმნა.

**აქტივობა №1 (5 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვა „კომიქსს“. გონებრივი იერიშით ბავშვები ასახელებენ სიტყვებს, რომლებიც, მათი აზრით, კომიქსს უკავშირდება. მათი იდეების ამოწურვის შემდეგ მასწავლებელი იწყებს ცნებებისა და ფრაზების გამოცხრილვას, ტოვებს მხოლოდ იმ სიტყვებს, რომლებიც უშუალოდ კომიქსის არსს განსაზღვრავს.

ამის შემდეგ მასწავლებელი სლაიდების დახმარებით დეტალურად უხსნის კლასს კომიქსის წარმოშობის ისტორიასა და მის აუცილებელ მახასიათებლებს, როგორ უნდა ამოიკითხონ მთავარი ინფორმაცია, დაიჭირონ პერსონაჟთა ხასიათები...

**აქტივობა №2 (15 წთ.)**

მასწავლებელი ჯგუფებად ყოფს კლასს და აძლევს დავალებას:

უნდა წაიკითხონ და განიხილონ სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტი (გვ.116-117) და რაც გაიგეს, თხზულების სახით უნდა გადმოსცენ. დასრულების შემდეგ ნამუშევრებს აცნობენ კლასს.

**აქტივობა №3 (20 წთ.)**

ჯგუფებს ურიგდება დიდი ფორმატის ფურცელი. მათ უნდა აირჩიონ ამ თავში ნასწავლი ნაწარმოებებიდან ერთ-ერთი და აქციონ კომიქსად.

ამ დავალების შესრულებაში მათ ეხმარება სახვითი ხელოვნების მასწავლებელი, რომელიც ასწავლის, როგორ გადმოსცენ დეტალები, დახვეწონ ნახატები, დაწერონ ტექსტი გასაგებად და მკაფიოდ, შესაბამისი ფორმატით.

დასრულებულ ნამუშევრებს ჯგუფები წარუდგენენ თანაკლასელებს.

დარჩენილი 5 წუთის განმავლობაში მასწავლებელი აკეთებს გაკვეთილის რეფლექსიას და აფასებს ნამუშევრებს კომიქსის შეფასების რუბრიკით (იხ. დანართი)

## საშინაო დავალება

შექმენი კომიქსი სათაურით „ვახტანგ გორგასლის პირველი ლაშქრობა“
(გვ. 119, მე-2 დავალება)

# ქართული ენა

## ნიმუში 1

### დახურული კითხვების გამოყენება გაკვეთილზე

**გაკვეთილის თემა**

ქართული დამწერლობის სახეები

**სასწავლო მიზნები**

მოსწავლე შეძლებს:

- ანბანის დახმარებით წაიკითხოს ასომთავრული და ნუსხური ტექსტების ფრაგმენტები;
- იმსჯელოს ქართული დამწერლობის სახეების შესახებ.

**შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან**

**ქართ. საბ. 9.**

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს);

**ქართ. საბ. 10.**

სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით

**მოსწავლეთა წინარე ცოდნა**

- მოსწავლეებმა იციან ქართული ანბანის განვითარების შესახებ გარკვეული საკითხები.
- მოსწავლეებს შეუძლიათ ინფორმაციის მონიშვნა, საჭირო ინფორმაციის წამოღება ვრცელი ტექსტიდან.

**ორგანიზების ფორმა**

ჯგუფებში მუშაობა; წყვილებში მუშაობა.

**გაკვეთილის მსვლელობა**

**აქტივობა №1**

მასწავლებელი ნებისმიერი ხერხით დააწყვილებს მოსწავლეებს და ეკრანზე ან სახლმძღვანელოში აჩვენებს მე-4 გაკვეთილის პირველ დავალებაში მოცემულ ილუსტრაციებს. სთხოვს მოსწავლეებს, სცადონ და ამოიკითხონ სიტყვები ან ცალკეული ასოები მაინც. ამავე მიზნით მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი ასომთავრული და ნუსხური ხელნაწერის ან წარწერის ილუსტრაცია. (3 წთ)

**აქტივობა №2**

წყვილები წარმოადგენენ თავიანთ ვარაუდებს, რა ამოიკითხეს მოცემული ტექსტებიდან. მასწავლებელი არ მუთითებს სწორ და არასწორ ვარაუდებზე. მასწვლებელი სვამს კითხვებს, როგორ ფიქრობთ, რატომ გვიჭირს ტექსტის წაკითხვა? რა იცით ამ დამწერლობის შესახებ? ისმენს მოსწავლეთა ვარაუდებს. (5 წთ)

**აქტივობა №3**

მასწავლებელი აჯგუფებს მოსწავლებს, ჯგუფებს უნაწილებს 2.1-2.7 დავალებეს და სთხოვს, გადახედონ ტექსტს, იპოვონ მათთვის საჭირო მონაკვეთები და თავიანთ კითხვებზე დასაბუთებული პასუხები დაწერონ რვეულში. (10 წუთი)

**აქტივობა №4**

ჯგუფები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. (5 წუთი)

**აქტივობა №5**

მასწავლებელი ჯგუფებს უნაწილებს 3.1 და 3.2 დავალებებს. 3.2 დავალება შეიცავს 3 პატარა ტექსტს, სასურველია, რომ მასწავლებელმა ეს მცირე მონაკვეთები კიდევ უფრო მცირე ნაწილებად დაყოს და ისე მისცეს ჯგუფებს. სთხოვს მოსწავლეებს, რომ დაიხმარონ ამავე გაკვეთილში მოცემული ქართული ანბანის სახეები, ამოიკითხონ მონაკვეთები და გადაწერონ რვეულში მხედრული ანბანით. (5 წთ)

**აქტივობა №6**

ჯგუფები უცვლიან ერთმანეთს ნამუშევრებს და ამოწმებენ. (2-3 წთ).

**აქტივობა №6**

მასწავლებელი შეაჯამებს ჯგუფების მუშაობას, სთხოვს მოსწავლეებს, თავადაც გააკეთონ კომენტარები და აძლევს საშინაო დავალებას. დავალება შეიძლება იყოს ნებისმიერი ტექსტის ძალიან მცირე მონაკვეთის გადაწერა ნუსხურად ან ასომთავრულად. (3-5 წთ).

## შედეგი

- იმუშაოს სხვასთან ერთად, მოისმინოს და გაიზიაროს სხვათა მოსაზრებები.
- წარადგინოს თავისი ნამუშევარი

## სასწავლო რესურსები

დაფა, კალამი, თაბახის ფურცლები ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, პროექტორი...

# ნიმუში 2

## გაკვეთილის თემა

თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი არსებითი სახელები

## გაკვეთილის მიზანი

მოსწავლე შეძლებს:

- ზოგიერთი გრამატიკული ცნების გაგებას, გააზრებას.
- გამოიყენებს წინარე ცოდნას მეტყველების ნაწილებისა და არსებითი სახელების შესახებ და დააკავშირებს ახალმიღებულ ინფორმაციასთან.
- არსებითი სახელების კლასიფიცირებას ფუძის დაბოლოების მიხედვით.

## შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

**ქართ. საბ. 9.**

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს)

**ქართ. საბ. 10.**

სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს)

## მოსწავლეთა წინარე ცოდნა

მოსწავლეებს მე-6 კლასში შესწავლილი აქვთ არსებითი სახელი, მისი ჯგუფები, არსებითი სახელის ბრუნება.

## ორგანიზების ფორმა

ჯგუფური

## გაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1 –(ჯგუფებად განაწილება)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად. ამისათვის იყენებს შემთხვევითობის პრინციპს: მოსწავლეები დახურული ყუთიდან იღებენ პატარა ფურცლებს. ფურცლები 4 ფერისაა. ფერების მიხედვით შედგება 4 ჯგუფი და განაწილდებიან ოთახში. თითოეულ ჯგუფში დაახლოებით 5-6 მოსწავლე იქნება. **(დრო – 4 წუთი)**

**აქტივობა №2**

ჯგუფები მოიფიქრებენ სახელს და ამისათვის განკუთვნილ ფურცლებზე დაწერენ, ფურცელს დადებენ მაგიდაზე. (დრო 2 წუთი)

**აქტივობა №3**

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაისხენონ და ჩაინიშნონ, რა ახსოვთ, როგორ იყოფა არსებითი სახელი ფუძის მიხედვით. როცა მოსწავლეები ფიქრობენ, მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში ეხმარება კითხვებით. მაგ: როგორფუძიანი შეიძლება იყოს არსებითი სახელი? რომელია სიტყვის ფუძე? ხომ არ იცვლება ზოგჯერ ფუძე ბრუნებისას? როგორ იცვლება? და ა. შ. (დრო – 7 წუთი)

**აქტივობა №4**

მასწავლებელი ეკრანზე აჩვენებს სქემას, რომელიც უნდა შეავსონ ჯგუფებმა. ქვემოთ ჩამოწერილია ცნებები, რომლებიც უნდა შეარჩიონ მოსწავლეებმა და ჩასვან შესაბამის ადგილას სქემაში. ჯგუფებს მასწავლებელი ურიგებს ფურცლებს ზუსტად ასეთსავე ფურცლებს. მოსწავლეებს

აგრეთვე ევალებათ, რომ გაიხსენონ თითოეული ტიპის არსებითი სახელი და მიუწერონ სქემაში შესაბამის ადგილას **(დრო – 5 წუთი)** იხილეთ დანართი 1

**აქტივობა №5**

ჯგუფები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. მასწავლებელი აკეთებს კომენტარს, ასწორებს შეცდომებს, აძლევს განმავითარებელ კომენტარებს. **(8 წუთი)**

**აქტივობა №6**

მასწავლებელი ჯგუფს აძლევს საშიანო დავალებას. ეს თემა პირველი თავის პირველი გაკვეთილია, მასწავლებელს შეუძლია, ამავე თავიდან მისცეს ზოგიერთი დავალება შინ სამუშაოდ. **(1 წუთი)**

**აქტივობა №7**

მასწავლებელი აფასებს ჩატარებლ გაკვეთილს, სთხოვს მოსწავლეებს, დაუბრუნონ უკუკავშირი. **(დრო –5 წუთი)**

## შეფასება

განმავითარებელი (ზეპირი კომენტარი)

1) თანამშრომლობითი უნარების შეფასება

2) ჯგუფური მუშაობის შეფასება

3) ჩართულობა.

## შედეგი

მოსწავლეებს შეუძლიათ:

- იმუშაონ ერთობლივად, მოისმინონ და გაიზიარონ ერთმანეთის მოსაზრებები, შეაჯერონ განსხვავებული პოზიციები.
- დაახარისხონ ინფორმაცია, გააკეთონ კლასიფიკაცია.
- წარადგინონ თავიანთი ნამუშევარი.

## სასწავლო რესურსი

დაფა, კალამი, თაბახის ფურცლები ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, პროექტორი. ბლოგი, ფეისბუქ ჯგუფი...

## დანართი 1



## ნიმუში 3

### ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ

თანდებულიანი სახელების მართლწერა

### ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ

მოსწავლე შეძლებს:

- ტექსტის რედაქტირების უნარის გამომუშავებას;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას;

### ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲝᲑᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲐᲡᲗᲐᲜ

**ქართ. საბ. 9.**

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს)

**ქართ. საბ. 10.**

სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს)

### ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐ

განმავითარებელი, განმსაზღვრელი

### ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ფორმატი, მარკერები, კალმები, დაფის მაგნიტები, ფურცლებზე დაბეჭდილი, წინასწარ მომზადებულ ტექსტები

### ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐ

ჯგუფური

### ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ

**აქტივობა №1 (3 წთ.)**

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად, მოსწავლეებს აცნობს მუშაობის ფორმატს და პრინციპებს, შეფასებს სქემას

თითოეულ ჯგუფს ურიგებს ფურცლებზე დაბეჭდილ მცირე მოცულობის ტექსტებს.

**აქტივობა №2 (3 წთ.)**

მოსწავლეებს აძლევს დავალების ინსტრუქციას:

წარმოიდგინეთ, რომ ხართ მასწავლებელი და ამზადებთ მასალას შემაჯამებელი სამუშაოსათვის არსებითი სახელის მართლწერის წესებთან დაკავშირებით. დარიგებულ ტექსტებში ყველაფერი სწორადაა დაბეჭდილი. თქვენ უნდა გადაწეროთ ტექსტი ისე, რომ დაუშვათ 20 ტიპური შეცდომა (მასწავლებელს შეუძლია შეცდომების რაოდენობა თავისი შეხედულებისამებრ მიუთითოს), რომელიც უკავშირდება არსებითი სახელის მართლწერას, განსაკუთრებით კი — თანდებულებისას. ე.ი. გევალებათ, მოამზადოთ ტექსტი რედაქტირებისათვის.

**აქტივობა №3 (8-10 წთ.)**

ჯგუფები მუშაობენ ტექსტებზე. მასწავლებელი აკვირდება ჯგუფების მუშაობას და, საჭიროების შემთხვევაში, უპასუხებს მოსწავლეთა შეკითხვებს ან ეხმარება ჯგუფებს.

**აქტივობა №4 (8-10 წთ.)**

ჯგუფები ერთმანეთს გაუცვლიან რედაქტირებისთვის მომზადებულ ტექსტებს, შეასწორებენ შეცდომებს და გასწორებულ ტექსტს გადაიტანენ ფორმატზე.

**აქტივობა №5 (10-15 წთ.)**

თითოეული ჯგუფი წარმოადგენს რედაქტირებულ ტექსტს, განმარტავს, რა შეცდომები აღმოაჩინა ტექსტში, რატომ მიიჩნევს შეცდომად, როგორ შეასწორა და რის საფუძველზე.

**აქტივობა №6 (4-5 წთ.)**

შეფასება: მოსწავლეები ფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად დაიცვეს დავალების ინსტრუქცია, რამდენად გაითვალისწინეს სალიტერატურო ენის ნორმები და შესწავლილი საკითხები ტექსტის რედაქტირებისათვის მომზადების პროცესში, რამდენად სრულყოფილად მოახერხეს ტექსტის რედაქტირება და როგორ წარმოადგინეს მასალა აუდიტორიის წინაშე.

აფასებს მოსწავლეებს ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკით (იხ.დანართში).

# ნიმუში 4

## გაკვეთილის თემა

**სახელისა და გვარის ერთად ბრუნება**

## სასწავლო მიზნები

**გაკვეთილის სასწავლო მიზანი:**

მოსწავლე შეძლებს:

- ზოგიერთი გრამატიკული ცნების გაგებას, გააზრებას.
- გამოიყენებს წინარე ცოდნას და დააკავშირებს ახალმიღებულ ინფორმაციასთან.
- გამოიყენებს ცოდნას პრაქტიკულად.
- დაასაბუთებს საკუთარ შესწორებებს.

## შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

**ქართ. საბ. 9.**

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს)

**ქართ. საბ. 10.**

სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს)

## მოსწავლეთა წინარე ცოდნა

- მოსწავლეებს შესწავლილი აქვთ საზოგადო არსებითი სახელების ბრუნება; საკუთარი სახელის ბრუნება; გვარის ბრუნება.

## ორგანიზების ფორმა

ჯგუფური

## გაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1** – (ჯგუფებად განაწილება)

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად მისთვის მისაღები ნებისმიერი ფორმით. რაკი გაკვეთილის თემა გვარ-სახელებს უკავშირდება, შესაძლოა დასაჯგუფებლად გამოიყენოს გვარები, სახელები, მაგალითად, მოსწავლეები, რომელთა გვარებიც იწება ერთსა და იმავე ასოზე, იყვნენ ერთ ჯგუფში, რომელთა სახელებიც იწება ერთ ასოზე – მეორეში და ა. შ. **(დრო – 2 წუთი)**

**აქტივობა №2**

მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს აძლევს თითო ბარათს, რომელზეც წერია წინადადება, რომელშიც გვარ-სახელის ერთად ბრუნებისას შეცდომაა დაშვებული. ეს წინადადებები შეიძლება იყოს სახელმძღვანელოს 3.2 სავარჯიშოდან ამოწერილი წინადადებები, ან მსგავსი წინადადებები შესაძლოა თვითონ მოამზადოს მასწავლებელმა. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ წინადადება და იპოვონ შეცდომა. **(დრო 2 წუთი)**

**აქტივობა №3**

ჯგუფები წარმოადგენენ, რას მიიჩნევენ შეცდომად, როგორ იქნებოდა სწორი და ცდილობენ, ახსნან, რატომ ფიქრობენ ასე. შესაძლოა, მხოლოდ დაასახელონ, ან ვერც დაასახელონ სწორი ვარიანტები. **(დრო 3 წუთი)**

**აქტივობა №4**

მასწავლებელი ჯგუფებს უნაწილებს გაკვეთილის მე-2 ბლოკში მოცემულ დახურულ კითხ-

ვებს (2.1, 2.2, 2.3, 2.4) და სთხოვს, სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის დახმარებით შეარჩიონ სწორი პასუხი, დაასაბუთონ და მოიფიქრონ მაგალითები. **(დრო – 5 წუთი)**

**აქტივობა №5**

ჯგუფები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. მასწავლებელი აკეთებს კომენტარს, ასწორებს შეცდომებს, აძლევს განმავითარებელ კომენტარებს. **(5 წუთი)**

**აქტივობა №6**

უბრუნდებიან პირველ აქტივობაში გამოყენებულ ბარათებს და ცდილობენ, ახალმიღებული ცოდნის საფუძველზე გადაამოწმონ, რამდენად სწორად ამოიცნეს შეცდომები და როგორ გაასწორეს. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, თითოეული შესწორების დასაბუთებას.

**აქტივობა №7**

მასწავლებელი ჯგუფს აძლევს საშიანო დავალებას ამავე გაკვეთილიდან. **(1 წუთი)**

**აქტივობა №8**

მასწავლებელი აფასებს ჩატარებლ გაკვეთილს, სთხოვს მოსწავლეებს, დაუბრუნონ უკუკავშირი. **(დრო – 5 წუთი)**

## შეფასება

განმავითარებელი (ზეპირი კომენტარი)

1) თანამშრომლობითი უნარების შეფასება

2) ჯგუფური მუშაობის შეფასება

3) ჩართულობა.

## შედეგი

მოსწავლეებს შეუძლიათ:

- იმუშაონ ერთობლივად, მოისმინონ და გაიზიარონ ერთმანეთის მოსაზრებები, შეაჯერონ განსხვავებული პოზიციები.
- ტექსტიდან ამოიღონ საწირო ინფორმაცია, თეორიული ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკული დავალებების შესასრულებლად.
- წარადგინონ თავიანთი ნამუშევარი.
- თეორიის მოშველიებით დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები.

## სასწავლო რესურსი

დაფა, კალამი, თაბახის ფურცლები ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, პროექტორი. ბლოგი, ფეისბუქ ჯგუფი...

## ნიმუში 5

## შემაჯამებელი გაკვეთილი

### გაკვეთილის თემა

ზედსართავი სახელები მხატვრულ ტექსტებში

### გაკვეთილის მიზანი

გაკვეთილის სასწავლო მიზანი:
მოსწავლე შეძლებს:

- ზედსართავი სახელის ფუნქციის სიღრმისეულად გაგებას, გააზრებას.
- ზედსართავი სახელის მნიშვნელობის შეფასებას მხატვრული ტექსტისთვის.
- წინარე ცოდნის გამოყენებასა და დაკავშირებას ახალმიღებულ ინფორმაციასთან.
- ცოდნის პრაქტიკულად გამოიყენებას.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

**ქართ. საბ. 9**

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს);

**ქართ. საბ. 11**

ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება;

### მოსწავლეთა წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შესწავლილი აქვთ ზედსართავი სახელი, მისი ჯგუფები. მოსწავლეებს აქვთ მხატვრულ ტექსტში ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების პოვნის, მათ ფუნქციაზე მსჯელობის უნარი.

### ორგანიზების ფორმა

წყვილში მუშაობა

### გაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1**

მასწავლებელი გონებრივი იერიშის საშუალებით შეახსენებს კლასს, რა ახსოვთ ზედსართავი სახელის შესახებ. ამ გზით გააქტიურებს იმ ინფორმაციას, რომელსაც მოსწავლეები ფლობენ. **(დრო – 7 წუთი)**

**აქტივობა №2**

წყვილებად განაწილება. წყვილები დგება მასწავლებლისათვის მისაღები ნებისმიერი მეთოდით. მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ წყვილის ნამუშევარი არის ერთობლივი ფიქრის შედეგი და ამიტომ ერთად შეფასდებიან. **(დრო – 2 წუთი)**

**აქტივობა №3**

მასწავლებელი წყვილებს ურიგებს ფურცლებს, რომლებზეც მოცემულია მოკლე ნაწყვეტი მხატვრული ტექსტიდან (ტექსტს არჩევს მასწავლებელი). თითოეულ წყვილს სხვადასხვა ნაწყვეტი უნდა ჰქონდეს, ან ორ წყვილს – ერთი. სთხოვს მათ, ყურადღებით წაიკითხონ თავიანთი ტექსტი და შეკითხვებს, რომლებიც ეკრანზე გამოჩნდება, უპასუხონ წერილობით. ეკრანზე ჩნდება კითხვები (დანართი 1), მოსწავლეები იწყებენ მუშაობას. **(დრო – 10 წუთი)**

**აქტივობა №4**

წყვილები იწყებენ ნამუშევრის წარდგენას. **(დრო – 10 წუთი)**

**აქტივობა №5**

მასწავლებელი ამის შემდეგ ეკრანზე აჩვენებს მოსწავლეებს იმ ტექსტს, რომელიც წყვილებს ჰქონდათ დანაწილებული, ოღონდ ეკრანზე ნაჩვენები ტექსტიდან ამოღებული უნდა იყოს ყველა ზედსართავი სახელი. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეადარონ ეკრანზე ნაჩვენები ტექსტი საკუთარ ნაწყვეტს და დაფიქრდნენ, რა შეიცვალა **(5 წუთი).**

**აქტივობა №6**

მასწავლებელი სთხოვს წყვილებს, წარმოადგინონ თავიანთი ვარაუდი, რა იცვლება ტექსტში ზედსართავი სახელებით. ან მათი არარსებობით. რა მნიშვნელობა აქვს ტექსტის მხატვრული მხარისთვის ზედსართავ სახელებს **(5 წუთი).**

**აქტივობა №7**

მასწავლებელი შეაჯამებს მოსწავლეთა მუშაობას, გაკვეთილს და სთხოვს მოსწავლეებს, თავადაც შეაჯამონ თავიანთი მუშაობა **(4 წუთი).**

**აქტივობა №8**

მასწავლებელი აძლევს საშიანო დავალებას **(1 წუთი)**

## შეფასება

განმავითარებელი (ზეპირი კომენტარი)

1) ინფორმაციის ანალიზის უნარის შეფასება

2) აქტიურობა-ჩართულობის შეფასება

## შედეგი

მოსწავლეს შეუძლია:

- იმუშაოს სხვასთან ერთად, მოისმინოს და გაიზიაროს სხვათა მოსაზრებები, შეაჯეროს საკუთარი და სხვისი პოზიციები.
- წარადგინოს თავისი ნამუშევარი.
- შეაფასოს ტექსტის მხატვრული მნიშვნელობა.

## დანართი 1

1. მონიშნე ყველა ზედსართავი სახელი.
   დააჯგუფე ზედსართავები, რომელია მიმართებითი და რომელი – ვითარებითი.
2. რომელ სიტყვას 9ახლავს ეს ზედსართავი სახელები და რას აღნიშნავს ისინი?
3. რა ფუნქცია აქვს ამ ზედსართავ სახელებს?
4. შეიძლება თუ არა, რომ ზედსართავი სახელების შეცვლით ტექსტის შინაარსი შევცვალოთ? როგორ?

## სასწავლო რესურსი

დაფა, კალამი, თაბახის ფურცლები ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, პროექტორი...

## ნიმუში 6

### გაკვეთილის თემა

ზედსართავი სახელის ჯგუფები

### გაკვეთილის მიზანი

ზედსართავი სახელების დაყოფა შინაარსობრივ ჯგუფებად და წარმოების მიხედვით (ვითარებითებად და მიმართებითებად)

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

**ქართ. საშ. 9.**

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს)

**ქართ. საშ. 10.**

სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს).

### რესურსები

სახელმძღვანელო, რვეული, საწერი კალმები, დაფა, მარკერი/ცარცი, ფურცლები შესაბამისი სავარჯიშოებით

### ორგანიზების ფორმა

წყვილები, ფორუმი

### გაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1 (5 წთ.)**

წინა მასალის ირგვლივ მოსწავლეთა კითხვებზე მსჯელობა ფორუმში.

**აქტივობა №2 (3-5 წთ.)**

მასწავლებელი დააწყვილებს მოსწავლეებს და დაურიგებს წინასწარ მომზადებულ ბარათებს, რომლებზეც წერია სახელმძღვანელოს პირველ დავალებაში მოცემული სიტყვები, თითო სიტყვა თითო ბარათზე. აუხსნის დავალების შესრულების პირობას ეტაპობრივად ან ერთიანად. მასწავლებელმა სახელმძღვანელოში მოცემულ პირობას შესაძლოა დაამატოს ასეთი პუნქტი: მოიფიქრეთ არსებითი სახელები, რომელთა დასახასიათებლადაც გამოდგება ეს ზედსართავი სახელები და დაწერეთ ამავე ბარათზე.

**აქტივობა №3 (5-8 წთ.)**

დავალების შესრულების შემდეგ, წყვილები იმსჯელებენ თავიანთი ნამუშევრის ირგვლივ. შესაძლოა, მასწავლებელმა დასვას შემდეგი კითხვები:

თქვენ აზრით, თითოეულ ბარათზე მოცემული წყვილიდან რომელი შეიძლება იყოს მსაზღვრელი და რომელი საზღვრული?

(მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები სწორად განსაზღვრავენ მსაზღვრელ-საზღვრულს, თუ — არა, მასწავლებელი აუხსნის, რომ მსაზღვრელი არის სიტყვა, რომელიც ახასიათებს ანუ განსაზღვრავს საგანს.)

რაზე მიგვანიშნებს თითოეული ზედსართავი? რა ნიშნის მიხედვით ახასიათებს საგანს?

(მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები უპასუხებენ: როგორია საგანი? როდინდელია საგანი?

სადაურია? რომელია?..)

მოსწავლეების პასუხებს მასწავლებელი ან ერთ-ერთი მოსწავლე ჩამოწერს დაფაზე. მსგავსი პასუხების დაჯგუფების და სრულიად არაადეკვატური პასუხების გამორიცხვის შემდეგ დაფაზე ჩანაწერმა უნდა მიიღოს ასეთი სახე:

როგორია საგანი?

როდინდელია საგანი?

სადაურია საგანი?

რიგით რომელია საგანი?

მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები შეაჯამებენ და ჩამოაყალიბებენ, რომ ესაა ზედსართავი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით.

**აქტივობა №4 (8-10 წთ.)**

მასწავლებელი ხელახლა დააწყვილებს კლასს და სთხოვს წყვილებს, შეასრულონ 3,1 დავალება. შესაძლებელია, მასწავლებელმა დავალებაში მოცემული წინადადებები გაანაწილოს წყვილებზე. დავალების შესრულების შემდეგ წყვილები ერთმანეთში გაცვლიან თავიანთ ნამუშევრებს და განიხილავენ ერთმანეთის მიერ შესრულებულ დავალებებს, განუმარტავენ ერთმანეთს გაუგებარ ან არასწორად შესრულებულ მაგალითებს. მასწავლებელი დააკვირდება ყველას მუშაობას და, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარება წყვილებს.

**აქტივობა №5 (5-8 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) პატარა, კეთილი, მაღალი, ძველი, ლამაზი...

ბ) ქუდიანი, უგულო, მომწვანო, უწიგნური, უგემური...

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ, რა მსგავსებასა და განსხვავებას ხედავენ ამ ორ ჯგუფს შორის.

(მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები იტყვიან: ყველა მათგანი არის ზედსართავი და დაესმის კითხვა როგორი? განსხვავდებიან იმით, რომ პირველ ჯგუფში ჩამოწერილი ზედსართავები არაფრისგან არ არიან წარმოქმნილები, ხოლო მეორე ჯგუფში ჩამოწერილი სიტყვები წარმოქმნილია სხვა სიტყვებისაგან – არსებითი სახელებისაგან).

საკითხის უკეთ გასააზრებლად მოსწავლეებმა რომ არსობრივად გაიგონ ტერმინ მიმართებითის მნიშვნელობა, ნათლად რომ დაინახონ განსხვავება, მასწავლებელი დაფაზე წერს:

კაცი – მაღალი, კეთილი, ბოროტი, პატიოსანი

კაცი – ქუდიანი, უქუდო, უგულო, ნამუსიანი, ქართლელი

მასწავლებელი წყვილებს უსვამს კითხვას, რის მიხედვით ახასიათებს კაცს პირველ სტრიქონში მოცემული სიტყვები და რის მიხედვით — მეორე სტრიქონში მოცემული სიტყვები?

მოსალოდნელია, მოსწავლეები მსჯელობის შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ პირველ სტრიქონში მოცემული ზედსართავები კაცს ახასიათებს გარკვეული თვისებების მიხედვით, ხოლო მეორე სტრიქონში მოცემული ზედსართავები კაცს ახასიათებს სხვა საგნებთან მიმართებით: მაგალითად, სიტყვა ქუდიანი კაცს ახასიათებს ქუდთან მიმართებით – მას აქვს ქუდი, სიტყვა უქუდოც ქუდთან მიმართებით ახასიათებს კაცს – მას არა აქვს ქუდი. მიმართებითი ზედსართავები არსებით სახელებს ახასიათებს სხვა სიტყვებთან მიმართებით (უგულო – არა აქვს გული, ნამუსიანი – აქვს ნამუსი, მოშავო – არის არცთუ ისე შავი...)

**აქტივობა №6 (3-5 წთ.)**

მასწავლებელი სთხოვს წყვილებს, შეასრულონ 3,3 დავალება სახელმძღვანელოდან. ცხრილმა უნდა მიიღოს ასეთი სახე:

| ვითარებითი | მიმართებითი |
| --- | --- |
| | |

მასწავლებელი ამოწმებს ყველა წყვილის მიერ შესრულებულ დავალებას და ცხრილის სწორი ვარიანტი გადააქვს დაფაზე.

**აქტივობა №7 (5-8 წთ.)**

მასწავლებელი სთხოვს წყვილებს, შეასრულონ დავალება 3.4. (შესაძლოა, მოსწავლეებმა შეასრულონ მხოლოდ დავალებაში მოცემული წინადადებების ნაწილი, დანარჩენი კი გააგრძელონ სახლში), დასრულებული ნამუშევრები გაუცვალონ ერთმანეთს და გადაამოწმონ; ან მასწავლე-ბელი გააერთიანებს ორ წყვილს და ისინი შეადარებენ ერთმანეთს თავიანთ ნამუშევრებს. მას შემდეგ, რაც ყველა ოთხეული დაასრულებს მუშაობას, განსხვავებულ ვარიანტებზე იმსჯელებენ ფორუმში. მასწავლებელი შეასრულებს მოდერატორის როლს.

## ნიმუში 7

### გაკვეთილის თემა
სიტყვების წარმოება

### სასწავლო მიზნები
მოსწავლეები შეძლებენ:
- სიტყვის წარმოების პრინციპის გაგება-გააზრებას.
- სიტყვის დაშლას, ფუძისა და ძირის გამოყოფას.
- სხვადასხვა მაწარმოებლის ფუნქციის გააზრებას.
- განივითარებენ ენობრივ უნარებს, გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან
**ქართ. საბ. 9.**
ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს);
**ქართ. საბ. 10.**
სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით

### მოსწავლეთა წინარე ცოდნა
- მოსწავლეებმა იციან მეტყველების ნაწილები.
- მოსწავლეებს შეუძლიათ სიტყვის ფუძის ამოცნობა.
- მოსწავლეებმა იციან სიტყვათა ფორმაცვალება.

### გაკვეთილის მსვლელობა
**აქტივობა №1**
მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზნებს და შეფასების კრიტერიუმებს. (2 წთ)
**აქტივობა №2**
მასწავლებელი მოსწავლეებს კითხვების საშუალებით გაახსენებს საჭირო გრამატიკულ ცნებებს. (5 წთ)
**აქტივობა №3**
შემდგომ კი სთხოვს, რომ თითოეულმა მათგანმა ამოიღოს დაკეცილი ფურცელი ყუთიდან. (ყუთში 4 სხვადასხვა ფერის ფურცლებია. ყოველი ფერის ფურცელზე ერთი ფუძიდან ნაწარმოები სიტყვებია დაწერილი. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს 3.1 და 3.2 დავალებიდან აღებული ნიმუშები. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ ფურცლების ფერის მიხედვით დაჯგუფდნენ. (4 წუთი)
**აქტივობა №4**
მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ნახონ, რა წერია მათ ფურცელზე და დაფიქრდნენ თითოეული სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობასა და იმაზე, რა არის მოცემულ სიტყვებს შორის საერთო. (4 წუთი)
**აქტივობა №5**
მასწავლებელი წერს ყოველი ფერის ფურცელზე დაწერილი სიტყვის ფუძეს დაფაზე და სთხოვს თითოეულ მოსწავლეს, დაწეროს თავის ფურცელზე მოცემული ერთ-ერთი სიტყვის მაწარმოებელი. სთხოვს, განმარტოს, რა შინაარსი შეიძინა სიტყვის ფუძემ ამ მაწარმოებლის დართვით. (15 წთ)
**აქტივობა №5.1**
მასწავლებელი იყენებს გონებრივი იერიშის მეთოდს და მოსწავლეებს სთხოვს, ჩამოაყალიბონ,

რა ფუნქცია აქვს მაწარმოებლებს ქართულ ენაში. (5 წთ)

**აქტივობა №5.2**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ და ჩამოაყალიბონ, რა მნიშვნელობა აქვს ამ გრამატიკული საკითხის ცოდნას მათთვის. (3 წთ).

**აქტივობა №6**

მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალებას ამავე გაკვეთილიდან და აჯამებს გაკვეთილს (4 წთ).

## შედეგი

მოსწავლეები იაზრებენ გრამატიკულ ცნებას – სიტყვაწარმოება. აკვირდებიან სიტყვის ფორმაცვალებასა და შინაარსის ცვლას. განსაზღვრავენ ახალმიღებული ცოდნის მნიშვნელობას.

## შეფასება

განმავითარებელი (ზეპირი კომენტარი)

1) ინფორმაციის ანალიზის უნარის შეფასება

2) აქტიურობა-ჩართულობის შეფასება.

## სასწავლო რესურსები

სახელმძღვანელო, ფურცლები, ფლიპჩარტები, ფერადი ფანქრები...

# ქართული ენის ზოგიერთი სავარჯიშოს სწორი პასუხები

**ქვემოთ მოცემულია იმ დავალებების სწორი პასუხები, რომელთა პირობაც ასეთია: იპოვე ტექსტში შეცდომები და გაასწორე. სწორი ფორმები გადაიტანე რვეულში. ახსენი შენი შესწორებები.**

გვ 13 № 3.7

თავშესაფრის; ტანსაცმლის; ალისფრად; ამბის; ამბის; თავგადასავლის; ზღაპრის.

გვ 17 № 3.6

არსების; ცისარტყელას; ათასფრად; ამბის; მატარებლით; კაშნე; მატარებლის; მწვანედ.

გვ 22 № 3.2

ზღაპრის; ქვეყნის; მხედრის; თავგადასავლის.

გვ 36 № 12

ქვეყნად; სიცოცხლის; ატმოსფეროს; მცენარეების მიერ; წყლის; მტვრის; წყლის; ღრუბლები; შრის.

გვ 44 № 3.4

წერეთლის; ეთერ აბაშიძემ; მწერლის; არჩილ თვაური; მწერლის; არჩილ მეტრეველის; გელა გაბუნიას; მწერლის.

გვ 56 № 9

ყვარლის; ყვარლის; მხარის; გურჯაანის; ახმეტის; დაღესტნის; ალაზნის; ყვარლის; ალაზნის; ჭავჭავაძის; ტბის; უამრავი ადგილობრივი და ტურისტი სტუმრობს; ყვარლიდან; ალაზნის; ტაძრის.

გვ 120 № 12

ჭავჭავაძეების; ყვარლის; ილია ჭავჭავაძის პაპა; სოლომონ II-მ; პლატონ იოსელიანის; ერეკლე II-მ; XIX საუკუნის; მარიამ; მიხეილი, სვიმონი; ალექსანდრე; გრიგოლი; ჭავჭავაძის; მარიამ ბებურიშვილი.

გვ 146 № 9

ხანის; ერთ-ერთი საუკეთესო; ტაძრის; დავით აღმაშენებელს; მისმა შვილმა; ტაძრის; ტაძრის; XII საუკუნისაა; XII საუკუნიდან XVIII საუკუნემდე. რამდენიმე; იმავე დავითმა; ხელმძღვანელად; განყოფილებად.

## დამატებითი დავალებების სწორი პასუხები

1

მირიანმა; ჩემკენ; შენ მიმართ; ჩემი აზრით; ვიღაცების; ჩემ მიმართ; მისი დამოკიდებულების; რაებს; ვინ არ მოდიოდა; ტყუილ-მართალით; მე და მას შორის; თითოეულ თქვენგანს; იმავეს.

2

თბილისში; მტკვრის; მე-13 საუკუნის; მანამდე / მანამდის; ღვთისმშობლის; ერთ-ერთი; პირველი; დედაქალაქში; საუკუნეების; ძველი ნაგებობიდან; მხოლოდ; ტაძრის; ორივე წმინდანი; დავით გარეჯელთან; ერთად; წმინდანად.

3

მეფის; პირველ; ქალაქ; მახლობლად; სარდალმა; სოსლანმა; ორად; მტრის; მოწინააღმდეგის; ერთად; მონასტრისთვის.

4

ღამის; ცნობილმა; ქართველმა; კინომსახიობთა; ქართული თეატრალური; ხელოვნების; კინოსტუდია; ქართული; სპექტაკლი; ერთ-ერთი.

5

ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში; უნიკალური სახეობის; ძუძუმწოვრები; ჩანთოსნები; კოალები; დედის მუცელზე; არსებული; რამდენიმე; რძით; კვერცხისმდებელი; სამი სახეობის; იხვნისკარტა; გრძელცხვირა; მოკლეცხვირა.

6

ფაქიზად; სამოცდაათზე მეტი; სიმარტივისთვის; რამდენიმე მათაგანს; ოთხი სიმი; მასზე; ხის ჯოხისა და ცხენის ძუისგანაა; სრულყოფილების; კლასიკური მუსიკის; ის უპირველესი საკრავია; ცენტრალური ევროპის; მე-16 საუკუნეში.

7

თბილისში; ერთ-ერთი; ყველაზე ძველი; ღვთისმშობლის; ტაძრად; ვახტანგ გორგასლის; უჯარმელმა; ღვთისმშობლის; ტაძრად; კათალიკოს-პატრიარქის; ძველი ცნობებით; იმავე; ტაძრის; მე-17; მაცხოვრის; სახელოვანი; ოქრომჭედლის; ოპიზრის; თანდათან; დღემდე.

8

დავიდ; დავიდმა; თავისი; ერთ-ერთი; ერთად; სისხლიანი; მომხრეთ; მიზნით; დანით; ჭრილობებიდან; სისწრაფით; რევოლუციის; სახლში; აბაზანის; რამდენიმე; ფუნჯითა; სანთლით.

9

XVI; დიპლომატიის; ზეაზიდულმა; ტაძრებმა; ულამაზესი / ძალიან ლამაზი;

მე-17; თავის მოგზაურობათა წიგნში; გარშემოწერილობა; თოთხმეტი ათასი; ას სამოცდაათი; ორი ათასი; კეთილმოწყობილი; კალთებიდან; ბაღ-ვენახებს.

10

გორგასლის; თბილისში; ყველაზე ძველი; ხნის; ჩვენამდე; მოედნის; ზუსტად; ძველ; ბაზრის; მკვეთრად; ციხეს; თათრის; ვახუშტი ბატონიშვილი; მოგზაური; მოედანზე; სპარსს; პროდუქტით; ისნისკენ.

11

თვალები; უამრავი ადამიანი; მათგანს; ინდუისტური; რომელი; წარმომადგენლად; მთლიანად; ჩრდილ-სინათლის; სწორედ; ტაძარის; ღვთაებისათვის; სპეციალურად